

K 72-577
3

ც ე ც ვ ა გ ი ც რ უ



ნ ი რ ი მ ი რ ი

ს ა მ ა - 2 0 0 0
ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა

სამხრეთ რესორსის სახელმწიფო გამომცემობა
თბილისი 1956 სტალინი

უ ძ ე ც მ ი რ ა რ ა

K 142.544
3

6408-2000
ს ა მ ი რ ა რ ა



სახელმწიფო გამოცემა-განვითარების
მინისტრი 1956 სექტემბერი

აღმასანდრე შავშავაძის უცნობი ლექსი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ერთი თაბაზი ქალალდი (№ 2745), რომელზედაც ჩამოწერილია სათაურები ალ. ჭავჭავაძის 29, ბეს. გაბაშვილის 16 და ბარამ ბარათოვის 6 ლექსისა.

მკვლევარი ი. გრიშაშვილის აზრით ეს ფურცელი უნდა წარმოადგენდეს ლექსების „რომელიდაც დავთრიდან ანაგლეჭ სარჩევს“¹ დავთარი დაკარგულია და მხოლოდ ეს ერთი ფურცელი შემორჩენილა.

ალ. ჭავჭავაძის იმ 29 ლექსიდან, რომლის სათაურებიც № 2745 ფურცელზეა ჩამოწერილი, ყველა ცნობილია, გარდა ერთისა. ამ უცნობ ლექსს სათაურად ჰქონდა „კვლავ მარად ჩემსა სურვილსა“. რიგის მიხედვით მას სარჩევში მეთორმეტე ადგილი უჭირავს.


ეს ლექსი დღემდის არც დაბეჭდილ წყაროებში, არც ალ. ჭავჭავაძის ხელნაწერებში და არც სხვა საარქივო მასალებში არ ჩანდა.

საქ. სახელმწიფო მუზეუმში ინახება დიმიტრი ყიფიანის არქივი, რომელშიც დაცულია დიმიტრი აბაშიძის წერილი დ. ყიფიანისადმი, დათარიღებული 1864 წლის 10 დეკემბრით².

ამ წერილის თავისუფალ გვერდზე უცნობი ხელით მიწერილია ექვსსტროფიანი ლექსი სათაურით: „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“. აი, ეს ლექსიც:

¹ ალ. ჭავჭავაძის თხზულებანი ი. გრიშაშვალის რედაქციით და წინასიტყვა-მით გვ. LXXVII.

² საქ. სახ. მუზეუმი. ფონდი S, ყუთი № — 5333.



ეჭ, საქართველო, პტოლომეს დროს აღყვავებული, მშვენიერ იყო, მარა რა? ვით ამა სოფლის ყოველი, კეთილი, მოსაწონელი, შავმა დრომ ფერხით გასთელა, დაჭქნო ვარდი წალკოტში, მით ჩემი გულიც მოსთვლილა-გაპერა დავითის ხმლის ელვა, ჩაქრა თამარის ლამბარი, ოქროს დრო უამმა შესცვალა, აგარეანთა სრბოლამა, შეიქნა ვაი-ვაშვიში, საქრისტიანოს რბევა და ქართველთა სისხლის დინება, გული შეზარა სრევამა. ქართლისთვის მეფე ირაკლის სისხლი მრავალჯერ ნიხეულა-ვერ შეჰქრა მისი კარიბჭე, მზრუნველი დარჩა ეულად, როსსნი მოიხმო საშველად მან იმედგადალეულმა, მათ ნაცვლად ძმობის, ერთობის, დაგვტოვა დანასხეულად. მახვილებული მოვიდა, მზაკვრულად მიგვცა გვემასა, ყელსა შეგვაბა სარაზი, მიმოძგონარედ მთვლემარსა, ლაქათთა იწყეს ლაქათი ძვალი არა აქვს ენასა, მკადედ ედინა ცრემლები ხალხს, მიცემულსა სენასა. არც ვართ ზორაყნი, თვითრჯულნი, არცა ჩვეულნი ზრჩენასა, სიკვდილი გვიჯობს ვიხმიოთ კანჯარზე ჭლომა-თვლემასა, მზაკვარს ხმლით გაუსწორდებით, ვჰფუცავ ჩვენ ხმალთა კვეთასა, მნათი აღმოპედეს კავკასია, ქართლი მიეცეს ლხენასა. კვლავ მირად ამ ჩემს სურვილსა უპოვრად ვუწყებ მღრღასა, საკდემელია ვუმზიროთ ერთ-ურთის თრევა-სრევასა, გულთა სწყვლენ ჭანგთა თარეში. მკერდისა სახმილსა (...) მზაკვარს ხმლით გაუსწორდებით, ქართლს მივცემთ შვება-ლხენასა.

თქმული თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან ტანბოვს.

ლექსი გაუწაფავი ხელით არის გაღაწერილი და შეცდომები-საგანაც არ უნდა იყოს დაზღვეული. მაგალითად — ლექსის ყველა სტროფი 16 მარცვლოვნია (შაირი), პირველი სტროფის პირველ ტაქტს კი ორი მარცვალი აქლია, ნაკლულია მეექტე სტროფის მესა-

შე ტავპიც, საიდანაც მთელი სიტყვაა ამოვარდნილი. სასკენი ნიშ-
ნებიც 24 სტრიქონიან ლექსს სამიოდე აღგილას უჰის.

ვინაოდან ლექსი უცნობი და გაუწავავი ხელით არის ნაწერი,
არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან და მიწერილია დიმ. ყიფია-
ნისაღმი გაგზავნილ წერილზე ალ. ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან
საქმიად მოგვიანებით; ამავე დროს ეს ლექსი თავისი სითამამით
ერთგვარად განსხვავდება ალ. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვი-
დრეობისაგან, ამიტომ ჩვენს წინაშე დაისვა კითხვა: სწორია თუ
არა ლექსის ქვემინაწერი, ე. ი. ეკუთვნის თუ არა ლექსი ალექსან-
დრე გარსევანის ძე ჭავჭავაძეს.

ამ ლექსისა და ალ. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეო-
ბის ტექსტუალურმა შედარებამ და ზოგიერთმა სხვა მოსაზრებებმა
უჰავო გახადა ალ. ჭავჭავაძის ავტორობა.

ლექსი მართლაც ალ. ჭავჭავაძეს ეკუთვნის. ამას ადასტურებენ
შემდეგი გარემოებანი:

1. საქართველოს სახელმწიფო მუნიციპალიტეტი № 2745
ხელნაწერში მოხსენებული უცნობი ლექსის სათაური „კვლავ მა-
რად ჩვენს სურვილსა“ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ჩვენს
მიერ ნაპოვნი ლექსის სათაურს: „კვლავ მარად ამ ჩვენს სურვილსა“.

თუმცა № 2745 ხელნაწერი გაცილებით უფრო აღრევა შესრუ-
ლებული, ვიდრე ჩვენს მიერ ნაპოვნი ლექსი გადაიწერებოდა, მაგ-
რად ლექსის სათაური ამ უკანასკნელში უფრო ზუსტად უნდა იყოს
დაცული, მით უმეტეს, რომ ეს სათაური უცვლელად მეორება
შეექვეს სტროფის პირველ ტაქში.

2. პოეტურ პრაქტიკაში არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც
ავტორი რომელიმე სალექსო სტრიქონს სრულიად უცვლელად, ან
ოდნავი სახეცვლილებით იმეორებს სხვა პოეტურ ნაწარმოებში.

მაგალითად საქმარისია დავასახელოთ სიტყვის ისეთი დიდი
ოსტატი, როგორიცაა ვაჟა-ფშაველა. სტრიქონი პოემიდან
„სტუმარ-მასპინძელი“: — „სოფლის თავს ხძინავს შავს ნისლსა
დაფიქრებული სახითა“, გვხვდება პოემაში „ხის ბეჭი“, ოდნავი
ცვლილებით „მთის ძირში ხძინავს ზავს ნისლსა, სჩანს უზარმაზარ
გველად...“

ანალოგიურ შემთხვევას აქვს აღგილი ჩვენ მიერ ნაპოვნ
ლექსია და ალ. ჭავჭავაძის ლექსებს შორის.

მაგალითად, პირველი სტროფის მეორე ტაქტი „მშვენიერ იყო“
მარა რა? ვით ამა სოფლის ყოველი,“ თითქმის სიტყვა-სიტყვით
მეორდება ალ. ჭავჭავაძის ლექსში „ყმაწვილი ქალის საფლავზეც
წარშერიღება“; აქ ვკითხულობთ:

„მშვენიერ იყო! მარა რა? ამა სოფლისა ყოველი, გინა ვით
იყოს კეთილი, მაინცა დაუყოვნელი!“ და სხვა...

ერთგვარ შეხვედრა-გამეორებას აქვს ადგილი აგრეთვე შემდეგ
შემთხვევაშიც—ლექსის მეტებს სტროფის პირველი სტრიქონი ასე
იკითხება: „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა უპოვრად ვუწყებ
მღერასა“... თითქმის ასეთივე სტრიქონი გვხვდება ლექსში „დუგა“.
ამ ლექსის მეშვიდე ფრაგმენტში ვკითხულობთ „კვლავ მარად
ჩემს სურვილსა იმედი წინ უძღვდა“...

3. ალ ჭავჭავაძემ 1836—1837 წლებში იმპერატორ ნიკოლოზ
პირველს წარუდგინა მოხსენება „საქართველოს მოქლე ისტორიუ-
ლი ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“. ეს მოხსე-
ნება შინაარსობლივად მეტად უახლოვდება ლექსს „კვლავ მარად
ამ ჩემს სურვილსა“.

მაგალითად, მოხსენების პირველი ორი აბზაცი ამ ლექსის პრო-
ზაულ ვარიანტს წარმოადგენს. მოხსენებაში ვკითხულობთ: „იბერია
ანუ საქართველო პტოლომეუს ხანებში თავისი მოცულობით შეს-
დგებოდა: ალბანიისა, საკუთრივ იბერიისა და კოლხეთისაგან...
ახლანდელი საქართველოს მნახველი ძნელათ თუ დაიჯერებს, რომ
ეს ქვეყანა ოდესლაც ჰყვავოდა .მისი წინანდელი მოსახლეობის
მოწმედ მხოლოდ უტყვი ნანგრევები-ლა დარჩენილა და მხოლოდ
ბიზანტიელთა ისტორიკოსების ნაწერები-ლა მოწმობენ ქართველი
ხალხის ძველ სიდიადეს...“¹

იგივე აზრია გატარებული ლექსის პირველ სტროფშიც:

„ეჰ, საქართველო, პტოლომეუს დროს აღყვავებული,
მშვენიერ იყო, მარა რა? ვით ამა სოფლის ყოველი,

კეთილი, მოსაწონელი, შავმა დრომ ფერხთით გასთელა,

დააჭინო ვარდი წალკოტში, მით ჩემი გულიც მოსთვლოლა“.

დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის შესახებ ლაპარაკობს
ალ. ჭავჭავაძე თევის მოხსენებაში და მათი მეფობის პერიოდს

¹ ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, გვ. 241.

ოქროს ხანას უწოდებს. აქვე ლაპარაკობს იგი მონგოლთა, ოსმალთა და სპარსელთა შემოსევაზედ და ხაზს უსვამს იმ შეუბრალებელ სისხლის ღვრას, რომელიც თემურლენგის თარეშს მოჰყვა საქართველოში. ალ. ჭავჭავაძე წერს:

„1089 წელს საქართველოს მეფე დავითმა, ოღმშენებლად წოდებულმა, აღადგინა საქართველოს ძველი საზღვრები; იმ დროიდან იწყება ოქროს ხანა. გრძელდება 1223 წლამდე და შეიცავს სახელგანთქმულ თამარის მეფობასაც.

1223 წელს სირიის სულთანი ახალციხეს თავს დაესხა. ხოლო მალე საქართველოს ჩინგისყავნის ურდოებიც შემოესივნენ. მათ ცეცხლითა და მახვილით მოიარეს საქართველო; მონგოლებმა მაინც ვერ შესძლეს ხალხის მთლად დამორჩილება, მაგრამ იმ ხნიდან იწყება საქართველოს უბედურება. საქართველო იძულებული იყო განუწყვეტლივ ებრძოლა თვის ძლიერ მეზობლებთან, ხან სპარსელებთან, ხან ოსმალებთან — მიუხედავად იმისა, იგი ერთადერთი საქრისტიანო სახელმწიფო იყო მოელს აზიაში.

1385 წელს გამოჩნდა მრისხანე თემურლენგი და საქართველოში ისეთს წინააღმდეგობას შეხვდა, რანაირსაც თვით მონგოლ მემატიანეთა მოწმობით (Histoire de Hans Degenie) იგი სხვაგან არსად შეხვედრია. გამარჯვება მას სისხლის მორევებად დაუჯდა¹.

იგივეს ლაპარაკობს პოეტი ლექსის მეორე სტროფშიც:

„გაქრა დავითის ხმლის ელვა, ჩქარა თამარის ლამბარი,

ოქროს დრო უამმა შესცვალა, აგარეანთა სრბოლამა,

შეიქმნა ვაი-ვიშვიში, საქრისტიანოს რბევა და

ქართველთა სისხლის დინება, გული შეზარა სრევამა“.

ყოველივე ეს კი იმის დამატებით საბუთს წარმოადგენს, რომ მოხსენებისა და ლექსის ავტორი ერთი და იგივე პირია.

4. ხალხური მსხვილსიტყვაობის გამოყენება მხატვრულ შემოქმედებაში ერთგვარად დამახასიათებელია ალ. ჭავჭავაძისათვის. პოეტი იღებს ხალხური მახვილსიტყვაობის ნიმუშს და მხატვრული გადამტავების შემდეგ ურთავს ნაწარმოებში. მაგალითად, ცნობილი ხალხური თქმა „ვაით ნაშობი ვუით მოკვდებიო“ პოეტს გადამტავებული სახით აქვს შეტანილი ლექსში „სხვადა-

¹ ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, გვ. 242.

სხვისა დროისათვის კაცისა“: „მათგან ერთი გვცემს და ჩვეტყველს, ამით ნაშვნო მოკვდით ვებით!“.

პოეტი ჩვენს მიერ ნაპოვნ ლექსშიც იყენებს ხალხურ თქმას: „ენას ძვალი არა აქვს ო და ოდნავი გადამუშავებით ურთავს სტრიქონში: „ლაქათთა იშყეს ლაქათი, ძვალი არა აქვს ენასა“.

5. ლექსიკური თვალსაზრისითაც ეს ლექსი ახლოს დგას ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებასთან. ისეთი სიტყვები, როგორიც არის მაგალითად „აგარეანნი“, „მზაკვარი“, „მკაღე“, „მიმოძგონარე“, „სარაზი“, „ლაქათი“, „ზორაყი“, „საკლემელი“ და სხვა, რომელნიც ნახმარია ამ ნაწარმოებში, გვხვდება ალ. ჭავჭავაძის სხვადასხვა ლექსებშიც.

ალ. ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელია ნაზმნარი და არსებითი სახელების გამოყენება სარითმო ელემენტებად.

მაგალითად ნაზმნარი სახელი „ლხენა“ ჩვენს ლექსში ასეა გარიბობული: „ლხენასა“ — „კვეთასა“, ლექსში „მშვენიერთა ხელ-მწიფავ“: „ლხენასა“ — „სმენასა“, „გლახ თვალთა შენნი“: „ლხენასა“ — „ენასა“, „მუხამბაზ ლათაიურში“: „ლხინითა“, — „ჩინითა“, „სძერს გლახ გული“: — „ლხენასა“ — „ფრენასა“.

არსებითი სახელი „ენა“ ჩვენს ლექსში ასე ირითმება: „ენასა“ — „სენასა“; იგივე სახელი ირითმება ლექსებში: „სძერს გლახ გული“: „ენასა“ — „დენასა“, „დუგაში“: „ენამ“ — „სენამ“: „ვით შორს მყოფსა“: „ენად“ — მშვენად“, „გლახ თვალთა შენნი“: „ენასა“ — „ომენასა“ და სხვ...

მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ კმარა. ვფიქრობთ ყოველივე ზემოთქმული საკმარისია დავასკვნაო, რომ ლექსი „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“ ალ. ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

6. დასასრულ ერთი საყითხი: როდის უნდა იყოს ლექსი დაწერილი? მინაწერის მიხედვით იგი დაწერილია ტაბოვში, მაგრამ ალ. ჭავჭავაძე ტამბოვში ორჯერ იყო გადასახლებული, 1805 წლის დეკემბერში (მთიულეთის ამბოხებაში მონაწილეობის მიღებისათვის) და 1833 წელს (1832 წლის შეთქმულების გამომქლავნებასთან დაკავშირებით).

ლექსის შინაარსი, ის ერთგვარი რადიკალიზმი, რომელიც ნა-

წარმოების ყოელი სტრიქონიდან გამოსჭვივის, გვაფიქრებინებს, რომ იგი 1805 წელს უნდა ეკუთვნოდეს.

ერთგვარი სითამამე და უკმაყოფილების მკაფიოდ გამომცდავნება ახასიათებს ალ. ჭავჭავაძის იმ ლექსებს, რომელიც 1832 წლის შეთქმულების გამომცდავნებამდეა დაწერილი, ვანსაკუთრებით — კი 1804 — 1805 — წწ. დაწერილ ლექსებს. თუმცა ალ. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გამომცემელნი ამ ლექსებს „კაზარმობის დროს“ (1832 — 1833 წწ.) მიაწერდნენ, მაგრამ ეს ყოვლად დაუშვებელია, რადგან ი. გრიშაშვილის სამართლიანი შენიშვნით, ამ ლექსების საქმაო ნაწილი და ვით რეტორის მიერ გადაწერილ დავთარშია შემოსული. დავით რექტორი კი 1824 წელს გარდაიცვალა.

ორიოდე სიტყვა ამ ლექსის მნიშვნელობის შესახებ.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში არ მოიპოვება მეორე ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ასე მკვეთრად იყოს გამოვლინებული ავტორის მოქალაქეობრივი მოტივი.

როგორც ცნობილია, 1800 წლის 18 დეკემბერს იმპერატორმა პავლე პირველმა ხელი მოაწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტს. საქართველო გამოცხადდა რუსეთის იმპერიის ნაწილად.

ამ ისტორიულ ფაქტს თავისი გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის შემდგომი ზრდისა და წინმსვლელობისათვის. რუსეთთან შეერთების შემდეგ შეწყდა ირანისა და თურქეთის გამუდმებული შემოსევები. ფიზიკურ განადგურებას გადატანილ ქართველ ხალხს საშუალება მიეცა მშვიდობიან პირობებში კულტურული წინმსვლელობისა. რუსეთთან საქართველოს შეერთებას მოჰყვა საქართველოში მოწინავე კულტურის შემოწაც. პუშკინის, ლერმონტოვის, რილევის, უკოვასკის, ბარიატინსკის და ვიაზემსკის შემოქმედებამ, — რომელთაც კავკასიაში და მისმა თვალწარმტაცმა პეიზაჟებმა მრავალი თემა მისცა შემოქმედებისათვის, — გარკვეული გავლენა მოახდინეს ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტს ჰქონდა თავისი უარყოფითი მხარეც: საქართველო ცარიზმის უხეში ძალადობისა და ნაციონალური ჩაგვრის ობიექტი შეიქმნა. საქართველო-

ში მოვლინებული იქნა მეფის მოხელეთა მთელი პლეადა, რომელთაც არც ქართული იცოდნენ, არც ქართველების ზე-ჩვეულება, რომელნიც თანამდებობას უყურებდნენ, როგორც გამდიდრებისადა პირადი უზრუნველყოფის წყაროს და უხეშად სთელავღნერ საუკუნეებით განმტკიცებულ ადაოწესებს.

მეფის რუსეთის ბიურიკრატ მოხელეთა თავგასულმა თარეშმა და ქართველი თავადაზნაურობის პოლიტიკური როლის დაკარგვამ საზოგადოებრივ-ცხოვრებაში წინა ხაზზე წამოსწია თავადაზნაურობის „ნაციონალური საკითხი“.

როგორც მასალებიდან ირკვევა, ალ. ჭავჭავაძე სავსებით იზიარებდა იმ პოლიტიკურ ზრახვებს, რომელთაც მეფის რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ პოზიციურად განწყობილი ქართველი თავადაზნაურობის ნაწილი გულით ატარებდა.

ამ პოზიციურმა განწყობილებამ თავი იჩინა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, პირველ ჰერიოდში.

უდავოა, რომ პოეტი სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გულდაწყვეტილია; იგი წყვევლა-კრულვით გხსენიებს იმ ბედუელმართ დროს „როს სამკვიდრო დაკარგეთ კრულნი“, მაგრამ თავის ლექსებში იგი საქართველოს აშკარად არსად არ ასახელებს. მისი შემოქმედების ალეგორიული ხასიათი ხშირად გვიკარნახებს, რომ „სატრაფოსა“, „ვარდსა“ და „ბედშეკრულში“ საქართველო ვიგულისხმოთ.

მხატვრულ შემოქმედებაში ალ. ჭავჭავაძე პირდაპირ არც მეფის რუსეთის მოხელეთა შესახებ გველაპარაკება. ამ შემთხვევაშიც იგი ალეგორიულ ხერხს მიმართავს და მეფის ბიურიკრატ მოხელეებს ასეთი ეპითეტებით „ამქობს“: „გულით მრუდენი“, „პირბნელნი სათნი“, „ლიზლნი“, „ავნი“, „ქაჩები“, „მგლები“, „ეშმაკო სადგურნი“ და სხვ...

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებიდან ნათლად გამოსჭვივის აგრეთვე ის გარემოება, რომ პოეტს საქართველოს ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების იმედი აქვს. პატიმრობის პერიოდშიც კი „გლაბებელისაგან ესრეთ დასჯილი იმედოვნებას უწოდებს ფარად“ და ღრმად არის დარწმუნებული, რომ „უამი, გულთ მაამი კვლავცა იქნების“.

მაგრამ რა გზით მიაჩნდა პოეტს შესაძლებლად საქართველოს

განთავისუფლება ნაციონალური ჩაგრისაგან? ამის შესახებ
აღ. ჭავჭავაძის პირველი პერიოდის ნაწარმოებნი პასუხს არ იძლე-
ვია.

ლექსი „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“ აშკარად შიუთთებს
გამოსავალი გზისაკენ. აღ. ჭავჭავაძე ლრმად არის დარწმუნებული,
რომ სამშობლოს დახსნა ეროვნული ჩაგრისაგან შესაძლებელია
მხოლოდ საქართველოში მოვლინებულ თავგასულ მეფის მოხელე-
თა აღაგმით, რადგან „ვინც ჰქვდა მათ მახეს, ჭირთა სახეს, არა
აქვს შვება, მათზე კეთილი, ვითა შლილი დაიცარება. ამიტომ არის,
რომ პოეტი მოწოდების სახით გაიძახის:

„მზაკვარს ხმლით გაუსწორდებით, ვფუცავ ჩვენს ხმალთა
კვეთასა;

მნათი აღმოჰქდა კავკასია, ქართლი მიეცეს ლქენასა!

ასეთი აზრი კი ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის ნაწილ-
ში მეფის რუსეთის მოხელეთა აღვირასნილობისა და ცხოვრებაში
საკუთარი პოლიტიკური როლის დაკარგვის გამომუღავნების პირ-
ველ დღიდანვე დაიბადა. ბიუროკრატ მეფის მოხელეთა აღაგმის
ისახავდა მიწნად 1804 წლის მთიულეთის ამბოხება და 1832 წლის
რომანტიკული შეთქმულებაც, რომელთა მონაწილე და თანამგრძნო-
ბი თვით აღ. ჭავჭავაძე იყო.

მაგრამ ყველა მოძრაობა, რომელსაც XIX საუკუნის პირველ
ნახევარში ჰქონდა აღგილი, მეტად სუსტი და უდღეური აღმოჩნდა.
იგი ვერ უძლებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ძლიერი ტალღის
ცემას და უშედეგოდ იღუპებოდა.

ლექსი „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“ სწორედ ამ ბიურო-
კრატ მოხელეების წინააღმდეგ არის მიმართული და საქართველოს
ეროვნული ჩაგრისაგან განთავისუფლებას მოითხოვს.

ყოველივე ზემოთქმული ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ გარე-
მოებას, რომ არ იყვნენ მართალნი ის მკვლევარნი, რომელნიც
აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ან ვერ ამჩნევდნენ ეროვნულ მოტივს,
ანდა უსაყველურებლნენ პოეტს ეროვნული გრძნობის სიმცირეს.

მაგალითად ითხა მეუნარგიამ ვერ შესძლო აღ. ჭავჭავაძის შე-
მოქმედების წამყვანი ღერძი მოექებნა. აღ. ჭავჭავაძის „თხზულების-
პირველ ნაწილში — წერს იგი — რომელშიაც ოთხმოცდათვრამეტი
ლექსია დაბეჭდილი, ჩვენ ვერც კი მიგვიგნია პოეტის დედა გრძნო-

ბისათვის. ამ ლექსებში არც ბარათა შვილის კაფშანია, არც
ორბე ლიანის ცადამაფრენი ენა და გრძნობა და წმინდა,
ნამდვილი ქართული ხმა, არც აკაკის მამულის სიყვარული, არც
ილიას ქარი¹! დაახლოებით ასეთივე აზრი განავითარა „ივე-
რიის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა (იხ. უზრნ. „ივერია“).

1821 წ. №).

არც ჩვენს მიერ აღმოჩენილი ლექსი და არც შემოქმედების
პირველ პერიოდში პოეტის მიერ დაწერილი ლექსები ასეთი და-
სკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევიან; პირიქით, პირველი
პერიოდის ნაწარმოებებიდან აშკარად ჩანს, რომ პოეტი საქართვე-
ლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გულდაკოდილია და აგრძე-
ლებს რა პატრიოტული რომანტიზმის ხაზს, ძლიერად აყენებს
სამშობლოს ეროვნული განთავისუფლების საკითხს და ამ განთავი-
სუფლების გზებზედაც მიგვითითებს.

შემოქმედების მეორე პერიოდში ალ. ჭავჭავაძეს თვალსაჩინო
გარდატეხსა ვამჩნევთ. პოეტი დარწმუნდა, რომ საქართველოს
კულტურული და ეკონომიკური განვითარებისათვის უკეთესი გზა
არ არსებობდა, თუ არა საქართველოს. რუსეთის მფარველობის
ქვეშ შესვლა.

ალ. ჭავჭავაძის მსოფლხედველობაში მომხდარ გარდატეხაზე
და მის კულტურულ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე მიგვითითებს
მაგალითად ლექსი „კავკასია“, რომელიც 1833—1834 —წწ. უნდა
იყოს დაწერილი; როგორც ამ ლექსიდან ირკვევა, პოეტმა ნათლად
დაინახა ის დადებითი შედეგები, რაც საქართველოს რუსეთთან
შეერთებას მოჰყვა; ალ. ჭავჭავაძემ შეამჩნია, რომ შეერთების შე-
დეგად საქართველო ეზიარა რუსეთის მოწინავე კულტურას, რომ
„გაიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება, რომე მუნით შევიდეს
მათ შორის განათლება“...

აქ უკვე მკაფიოდ გამომუდავნდა ალ. ჭავჭავაძის პატრიოტული
რომანტიზმის იდეური ეფოლუცია; ეს იყო მძლავრი პოლიტიკური
შემობრუნება, რაც ახასიათებდა თითქმის ყველა ქართველ რომან-
ტიკოსს და მათ შორის ალ. ჭავჭავაძესაც 1832 წლის შეთქმულების
მარცხით დამთავრების შემდეგ.

1 ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, წ. I გვ. 27.

მასალები 6. ლომოურის გიოგრაფიისათვის

„არცერთმა ჩვენმა დიდებულმა მწერალთაგანმა არ დაგვიტოვა თავისი განვლილი ცხოვრების მოგონებანი“, გულდათუთქული წერდა ნიკო ლომოურის თანამედროვე და მეგობარი სოფროში მგალიბლი-შვილი. არც ნ. ლომოურს დაუტოვებია იგი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დავით კარიჭაშვილისადმი მიწერილ ბარათს. რომელ-შიც ავტორი მოკლე ცნობებს იძლევა თავისი ცხოვრების შესახებ. მაგრამ ეს ცნობები იმდენად სქემატურია, რომ იგი თითქმის ვერა-ვითარ შუქს ვერ ჰყენს ნ. ლომოურის პიროვნებას. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ართულებს ნ. ლომოურის მიერ განვლილი ცხოვრე-ბის ნათელ სურათის აღდგენას.

ერთ-ერთ წერილში ნ. ლომოური სწერდა შიო დავითაშვილს: „პატარ-პატარა მოთხრობების წერის განზრახვა მეც მომივიდა.., მაგრამ სამწუხაროდ საშსახური დიდ დროს მართმევსო“¹. მართლაც, საუკეთესო დროის დიდი ნაწილი სკოლას მიჰქონდა და ნ. ლომოუ-რის, როგორც მხატვრის, კალამი მხოლოდ მაშინ ამუშავდებოდა, როცა დრო ამის საშუალებას იძლეოდა. ნ. ლომოური პირველ რიგ-ში პედაგოგი იყო, შემდეგ მწერალი — შემოქმედი, მაგრამ, მიუხე-დავად ამისა, ქართული კულტურის ისტორიაში ნ. ლომოური დარ-ჩა როგორც მწერალი — ბელეტრისტი, ხოლო როგორც პედაგოგი იგი თითქოს დაიჩრდილა.

რა არის ამის მიზეზი? „პედაგოგის მოღვაწეობა არ ჩანს, რაღ-ვან ის არ იწერება, გარეგნულ კვალს არ სტოვებს. დიდებული პედაგოგი დიდებულია მხოლოდ იმ დროს, როდესაც მას მოწაფებ-თან აქვს საქმე... ის ჰქმნის თავის პიროვნებით. მოკვდა პიროვნე-

¹ საქ. სახ. ლიტ. მუხეუმი. ნ. ლომოურის ავტოგრაფი № 589/2.

ბა — გაქრა მისი დიდებაც¹, სამართლიანად აღნიშნავდა გაზეთ „ახალი ქართლის“ თანამშრომელი ნ. ლომოურის შესახებ დაბეჭდილ წერილში. მართლაც, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც ნ. ლომოურის, როგორც პედაგოგის, პიროვნება ნისლში გაძლიერდა, მაგრამ მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში ნ. ლომოურის დამსახურება იმდენად დიდია, რომ იგი გვიხმობს — მოვაშოროთ ბურუსი იმ ნატ-ეკლით მოფენილ პედაგოგიურ გზას, რომელიც გაიარა სახელმოაწმა პედაგოგმა — მწერალმა, და მოვამზადოთ ნიადაგი მისი ვრცელი და სრული ბიოგრაფიის შესაღენად.

ნ. ლომოური დაიბადა 1852 წლის 19 თებერვალს, შუა ქართლის ერთ პატარა, მყუდრო სოფელ არბოში. ნიკოს მამა, იოსები. შინაურულად განათლებული, ამავე სოფლის მღვდელი იყო, დედა, ეფემია გვიმრაძის ქალი — დიასახლისი. სოფელ არბოს მცირერიცხოვანი მცხოვრებინი იოსებ ლომოურის ოჯახთან დაკავშირებულნი იყვნენ ნათესაობით და „ნათლიმირონით“. ნ. ლომოურის ბავშვობის საუკეთესო წლებმა სოფლად გაიარა. მთელ დღეს და ხშირად ღამებსაც იგი თავის ტოლ გლეხის ბავშვებთან ატარებდა, მისთვის ლია იყო ყოველი გლეხის ოჯახის ქარი, სადაც პატარა ბავშვის თვალწინ ნათლად იშლებოდა გლეხობის ცხოვრების შავბნელი სურათები. ზამთრის გრძელ ღამეებში მოგიზგიზე ბუხრის წინ მოსმენილი ზღაპრები და არაკები, გამოცანები, ანდაზები და შაირები-პატარა ნიკოს ბუნებაზე ცხოველ შთაბეჭდილებას ახდენდა. გლვებობის გულიდან ამონახეთქი წრფელი სიყვარული აფაქიზებდა მის გრძნობას და ბავშვობიდანვე აყალიბებდა მის სპეტაკ გულში მომავალ „ტეტიათა მოტრფიალეს“. „მე მათ ვუყვარდი, მიფრთხილდებოდნენ, მიალერსებდნენ და რა გასაკვირველი იქნება, რომ ბავშვის გულიც მათ მიჰკროლა“², წერდა უკვე ჭალარამოსილი მწერალი 1904 წელს .

ქართული წერა-კითხვა პატარა ნიკოს სოფლის დიაკვანმა შეასწავლა. ნიკოს მამა გრძნობდა განათლების უდიდეს ძალას, ხედავდა სწავლის აუცილებელ საჭიროებას და უნდოდა შვილებისათვის სათანადო განათლება მიეცა. ამ მიზნით რვა წლის ნიკო მამამ გორში

¹ გამ. „ახალი ქართლი“, 1915 წ., № 55.

² „ლიტერატურის მატიანე“, წიგნი 1—2. გვ. 513.

ჩაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. ეძნელებოდა
პატარა ბავშვს სოფლის მოშორებას. სოფლად რჩებოდა ყოველიც ე
ჟაუკეთესო. რაც კი ფხიზელ გონებას და მგრძნობიარე გულს
სიამით უძერებდა. დიდხანს ვერ შეეგუა ნიკო სასწავლებლის
ატმოსფეროს, სევდა-ნაღველი ხშირად შემოაწვევდოდა. მისი ოცნე-
ბა სოფლის ბაღებსა და ორბობებში დაჭროდა, გლეხური ქოხმახე-
ბი, კალო-საბძელი ანდამატივით იზიდავდა მშობლიურ კერას
აღრე მოშორებული ბავშვის ბუნებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა,
მან სწავლაში საკმაო ნიჭი და ბეჭითობა გამოიჩინა, ცოცხალი
ბავშვის მკვირცხლი გონება იოლად ითვისებდა სასწავლო დისცი-
პლინებს, რომლითაც მეტად დამძიმებული იყო იმ პერიოდის სქო-
ლასტიკური სასწავლებელი.

6. ლომოური სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასში კარგი
წარმატებით გადავიდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ კინალაშ სამუდა-
მოდ დაატოვებია სკოლა. სწორედ ამ პერიოდში საქართველოს
ექსარხოსის განკარგულებით იოსებ ლომოურს მრევლი ჩამოარ-
თვეს. ამ გარემოებამ საკმაო ეკონომიურ გაჭირვებაში ჩაავდო
ი. ლომოურის მრავალრიცხოვანი ოჯახი. სწავლის მოყვარულ
ბავშვს საფრთხე ელოდა იგი სკოლას უნდა გამომშვიდობებოდა და
თავისი ტოლ-მეგობრების მსგავსად მწყემსობა-მენაბირეობით
ერჩინა თავი. მაგრამ მისი სწავლა-აღზრდის ხელმძღვანელობა
იყისრა უფროსმა ძმამ, რომელიც თბილისის სასულიერო სასწავლე-
ბელში მასწავლებლობდა. პატარა ნიკო მან თავისთან წაიყვანა.

თბილისის სასულიერო სასწავლებლის რეჟიმი კოშმარივით
აწევა მოზარდ თაობას. „მაშინ ჯერ მხებლა ისევ მეფობდა. დაბალ
კლასებში, საღაც წვრილფეხობა იყო, ყველა გაეცეოთილზე გაიხო-
და ბლავილი და ლრიალი.

დღის განმავლობაში ნახევარი კლასი მაინც დაიშეპლებოდა,
რაც კლასი უფრო ზევით იყო, იმდენი იშვიათად იცემებოდა, თუმცა
სულ ზემო კლასსაც დანაშაულის დროს არ ასცდებოდა ეს. კონების
მოტანა დავალებული პქონდა იმ შეგირდებს, რომელიც განაპირას
სცხოვრობდნენ ბაღებს ახლო. იმ ბაღებიდან იპარავდნენ ჭინელებს
და კლასში მოპერნდათ, იქვე ინხებოდა მერჩებში. შიშით ვინ
ახლებდა ხელს. ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ცემა, რომ

თუნდ ეგზარხი მოსულიყო კლასებში დასავლელად, მასწავლებლები თავისას არ იშლიდნენ“¹.

საშინელი იყო თვით სწავლების პროცესიც. არავითარი ახსნა-განმარტება, არავითარი სწავლება, ამ სიტყვის ნამდგილი მნიშვნელობით! მასწავლებლობა ვალდებულებას არ გრძნობდა—გაეაღვი-ლებინა მოსწავლეთაფის მათთვის სჩულიად ზედმეტი და გაუგებარი საგნების სწავლება. ამგვარ ჯოჯონქურ პირობებში მოუქდა ნ. ლომოურს სწავლა თბილისის სასულიერო სასწავლე-ბელში.

უფერულად მიმდინარეობდა ნ. ლომოურის ცხოვრება სასუ-ლიერო სასწავლებლის მეოთხე კლასამდე „მოსწავლე-მასწავლე-ბელნი ორ მტრულ ბანაკად იყვნენ გაყოფილნი, ბურსაკების სამა-გალითო ამხანაგი, ნამდვილი გმირი ის იყო, რომელიც უფრო მეტ უსიამოვნებას აყენებდა უფროსებს... მთელი ცხოვრება უბედური სასწავლებლისა გონებითი და ზნეობრივი წყვდიადით იყო მოცული და ამ წყვდიადში უცბად აინთო ბრწყინვალე ლამპარი განათლებისა და კაცომოვნარეობისა. ეს იყო მაღალი აზრებით ნათელმოსილი პიროვნება იაკობ სვიმონის-ძე გოგებაშვილისა“²; რომელიც სასუ-ლიერო სასწავლებლის ზედამხედველად გაამწესეს კიევიდან და-ბრუნების შემდეგ.

ი. გოგებაშვილის მოსვლის შემდეგ სასულიერო სასწავლებლის ცხოვრების სურათი საგრძნობლად შეიცვალა. „იმ დღიდან შესწყდა კლასში მოსწავლის გალაზვა, დაჩოქებით დასჯასაც ერიდებოდნენ მასწავლებლები³. შეიცვალა სწავლების წესიც. ი. გოგებაშვილი. მოგვითხრობს ნ. ლომოური, „გეოგრაფიას გვასწავლიდა. პირველად ქართულად აგვისნიდა, მერე რუსულად და გაძვეთილს იქვე კლასში ვსწავლობდით. ესეთი გაკვეთილი პირველი უცნაური ხილი იყო ჩვენთვის. კაჭკაჭურ ზეპირებას, ტევასა და ცემა-ტყებას და-ჩვეულნი მოხსენებულ გაკვეთილებს სარწმუნებრივის თაყვანის-ცემით შეცდებულით“⁴.

¹ „ლიტერატურის მატიანე“, წ. 1—2, ვ. ბარნოვი — „სამუშარო ღიმი“.

² კრებული „ი. გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913 წ., გვ. 12.

³ „ლიტ. მატიანე“, წ. 1—2, გვ. 66.

⁴ იქვე, გვ. 513.

სწავლების ასეთივე მეთოდს მოითხოვდა ი. გოგებაშვილი სხვა
მასწავლებლებისაგან. იგი დაუახლოვდა მოწაფეობას. უფროისი
კლასების ზოგიერთი მოსწავლე და მათ შორის ნ. ლომოური და
დადიოდა იყობთან, ეცნობოდა მის აზრებს, მისწრაფებებს. სწავლა
და თუ რა წიგნებს კითხულობდა იგი, თითონაც შოულობდა ამ
ლიტერატურას და გულმოდგინებით კითხულობდა. „მას ვგაძავდით
ყველაფერში — გადმოგვცემს ნ. ლომოური — ხშირად წვრილმა-
ნებშიაც კი. მაგალითად ლაპარაკის კილოში, სიარულში და სხვა¹—
ფერცვლილმა ცხოვრებამ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლენი
გამოაფხიზლა და იმედის სხივით გააბრწყინა.

თბილისის სასულიერო სასწავლებელი ნ. ლომოურმა 1869
წელს დაამთავრა და ამავე წელს სწავლის გასაგრძელებლად შევიდა
თბილისის სასულიერო სემინარიაში.

ნ. ლომოურს აქაც სულის შემხუთავი პირობები დაუხვდა.

სემინარიის რექტორად იყო არქიმანდრიტი ვალენტი „კაცი
გაუნათლებელი, ბლუ, ლოთი, ზნეობადაცემული, ყოველნაირად
გაქნილი და გაიძვერა“², რომელმაც სემინარია მოსწავლეთათვის
საპყრობილედ გადააქცია. მკაცრმა რეჟიმმა, რომელიც სემინარიაში
რექტორის წყალობით გამეფდა, მრავალი სემინარიელი სამუდამოდ
მოაშორა სწავლას.

ამგვარი არაადამიანური ცხოვრების პირობებმა სემინარიე-
ლებს მოთმინების ფიალა აუკსო და 1870 წელს შეთქმულებაც ჯი
მოაწყეს: „გადასწყვიტეს ისე ეცემნათ მოხელეთათვის, რომ საღაც
თავისი დაეკვენათ, იქ არც სემინარიელები დავიწყებოდათ, მაგ-
რამ მაბეზლარებმა შეატყობინეს რექტორს და შუაღამისას. როდე-
საც ერთი თვალის დახმამებაზე თითქმის სამასამდე მოსწავლე
გამოიენინა ზემოთ ბალკონზე და შეიქმნა უცებ საშინელი ყვირილი:
„პური გვშიან, პური გვშიან“, იმ იმედით, რომ ამ ხმაურობაზე
გარეთ გამოვლენ მოხელებიო, ესენი, არ გამოვიდნენ. მაშინ „ბუნ-
ტოვშჩიკებმა“ მხოლოდ ესლა მოახერხეს, რომ დაუწყეს რექტორის
ფანჯრებს სროლა და რამდენიმე შუშაც ჩაულეწეს“³.

¹ იქვე.

² ქრებული „ი. გოგებაშვილის სახსოვრად“, გვ. 17. საჯარო
მინისტრის მიერ გვშიან“.

³ ეურ. „იმედი“, 1882 წ., № 1, გვ. 28.



ამ შეთქმულებაში ნ. ლომოურიც აქტიურ მონაწილეობას
იღებდა.

უვარგისი იყო პედაგოგიური პერსონალიც. ნ. ლომოურიც ფლე-
ნებს ფილოსოფიის მასწავლებელ კოვროვსა და ფიზიკა-მათემატი-
კის მასწავლებელ კოროლენსკის. კოვროვი — გადმოგვცემს იგი, —
„თაგისი მეტის-მეტად ჩქარი და დაუსრულებელი ლაპარაკით
უფრო წააგავდა წისქვილის სარეკელას, ვიდრე მასწავლებელს. და
როგორც სარეკელას კაკუნიდან ადამიანი ვერავითარ აზრს ვერ
გამოიტანს, ისე ამ კაცის ვითომდა ლექციებიდან არაფერი არ გამო-
ჰქონდათ რა მოსწავლეებსაც. შემოცუნცულდებოდა კლასში, და-
სკუპლებოდა სკამზე და იმავე წამს კარგი იორღა ცხენივით გაჰკრავ-
და... კლასში კი ათასასირი უწესრიგობა იყო გამეფებული: ზოგი
ყველსა და პურს გულიანად შეექცეოდა, ზოგნი ქაღალდსა თამა-
შობდნენ; ერთი რომ გრძელ სკამზე გაშოთილიყო და ხვრი-
ნავდა, მეორე პურს გულისაგან პაწია გორგოლებს აკეთებდა.
ამასთანავე მთელ კლასში იდგა დაუსრულებელი გუვუნი ორმოცი
კაცის დაბალხმიანი ლაპარაკისა, ჩხუბისა, კითხვისა და ხშირად
გალობა სიმღერისაც“¹.

ასეთივე უშინაარსო და არაფრის მომცემი იყო გაკვეთილები
დეკანზე კოროლეესკისა: — „დაიწყებოდა თუ არა მისი გაკვეთილი,
ნაწევარ კლასამდე სულ ერთიანად კარზე გაიხვეტიებოდა. თანჯრე-
ბიდან ქუჩაში გადიოდნენ და აქედან იმავე წამს ტრაქტირში ამო-
ყოფდნენ თავს“².

70-იანი წლების დასაწყისიდან სემინარიის ბნელ ჭურლმულებ-
ში ერთგვარმა ნათელმა სხივმა შეაშუქა. 1871 წელს მოსკოვის
სასულიერო აკადემიიდან საქართველოში დაბრუნდნენ ნიკო ცხვე-
დაძე და გიორგი იოსელიანი, რომელნიც თბილისის სასულიერო
სემინარიაში იქნენ გამწესებულნი მასწავლებლებად. „მათი მოსკოვი
დან სრულიად ახალი ხანა დაიწყო სემინარიაში, — მოგვითხობს
ს. მგალობლიშვილი, — საგნებს ასწავლიდნენ კარგად, შეგირდებს
ადამიანურად ეპყრობოდნენ, გვაძლევდნენ საკითხავ წიგნებს, გვა-
ყვარებდნენ სამშობლო ენას და ლიტერატურას“³. მალე ძათ

¹ ქრებული „ი. გოგებაშვილის სახსოვრიდ“.

² ი ქ ე.

³ ს. მ გ ა ლ ა ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ს, „მოგონებანი“, გვ. 47.

შეემატნენ ამები ცვეტეკოვები, რომელიც მჭიდროდ დაუახლოვ-
დნენ ქართველ მასწავლებლებს. ამგვარად, შეიქმნა პატარა ჭგუფი
სპეტაკი აღამიანებისა, რომელთაც მიზნად დაისახეს მოზარდი თაო-
ბის სწავლა-აღზრდისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობე-
სება. „ესენი ხშირად იკრიბებოდნენ ერთმანეთთან, უფრო კი და-
კობთან. ცხარედ, გატაცებით მსჯელობდნენ, ბაასობდნენ დასახული
მიზნის მისაღწევად. ეს ბაასი ხშირად მოსწავლეებშიც გადმოდიო-
და. რაღა თქმა უნდა, დიდი უმრავლესობა აღტაცებით ეგებებო-
და“¹. ამრიგად, სემინარიის პედაგოგიური კოლექტივი ორი ერთი-
მეორის საწინააღმდევო ჭგუფად გაიყო; ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე
და სხვანი სცდილობდნენ სემინარიელთა ცხოვრების და სწავლა-
აღზრდის გაუმჯობესებას, სემინარიის რექტორი და „მანი მისნი“ კი
ძველი რეჟიმის მტკიცე დამცველებად გამოდიოდნენ. ნ. ლომოური
თვალიათლივ ხედავდა ატეხილ ბრძოლას, ერკვეოდა ამ ბრძოლის
ხასიათში;. უკვე მოწიფული ახალგაზრდა უკვირდებოდა ახალ
იდეებს, შემოჭრილს სემინარიის ჩინურ კედლებს შორის, და სრუ-
ლი შეგნებით ი. გოგებაშვილისა და მის თანამებრძოლთადმი ღრმა
სიმპათიით იმსჭვალებოდა.

სემინარიის ბიბლიოთეკა მდიდარი იყო ისტორიული, საღვთის-
შეტყველო და ფილოსოფიური წიგნებით, მოიპოვებოდა აგრეთვე
რუსული და ევროპული ბელეტრისტიკა. მაგრამ მოწაფეობას მარტო
ეს ლიტერატურა არ აქმაყოფილებდა, მათ თავიანთი ფულით შეძე-
ნილი ჰქონდათ აგრეთვე საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც
სემინარიის ადმინისტრაციის მიერ არ იყო ნებადართული და ამის
გამო არალეგალურად ინახებოდა. ეს წიგნთსაცავი შეიცავდა უურ-
ნალ „სოვრემენიკის“ თითქმის ყველა ნომერს, ბელინსკის, დობრო-
ლიუბოვის და პისარევის თხზულებებს, უურნალ „ქოლოქოლის“
ზოგიერთ ნომერს, უურნალ „ცისკარს“, „საქართველოს მოამბეს“,
გაზეთ „დროებას“, „ქართლის ცხოვრებას“ და სხვ.

ნიკო ლომოური, — გადმოგვცემს ს. მგალობლიშვილი, — „მუ-
ყაითად იჭდა ამ წიგნთსაცავში და კითხულობდა. ბუნებით

¹ კრებული „ი. გოგებშავილის სახსოვრად“.

სუსტი იყო, ამხანაგები ვუშლიდით განუწყვეტელ შრომას, მაგრამ შრომა შესისხლხორცებული ჰქონდა, ის მისი მეორე ბუნება იყო”¹.

ნ. ლომოური თავის ავტობიოგრაფიულ წერილშიაშ პერიოდის შესახებ მოვკითხრობს: „ამ დროს ილია ჭავჭავაძეც გავიცანით. ენით გამოუთქმელი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე მისმა „გლახის ნაამბობმა“, რომელშიაც ისეთის აღტაცებულის გრძნობით არის აღწერილი გლეხეცაცი. ჩვენებური გლეხობა ხომ პატარაობისასვე მიყვარდნენ, როგორც ნათესავები, ჩვენი ოჯახის წევრნი. მოხსენებულმა წიგნმა ახლა პატივისცემაც აღძრა ჩემს გულში გლეხებისა. ამავე დროს წავიკითხე დობროლიუბოვი, ჩერნიშვესკი, გლებ უსახეცი, ნეკრასოვი. ამათ ერთი ათად გააფართოვეს ჩემი შეხედულებანი, გრძნობანი, რწმენანი გლეხის შესახებ. შესდგა ერთგვარი, გამორკვეული მიმართულება, რომლის გზასა და კვალს დავადექი და მას აქეთ ამ გზისთვის არ გადმიხვევია... ხალხოსნობა, სახალხო მიმართულება (народничество) გადაიქცა მთელი ჩემი სიცოცხლის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად”².

თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე ახალგაზრდობაზე, კერძოდ ნ. ლომოურზე, 70-იანი წლების მოძრაობამ საგრძნობი გავლენა მოახდინა. სემინარიაში შეიქმნა პატარა ჯგუფი მოწაფეებისა, რომელშიც შედიოდნენ: ნ. ლომოური, ი. ბაქრაძე, ს. მგალობლიშვილი, გ. უთურგაული, ი. მეუნარგია და სხვანი... ჯგუფმა ვაიჩინა ხელნაწერი უურნალი სახელწოდებით „შრომა“, რომელიც 1871 წლის მარტამდე გამოდიოდა გ. უთურგაულის რედაქტორობით და ნ. ლომოურის უახლოესი თანამშრომლობით, რომელიც უურნალში თავის ლექსებს ათავსებდა.

მაგრამ სემინარიელები მარტო საკუთარი უურნალით არ კმაყოფილდებოდნენ. ახალგაზრდული ენერგია და სათანადო მომზადება მათ შესაძლებლობებს აძლევდა უფრო ფართოდ გაეშალათ სამოქმედო მხრები და მონაწილეობა მიეღოთ ოფიციალურ უურნალ „მნათობში“.

„მნათობი“ — წერს ს. მგალობლიშვილი, — ანტონ ფურცელაძის ორგანო იყო. სოსიკო (ბაქრაძე, — ი. ბ.) და ნიკო (ლომოურ

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 263.

² „ლიტ. მატიანე“, წიგნი 1—2, გვ. 513—14.

რი, — ი. ბ.) ანტონის ნათესავები იყვნენ, ერთ სოფლიდან, არბა-
ლან, ჭშირად ვიკრიბებოდით... „მნათობის“ რედაქციაში. ზოგიერ-
თი ჩვენგანი ასოთამწყობი და მბეჭდავიც კი იყო, თითქმის ზვენიული
შეცადინეობით გამოდიოდა უურნალი. როცა ასე დაუახლოედით იმის
„მნათობს“, მაშინ თავი დავანებეთ ხელნაწერ უურნალს და წერი-
ლებსა და ლექსებს ვაძლევდით „მნათობს“ და „დროებას“¹.

სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ნ. ლომოურის გამოსვლა
სალიტერატურო ასპარეზზე. მისი პირველი ლექსი 1871 წელს დაი-
ბეჭდა „მნათობში“. ხოლო „დროებაში“ მოათავსა კორესპონდენციე-
ბი სემინარიელის ფსევდონიმით. დიდი გავლენა იქონია აგრეთვე
ნ. ლომოურის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე ანტონ ფურ-
ცელაძის ოჯახში სიაღულმა, რომელიც, ს. მგალობლიშვილის
თქმით, „1869 წლიდან წარმოადგენდა სტანკევიჩისებურ სალონს,
სადაც იყრიბებოდნენ „მნათობის“ თანამშრომლები, განსაკუთრე-
ბით სემინარიის მოსწავლენია², ქართველი ინტელიგენციის საუკე-
თესო ნაწილი და მართავდნენ სჯა-ბაას სხვადასხვა საკითხებზე.

1872 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში გიორგი
იოსელიანის მაგიერ ინსპექტორად ივანე კუვშინსკი გაამწესეს, რო-
მელიც ქართველობას ზიზღით უცქეროდა. მიიღო რა თანამდებობა,
კუვშინსკიმ იმავე დღიდან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუ-
ცხადა ქართულ ენას. „მართალია ქართულ ლიტერატურას არ გავ-
დიოდით, გადმოგვცემს ს. მგალობლიშვილი, — მაგრამ კვირაში
თითო-ოროლა გაქვეთილი მაინც გვქონდა და უამნ-დავითნს გვაყი-
თხებდნენ. კუშინსკიმ დაგვიშალა არა თუ ქართული წიგნების
ქითხვა, რომელიც სოსიკოს და ნიკოს შემოქონდათ გარედან, არა-
მედ ქართული ლაპარაკიც კი ერთმანეთს შორის“³.

მიუხედავად სემინარიის დირექციის სასტიკი მუქარისა და
შრავალგვარი სასჯელისა, ნ. ლომოურს ერთხელ ალებული გეზისა-
თვის არ უღალატნია. ფიზიკურად სუსტი, მაგრამ სულიერად ძლიე-
რი კაბუკისათვის დირექციის წინაშე რაიმე კომპრომისზე წასვლა
წარმოუდგენელი იყო; ბრძოლა ხალხის კეთილდღეობისათვის მის

¹ გან. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 263.

² ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი“, გვ. 207.

³ გან. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 253.

შინაგან მოწოდებას წარმოადგენდა და ცხადია, მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდა მიზნის მისაღწევად ყოველგვარ საშუალებას იხმარდა და ეს ასეც ხდებოდა. ამრიგად, სემინარიის დირექციის წინააღმდეგ გამართული ფარული თუ აშკარა ბრძოლით 1875 წლის ივნისში ნ. ლომოურმა დამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია!

სემინარიის დირექცია კარგად გრძნობდა, რომ ნ. ლომოური არ გაჰყვებოდა სასულიერო სამსახურს და, რომ როგორმე შეეზღუდათ მისი მისწრაფებანი, ლომოურის ატესტატს მეორე გვერდზე შემდეგი მინაწერი გაუკეთა:

«Правление Тифлисской духовной семинарии просит ближайшее начальство того ведомства, где будет состоять на службе Николай Ломоури, в случае его выхода из духовного звания и ведомства вражданское, — производить вычет за содержание его в семинарии в количестве трехсот пять рублей (305 р.)».

თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, 23 წლის ჭაბუკი თავისუფლად გამოვიდა ცხოვრების სარბიელზე, ჩვეულებრივი სიღინჯით ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ქართველი გლეხის ცხოვრებას და იგივე საზარელი სურათები დაიხატა მის თვალშინ, რასაც ბავშვობის პერიოდში უმზერდა. „ის ცხადად ხელავდა გლეხებაცის გნუზომელ სიღარიბეს, მის დავრდომილებას, მისი აზრისა, გრძნობისა და გონების დაუძლურებას, ხელავდა მის გამუდმებულ მძიმე ჯაფას, რომლისაგან იგი ჯანითა და აგებულებით სუსტდებოდა, წრიოკდებოდა და გადაშენების საზარელ უფსკრულს უახლოვდებოდა... მას წარმოუდგა ის შავბნელი გარემოებანი, რომელთაც დაპჰადეს ქვეყნად ერთის მხრივ ეხლანდელი მშეერმწყურვალი გლეხებაცი, ხოლო მეორის მხრივ მისი ოფლისა და სისხლის მსმელი, მისი მჭიდრეობის არფეხა ნაღირი... მე უნდა მივე-შველო ხალხსა, ძმურად გვერდში ამოვუდგე და მის ფეხზე წამოყენებას შევწირო მთელი ჩემი სიცოცხლე“.²

ასეთი აზრებით გატაცებული ნ. ლომოური, რომელიც უკავე

¹ ნ. ლომოურის ატესტატი თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრებას შესახებ ინახება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 150 ნომრით.

² ნ. ლომოური, „მოთხრობები“, „გიგო ლრუბელშვილი“.

ჩამოყალიბებული ხალხოსანი იყო თავისი იდეებითა და მიმართულებით, კევში გაემზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად. მას უნდოდა უნივერსიტეტში შესვლა სამედიცინო ფაკულტეტზე, უნდოდა შეესწავლა ბავშვის ექიმობა, მაგრამ ძველი ენების უცი დინარეობამ მის მისრაფებას ფრთხები შეაკვეცა და 1875 წლის 30 აგვისტოს ჩაირიცხა კიევის სასულიერო აკადემიაში ისტორიის ფაკულტეტზე.

სამწერაროდ, ძალიან მცირე ცნობები მოგვეპოვება ნ. ლომოურის კიევში ყოფნის ირგვლივ, მაგრამ ეჭვს გარეშეა რომ იგი საკმაოდ უნდა ყოფილიყო ჩამული ხალხოსნურ მოძრაობაში, რომელიც რუსეთში ამ პერიოდში ძლიერ მიმართულებას წარმოადგენდა.

ცოდნის შეძენის წყურვილით გატაცებული ნ. ლომოური ჩვეულებრივი მუჟაითობით უჯდა სამეცადინო მაგიდას და კითხულობდა, კითხულობდა განუწყვეტლივ ოფიციალურ თუ არა ოფიციალურ ლიტერატურას. განსაკუთრებით გულმოდგინებით კითხულობდა პედაგოგიის კლასიკოსებს. რუსოს და პესტალოცის თხზულებანი მის უსაყვარლეს წიგნებს წარმოადგენდნენ, ღრმად ეცნობოდა სხვადასხვა პედაგოგიურ თეორიებს და საფუძლიანად ეშვადებოდა მომავალი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

მაგრამ იგი მარტო ამგვარი კარჩაკეტილი მუშაობით არ კმაყოფილდებოდა, მეგობრებისაღმი დახმარება, ზრუნვა მათი თვითგანვითარებისათვის, ამხანაგური თანაგრძნობის გაწევა ჭირსა და ლხინში, მისი სპეტაკი ბუნების შინაგანი მოწოდება იყო. სწორედ ამიტომ ნ. ლომოურს პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა არა მარტო კიევში მყოფი ქართველი სტუდენტობა, არამედ „დიდ პატივს სცემდნენ აკადემიის რუსი სტუდენტებიც“¹.

ამ პერიოდში კიევის უნივერსიტეტში ნ. ლომოურს გარდა ხუთი ქართველი ახალგაზრდა იყო. კიევის გიმნაზიაში კი — დავით კლიდაშვილი.

ნ. ლომოურმა კიევის სასულიერო აკადემიაში ყოფნის დროს უკვე საბოლოოდ გაითვალისწინა თავისი ცხოვრების გზა. აქ ამუშავდა პირველად მისი, როგორც ბელეტრისტის კალამი, რომელმაც

¹ დ. კლ დ ი ა შვ ი ლ ი, მემუარები, 1932 წ., სახელგამი, გვ. 28.

ძვირფასი ნაწარმოები შესძინა ქართულ ლიტერატურას. ეს იყო
მოთხრობა „ალი“.

„ალი“ 1878 წელს კიევში მყოფობის დროს დავწერე, — გა-
დმოგვცემს ნ. ლომოური, — ეს მოთხრობა ლაპარაკის დროს ანტონ
ფურცელაძეს ეძაგებინა (უსამოვნოთ ვიყავით მაშინ). მომწერეს
და ცუდად იმოქმედა, მაგრამ ამ დროს გამოვიდა ო. ჭავჭავაძის
წერილი, რომელშიც დიდად აქებდა „ალსა“. იაკობსაც ექვ და ამ
გარემოებამ საბოლოოდ გადამზტყვეტინა მოთხრობების წერა¹.
მართლაც, ამის შემდეგ ნ. ლომოურმა თითქმის სრულებით მიანება
თავი ლექსების წერას, მით უმეტეს, რომ აკაკი წერეთლის ჩერვით
უმჯობესი იქნებოდა პროზისათვის მოეკიდნა ხელი.

კიევის სასულიერო აკადემია ნ. ლომოურმა საღვთისმეტყველო
მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით 1879 წელს დამთავრა².

მიუხედავად იმისა, რომ კიევის სასულიერო აკადემიის საბჭომ
ნ. ლომოურს სრული უფლება მიანიჭა — ეითა მაგისტრის ხარისხი,
იგი კიევში ალარ დარჩენილა და აკადემიის დამთავრებისთანავე
სამშობლოსაკენ გმირეშურა.

თბილისში დაბრუნებული ნ. ლომოური 1879 წელს მიწვევულ
იქნა ახლადგახსნილ თბილისის სათავადაზნაურო სკოლის გამგელ.

როგორც ცნობილია, 70-იანი წლების მიწურულში საქართვე-
ლოში სახალხო განათლების დარგში რუსიფიკაცია უკვე საქმაოდ
მდინარებდა. მოზარდი თაობის დამახინჯება ნორმალური აღზრდის
მაგიერ საქართველოს სკოლებში დიდი გულმოდგინებით ტარტებო-
და განათლების „მესვეურთა“ მიერ. ამ მდგომარეობით შეძრწუნე-
ბულ გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთ კორესპონდენტს დიდ მიღწევად
მიაჩნდა თუნდაც იმ წესების აღდგენა საქართველოს სკოლებში,
რომელნიც ჭერ კიდევ ამ ათი წლის წინათ მოქმედებდნენ.

ამ მხრივ თბილისის სათავადაზნაურო სკოლა გამონაკლისს არ
წარმოადგენდა. მოსწავლეების დასჯაწამება, მტრული დამოკიდე-
ბულება მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის, დაუსრულებელი

1 „ლიტ. მატანე“, წიგნი 1—2, გვ. 514.

2 ნ. ლომოურის დიპლომი კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრებას
შესახებ ინახება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 151 ნომრით.

ზეპირობა და არაშეგნებული სწავლება თბილისის სათავადაზნაურო
სკოლის ცხოვრების დამახსიათებელ მოვლენას წარმოადგენდა.

ბუნებრივია, რომ მოწინავე პედაგოგიური იდეებით შეიარავ ლებული ნ. ლომოური ვერ შეეგუებოდა მისდამი რწმუნებულ სასწავლებელში გამეფებულ ამგვარ არანორმალურ მდგომარეობას. იგი შეეცადა სკოლისა და მოსწავლეთა ცხოვრების გაუმჯობესებას.

პირველყოვლისა, მან მიზნად დაისახა სკოლისათვის შესაფერისი შენობის გამოძებნა. სკოლა პირველ ხანებში მოთავსებული იყო კუკის მიგარდნილ უბანში, თავისი სიპატარავისა და სიძველის გამო ეს შენობა სკოლისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო. ამიტომ ნ. ლომოურმა სათავადაზნაურო სკოლის საზოგადოების წევრთა პირველ საზოგადო ყრილობაზე საკოლო შენობის გამოძებნის საკითხი მთავარ საკითხად დააყენა. ყრილობამ გამოიტანა დადგენილება შესაფერისი შენობის გამოძებნის აუცილებლობისა, მაგრამ ეს საქმე არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

ორი წლის ძიების შემდეგ ნ. ლომოურმა უკვე მტკიცედ გადასწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სკოლა კუკის მიგდებულ, ჰუჭკიან უბნიდან ქალაქის რომელიმე ცენტრალურ რაიონში ვადმოეტანათ და ეს საკითხიც სკოლის საზოგადოების წევრთა ყრილობაზე დააყენა. ყრილობამ ასეთ რაიონად სოლოლაკი მიიჩნია და ნ. ლომოურის ინიციატივით სულ მოკლე ხანში თბილისის სათავადაზნაურო სკოლა სოლოლაკში მდებარე ერთ-ერთ სუფთა და ლამაზ შენობაში გადავიდა.

ძეელი დისციპლინა და სულის შემსუთავი რეეიმი, რომელიც ნ. ლომოურის მოსკლამდე თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში მძინარებდა, ნ. ლომოურის შემდეგ მოწაფეობაში მოგონებად დარჩა.

„როგორც ახალგაზრდა პედაგოგმა, — წერს ალ. გარსევანიშვილი, — მან (ნ. ლომოურმა, ი. ბ.) შემოიღო მისდამი რწმუნებულ სასწავლებელში და პანსიონში ახალი წესები. ლომოურმა უარჲყო სავსებით ძეელი დისციპლინა“¹.

ნ. ლომოურს ღრმად სწავლა, რომ აღმზრდელობითი პროცესის

¹ ალ. გარსევანიშვილი, „ნ. ლომოურის შესახებ“, სახალხო განაცლების მუზეუმი. საქმე № 155.

სწორად წარმართვისათვის აუცილებელი იყო ღრმა სიყვარულის გრძნობის განმტკიცება მოსწავლეებსა და მასწავლებელთა შორის. „ჩემი და მათი (მოწაფეების ი. ბ.) ურთიერთობა, — წერდა იგი, მხოლოდ და მხოლოდ ამ სიყვარულსა და პატივისცემაზე უნდა იყოს დამყარებული. ერთი მხრივ ტევა, შიში, მონური კრძალვა-პირფერობა, უნდა სამუდამოდ გაჰქრენ ახალი სასწავლებლიდან. მასწავლებლის სახელის ლირის არ არის ის, რომელიც არ მისდევს ამ მცნებას¹. და მართლაც ნიჭიერი პედაგოგი, მთელი თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის სარბიელზე განუხრელად ემსახურებოდა ამ ჭეშმარიტი მცნების ცხოვრებაში გატარებას. მან შესძლო ადამიანური გრძნობის საფუძველზე დაეპყრო მოზარდი თაობის ბუნება და მრავალგზის აწონილ-დაწონილი პედაგოგიური ნაბიჯით აღეზარდა ნორჩი ქართველები სამშობლოს მგზნებარე სიყვარულის გრძნობითა და სათანადო ცოდნით შეიარაღებულნი.

ნ. ლომოურის მოღვაწეობამ თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში წარუშლელი კვალი დატოვა მის მოწაფეებში. თითქმის ოთხი ათეული წლის შემდეგ მისი ნამოწაფრები, უკვე ჭალარამოსილნი, განსაკუთრებული გრძნობით იგონებდნენ თავის მასწავლებლებს.

მრავალი მოგონებაა გაფანტული ჩვენი პერიოდული პრესის ფურცლებზე ამ გულობილი ადამიანის შესახებ. მოგონებათა თითოეულ სტრიქნიდან ნათლად გამოსცვივის ის უღრმესი სიყვარული და პატივისცემა, რომელიც ნ. ლომოურმა მოზარდ თაობაში სამართლიანად დაიმსახურა.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ლომოურს თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში გამგის ადგილი ეჭირა და მატერიალურადაც შედარებით უზრუნველყოფილი იყო, იგი მაინც გრძნობდა, რომ ეს თანამდებობა არ შეეფერებოდა მის ბუნებას. მისი მოღვაწეობა სხვა სარბიელზე უფრო ნაყოფიერი იქნებოდა. ამ მიზნით მან განიზრახა სათავადაზნაურო სკოლის მიტოვება და გორის საოსტატო სე-მინარიაში გადასვლა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ნ. ლომოურის მასწაფება გორის საოსტატო სემინარიისაკენ შემთხვევითი ხასიათისა არ იყო. გორის საოსტატო სემინარია მიზ-

¹ ლიტ. მუზეუმი, ნ. ლომოურის ავტოგრაფი, № 223 ა 4.

ნად ისახავდა მასწავლებლის აღზრდას სახალხო სკოლებისათვის.
ეს სკოლები კი ამ პერიოდში შეტად უნუგეშო მდგომარეობაში
იმყოფებოდნენ. ურნალ „იმედის“ ერთ-ერთი თანამშრომელი
შერილში—„ჩვენებური სწავლების ეხლანდელი მდგომარეობა“ სახა-
გალითოდ არკვევდა ამ პერიოდის სახალხო განათლების მდგომა-
რეობას საქართველოში და მის შემაფერხებელ მიზეზებს. „სწავლა
ჩვენებურ სახალხო სკოლებში, — შერდა იგი, — შერა-კითხვას არ
აღემატება. ორიოდე რუსული ლექსი და სიმღერა თუ გაიზეპირა
ბავშვმა, მერედ ისიც უაზროდ, როგორმე კაჭკაჭივით, ის არის და
ის, მით გათავდება მისი აღზრდა. თითქმის ყოველ ჩვენებურ სა-
ხალხო შკოლაში სრულებით მოუმზადებელი ოსტატები ასწავლიან...
სახალხო შკოლების პროგრამაც იმნაირად არის შედგენილი, რომ
ხეირიანი მასწავლებელიც ვერას გახდება... ჩვენებური გლეხობა
კარგად გრძნობს, რომ ამნაირად აღზრდილი ბავშვები ვერც იმ
მწარე ოფლით მოპოვებულ გროშს უზღავენ, რომელიც მათზე და-
ხარჯულა და ვერც არავის თავის სწავლით გამოადგებიან... ამიტომ
არის, ძლიერ ბევრგან იხვეწებიან ჩვენებური გლეხები, თუ შეი-
ძლებოდეს გაგვანთავისუფლეთ შკოლისაგან. ან კი ვინ გაამტკიც-
ნებს — პურს ითხოვენ და პურის ნაცვლად იმათ ქვას აჩეჩებენ
ჰელში“!¹

საქართველოს სახალხო სკოლების ამგვარმა უნუგეშო მდგომა-
რეობამ, მასწავლებლების ჩამორჩენილობამ და ამის შედეგად გლე-
ხობის უარყოფითმა დამოკიდებულებამ სახალხო სკოლებისადმი
ნ. ლომოური, როგორც გლეხებისათვის გულშემატკივარი, აიძულა
გორის საოსტატო სემინარიაში მოწყობილიყო ქართული სახალხო
სკოლებისა და ქართული გლეხობის კეთილდღეობის უზრუნველ-
ყოფის მიზნით.

1883 წლის 20 მაისს გორის საოსტატო სემინარიის დირექტორს
ნ. ლომოურმა თხოვნით მიმართა.

სემინარიის დირექტორი სემიონოვი საქმაოდ ფრთხილი მოხე-
ლე იყო და ვიდრე ნ. ლომოურს თხოვნაზე პასუხს გასცემდა, სცადა
გამოერკვა მისი პოლიტიკური კეთილსაიმედოება. ამ მიზნით 1883

¹ ურ. „იმედი“, 1881., № 2, გვ. 128—129.

წლის 7 ივნისის სემიონოვი სწერდა თბილისის გუბერნატორს, რომ ეცნობებინათ მისთვის: „О политической и нравственной благонадежности инспектора Тифлисской дворянской школы студента Киевской духовной академии Николая Помоури

ცნობა თბილისის გუბერნატორისაგან სემინარიის დირექტორმა სემიონოვმა იმავე წლის 29 გვისტოს მიიღო, რის შედეგადაც სემიონოვმა ოძრა შუამდგომლობა ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე გორის საოსტატო სემინარიაში ნ. ლომოურის ქართული ენის მასწავლებლად დანიშვნის შესახებ და შუამდგომლობასთან ერთად გადაუგზავნა ნ. ლომოურის განცხადება და დოკუმენტები.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი საბუთები ნ. ლომოურის კანდიდატურას მხარს უჭერდნენ ზემოხსენებული თანამდებობის დასაკავებლად მზრუნველი მაინც თავს იკავებდა მის საბოლოოდ და ნიშვნაშე და 1883 წლის 31 აგვისტოს სწერდა სემინარიის დირექტორს, რომ ნ. ლომოური დაუშვათ მასწავლებლად გორის საოსტატო სემინარიაში და საბოლოოდ დაემტკიცებინათ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი გამოირიცხებოდა სასულიერო უწყებიდან.

სასულიერო უწყებიდან ნ. ლომოური, საკუთარი განცხადების შედეგად, ავადმყოფობის საფუძველზე ჯერ კიდევ 1883 წლის 4 მარტს იქნა განთავისუფლებული, მაგრამ ცნობა გორის საოსტატო სემინარიის დირექტორმა ამის შესახებ მხოლოდ იმავე წლის 13 სექტემბერს მიიღო, რაც იმავე დღეს აცნობა მზრუნველს, მაგრამ ოლქის მზრუნველმა ნ. ლომოურის საბოლოო დამტკიცების თავიდან ასაცილებლად ახლა სხვა მიზეზი წამოაყენა: 1883 წლის პირველ ნოემბერს იგი სწერდა სემინარიის დირექტორს, რომ თუ კი ნ. ლომოური სასულიერო უწყებიდან გათავისუფლებულია ავადმყოფობის გამო, იგი არც ჩვენს უწყებაში გამოდგება სამუშაოდ და ამიტომ უმჯობესია სხვა კანდიდატურა იქნას მონახულიო.

მაგრამ, ვინაიდან, სხვა კანდიდატურის გამოქებნა მაინც და მაინც იოლი საქმე არ იყო და გარდა ამისა სემინარიის დირექტო-

¹ საქ. ნახ. განათლების მუზეუმი, საქმე № 1627, გვ. 10.

რისათვის ნათელი იყო, რომ ნ. ლომოური არც იმდენად ავად გრძნობდა თავს, რომ არ შესძლებოდა მუშაობა (ავადმყოფობა უფრო სასულიერო უწყებიდან გათავისუფლების მიზნით იყო ძოგონილი), ამიტომ ხელმეორედ აღძრა შუამდგომლობა ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე ნ. ლომოურის სამსახური. ში დამტკიცების შესახებ, რომლის პასუხი იმავე 1883 წლის 26 ნოემბერს მიიღო მზრუნველისაგან; მზრუნველი დასთანხმდა ლომოურის დანიშვნაშე გორის საოსტატო სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლად, მხოლოდ იმ პირობით, რომ ლომოური ყოველთვიური ჯამაგირიდან, დღიდან დანიშვნისა, ექვსი თვის განმავლობაში გადაიხდიდა კიევის სასულიერო აკადემიაში მასზე გაწეულ ხარჯებს¹.

ამრიგად, უკვე ოფიციალური ბრძანების საფუძველზე ნ. ლომოური 1883 წლის პირველი სექტემბრიდან გორის საოსტატო სემინარიის ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა.

გორის საოსტატო სემინარიაში დაჰყო ნ. ლომოურმა 1883 წლის პირველი სექტემბრიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე და ამ ხნის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა იგი სახალხო მასწავლებლის აღზრდის საქმეს.

ჩვენ ხელთ გვაქვს მისი ნამოწაფრების მოვონებანი, რომელიც ნ. ლომოურს უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით იხსენიებენ. რით დაიმსახურა ნ. ლომოურმა ესოდენ დიდი სიყვარული და პატივისცემა მოზარდი თაობისა?

ნ. ლომოური იყო ნამდვილი პედაგოგი, საუკეთესო მასწავლებელი და მოზარდი თაობის უერთგულესი მეგობარი, ის იყო ბავშვთა გულის ნამდვილი მესაიდუმლე და ამ თვისებებმა შეაყვარა იგი ნორჩ თაობას.

ნ. ლომოური „თავისი ბუნებრივი განსაკუთრებული თვისებებით იზიდავდა არა მარტო ქართველებს, რომლებიც განსაკუთრებულ სიყვარულით და პატივისცემით ვიყავით მისდამი განწყობი-

¹ ეს თანხა ნ. ლომოურს სრულად გადაახდევინეს.

² იხილეთ სახ. გან. მუზეუმი, საქმე № 1627, გვ. 18.

ლი, დანარჩენი ერების მოწაფეებსაც და ამათ თავის ზეგავლენით
აერთიანებდა ქართველებთან, ჰემიდა ერთსულოვან კოლექტივს¹.

მძიმე იყო ის პერიოდი, როდესაც ნ. ლომოურის მოუხდა მრა-
ღვაწეობა გორის საოსტატო სემინარიაში. ცარიზმის საგანმანათ-
ლებლო პოლიტიკა მოსწავლე ახალგაზრდობის გადაგვარებას ისა-
ხავდა მიზნად. ნ. ლომოური თავდადებით იბრძოდა რუსიფიკატო-
რული პოლიტიკის წინააღმდეგ, ახალგაზრდობას ზრდიდა იგი მო-
მავალი ბრძოლებისათვის და ნერგავდა მათს გულში ძლიერ პატ-
რიოტულ გრძნობას.

„ქაცობრიობის ცივილიზაცია, მისი სინიდისი ოდესმე მიაღწევს
განვითარების ისეთ დონეს, როდესაც პატარა ერებს ეღიასება
თავისუფლება და ეს მოხდება ადამიანების სულიერი გარდაქმნის
საფუძველზე — იტყოდა ხოლმე ნიკო თავის მოწაფეთა ვიწრო
შრეში — და ეს სიტყვები წარმოითქმიდა ისეთი შთაგონებით, რომ
ჩვენც; ნიკოსთან ერთად, გეწამდა, რომ ქართველებისათვისაც დად-
გებოდა ეს სანეტარო დღე²“.

ქართული ენის გაკვეთილები, როგორც ყველა სკოლაში, ასევე
გორის საოსტატო სემინარიაში არსებული პროგრამების მიხედვით
მეტად შშრალი და უსიცოცხლო იყო. ნებადართული იყო „ბუნების
კარი“, „სახარება“ და „დაბადება“. მოსწავლენი კითხულობდნენ
ამ წიგნებს და აწარმოებდნენ ზოგიერთი ადგილის თარგმნას ქარ-
თულიდან რუსულად. მართალია „ნიკო თარგმნას დიდ ყურადღებას
აქცევდა — თუ ენის შესწავლა გინდაო, იტყოდა ის უნდა თარ-
გმნოო³, მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მუშაობის ამ სახით არ
კმაყოფილდებოდა. „ჩვენი მწერლების, მოღვაწეების, ისტორიული
პირების გაცნობა — აი, ნიკოს გაკვეთილების დედააზრი და შინა-
არსი... გზა და გზა ნიკო რუსეთის ლიტერატურის წარმომადგენ-
ლებსაც დიდი ხალისით გვაცნობდა: ბელინსკი, დობროლიუბოვი,
პისარევი... რომანისტებში ყველაზე მეტად ტურგენევს იხსენიებ-
და... უცხოეთის მწერლებიდან იხსენიებდა ემილ ზოლას და მოპა-
სანს⁴. მაგრამ ძირითადად ნიკოს გაკვეთილები ქართული ლიტერა-

¹ სახ. გან. მუზეუმი, „მოგონებანი ნ. ლომოურზე“, გვ. 2.

² იქვე, გვ. 4.

³ იქვე, გვ. 11.

⁴ იქვე, გვ. 12—13.

ტურისა და საქართველოს წარსულის ირგვლივ ტრიალებდა. „ვაგი-
ებით უყვარდა საუბარი ქართულ ლიტერატურაზე. XII საუკუნე
იყო მისი დაღლილი სულის „ნუგეშის მცემელი“. როდესაც შოთა რეზაული
და შავთელზე დაიწყებდა ლაპარაკს, თვალები გაუბრწყინდებოდა,
ერთ ციტატს მეორეს მოაყოლებდა და ამაყად იტყოდა: „არ მომ-
კვდარა, მხოლოდ სძინავს“, სძინავს იმიტომ, რომ დაიღალა განუ-
წყვეტელ ბრძოლებში საუკუნეების მანძილზე. ის კვლავ გაიღვი-
ძებს და აჩვენებს მსოფლიოს თავის... მომხიბლავ და კეთილშობილ
სახე... ქართული ენის გაკვეთილებზე თითქმის ყოველდღე იყო
საუბარი ილაზე, აკაკიზე და ვაჟაზე¹.

ბატრიოტული გრძნობის გაღვიძება მოზარდ თაობაში ნ. ლო-
მოურის ძირითად მიზანს წარმოადგენდა. მაგრამ საუბარი პატრიო-
ტულ თემებზე დიდი სიფრთხილით ტარდებოდა.

ყოველი კლასის კარებში პატარა სარქმელი იყო დატანებული,
რომელსაც მოსწავლენი „საჯაშუში ხვრეტილს“ ეძახდნენ. სემინა-
რიის აღმინისტრაცია ამ სარქმელიდან აწარმოებდა სისტემატურ
დაზვერვას, თუ რა კეთდებოდა გაკვეთილზე და ხომ არავინ აწარ-
მობდა მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას. მაგრამ ნ. ლომოუ-
რი მაინც ახერხებდა საუბრის ჩატარებას. მოსწავლებს აღმინის-
ტრაციის თვალის ასახვევად წინ ეღოთ გადაშლილი „სახარება“ ან
„დაბადება“, ნ. ლომოური კი ესაუბრებოდა მათ რუსთაველზე,
ილიაზე, ვაჟაზე. „ამ ხვრეტილთან დაკავშირებით მახსენდება ერთი
შემთხვევა,— გაღმოგვცემს ლომოურის ერთ-ერთი ნამოწაფარი.

— ბატონო! რა საჭიროა კლასის კარებში სარქმელი? ხომ
არაფერი დანიშნულება აქვს ისეთი, რომ ჩვენ არ გაგვეგებოდეს?—
შეეკითხა ნიკოს ერთი მოსწავლეთაგანი. ნიკომ მხოლოდ ღიმილით
უბასუხა. ეს მარჯვენა თვალი ხომ არ არის სლავინსკისო — კიდევ
შეეკითხა იგი (სლავინსკი სემინარიის დირექტორი იყო). ნიკოს
სიცილი წასკდა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა: კი მაგრამ ასე პატარა
კაცს ამოტელა თვალი ვინ მისცაო? მოწაფემ კიდევ უფრო დაუდაბ-
ლა ხმას და უპასუხა რატომ ბატონო ნიკო, პატარა ვირს თუ ამო-
ტელა ყურები აქვს, რატომ გიკვირთ, რომ მისთანა ერთხორცს დი-
დი თვალები ჰქონდესო. ნიკო სარქმელს მიეყრდნო ზურგით, ტუ-

¹ ვ ვ ვ, გვ. 10—15.

ჩებზე ხელი დაიფარა და თითებს შუა გასცრა:— ბიჭებო გაგიწყ-
დებათ, რომ ასეთი შედარებები ჩვენს პოეზიაში აკრძალულია...
ერთი თავისუფალი სიცილი მილიონს გვერჩივნა, მაგრამ ვის ქონ-
და ამის უფლება! ჩვენც ვისხედით და პირზე ხელდაფარებულნი
ვიგულებოდით”¹.

მეტად დიდი იყო ნ. ლომოურის ავტორიტეტი მოწაფეობაში. მოსწავლეთა მრავალი მღელვარება გამოწვეული სემინარიის აღ-
მინისტრაციის უხეშობით, ჩამქრალა ნიკოს გამოჩენისთანავე. მის
სიტყვას დიდი ძალა ჰქონდა. ამას კარგად გრძნობდა სემინარიის
აღმინისტრაცია და შეიძლება მხოლოდ ამისათვის ითმენდა ნ. ლო-
მოურის ყოფნას სემინარიაში.

„სემინარიის დირექტორს, სლავინსკის შემოკრებილი ჰყავდა
თავის ირგვლივ ჯაშუშების მთელი დასი. ამ დასს ხელმძღვანელობ-
და სამნეო ნაწილის გამგე, გაიძერა და თაღლითი პიროვნება, ვინ-
მე გოლუბიატნიკოვი. ეს გარემოება უაღრესად აღელვებდა მოსწავ-
ლე ახალგაზრდობას.. ამას დაემატა აღმინისტრაციის განკარგულე-
ბა პურის ულუფის წინით განაწილების შესახებ. უფროსი კლასის
მოწაფეებმა... ქალაქებრეთ მოაწყვეს საიდუმლო კრება. ამ კრებაზე
გადაწყდა: იმ ღამესვე გაეჩაღებინათ საპროტესტო დემონსტრაცია.
როდესაც დასაძინებლად დავლაგდით, უცრად შუქი ჩაქრა და შე-
იქნა საშინელი ხმაური. ამას მოჰყვა ფანჯრების მსხვრევა და ქვების
სროლა. მორიგე მასწავლებელი ვერესაევი თავის ოთახში ჩაიკეტა
და იქიდან ემუდარებოდა მოსწავლეებს — შეეწყვიტათ ეს მისთვის
გაუგებარი აურჩაური. მოსწავლეებმა იმავე ყვირილით და ქვების
სროლით უპასუხეს.

სლავინსკიმ მყისვე აფრინა გოლუბიატნიკოვი ნიკოსთან — დაუ-
ყოვნებლივ მოდი, მეტად სერიოზული საქმე მსჯესო. რამდენიმე
წუთის შემდეგ საძინებელი კორპუსის კორიდორში გაისმა ნიკოს
ხმა,— ნიკო მოვიდა, ნიკო მოვიდა — დაიძახა ვიღაცამ. ჩამოვარ-
და სამარისებული სიჩუმე. ნიკომ დაამშვიდა აღელვებული ახალ-
გაზრდობა და გამოსთქვა იმედი, დემონსტრაცია შესწყდებოდა.
ამის შემდეგ ხმა არავის ამოუღია. ნიკო სლავინსკის კაბინეტში გა-

¹ ი ქ 3 0, გვ. 10.

მოცხადდა. სლავინსკის ფერი აღარ ედო. ცოფმორეულმა ნიკოს
მიმართა: იცოდით თქვენ თუ არა, რომ ეს ამბავი მოხდებოდათ.

ნიკომ უბასუხა:

- აბა, საიდან მეცოდინებოდა, რატომ ასეთ კითხვას მაძლიული ჩატარებული გადასუხა:
- მე კი მგონია — უბასუხა თურმე სლავინსკიმ, — რომ თქვენ ეს ამბავი წინასწარ იცოდით.

მოთმინებიდან გამოსულმა ნიკომ სლავინსკის სილა გააწნა. გოლუბიატნიკოვმა და ვერესაევმა ნიკოს ხელი მოჰკიდეს და გარეთ გამოიყვანეს. სლავინსკიმ ეს შეურაცხოფა ჩაყლაპა¹.

ნ. ლომოური კარგად გრძნობდა, რომ მხოლოდ ქართული ენის გაქვეთილები არ იყო საკმარისი მოსწავლეთა განვითარებისათვის. სხვა წამყვანი საგნების მასწავლებლები კი არ იწუხებდნენ თავს მოსწავლეთა გონებრივი განვითარებისათვის. ამ ხარევზის შევსებაც ნიკომ სცადა. იგი ყოველ თავისუფალ დროს მოსწავლეებთან ატარებდა. ესაუბრებოდა გონების გამხსნელ მრავალ საკითხზე, აძლევდა საკითხავ ლიტერატურას, იბარებდა ბინაზე და აკითხებდა სემინარიის კედლებში აქრძალულ სხვადასხვა წიგნებს.

დიდ დახმარებას უწევდა ნ. ლომოური აგრეთვე. მოწაფეებს გადასაცემი გაკვეთილების მომზადებაში, ესწრებოდა მოსწავლეთა გაკვეთილებს და მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა მათს გარჩევაში. საფუძვლიანი პედაგოგიური რჩევა-დარიგებებით იგი ზრდიდა და აწრთობდა მომავალ სახალხო მასწავლებლებს ღრმა პატრიოტული გრძნობით.

სემინარიის ადმინისტრაციის სისტემატური დაზვერვით და რეპრესიებით თავმობეზრებული ნიკო ლომოური ერთ-ერთ წერილში თავის მეგობარს თ ე. დო სა ხ თ კ ი ა ს სწერდა: „ჭირზე უარესად მომაძულა თავი წვრილმანი ჭუჭყითა და ათასგვარი სისაძაგლით სავსე ცხოვრებამ! ნუ თუ უზარმაზარი მუხის, ნაზი ფიჭვის სურნელებით შეზავებული მინდვრის ცქერა არა სჯობიან, ვიდრე სინდის ჩამპალ და ტვინდანამცეცებულ აღამიანებთან ყოფნა“².

„სინდის ჩამპალმა“ და „ტვინდანამცეცებულმა“ ადამიანებმა შეაკვეცეს ნ. ლომოურს სამოქმედო ფრთები. ჩინოვნიკების ეს

¹ იქვე, გვ. 12—13.

² ლიტ. მუხეუმი, ნ. ლომოურის ავტოგრაფი, № 453—2.

ხროვა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ელობებოდა მის მისწრაფებებს და ხელს უშლიდა სპეტაკი გულისა და გონების მიერ დასახული მიზნების განხორციელებას.

შეიძლება კიდეც მიეტოვებია ნ. ლომოურს სამსახური, რომ მამულიშვილურ და პედაგოგიურ სინიდის არ შეეწუხებინა. „ყველაზე მეტად სწუხდა იმაზე, ვა თუ მოადგილე რიგიანი ვერ გამოსჩენოდა... კარგად იცოდა რა დიდი მოვალეობა ედო კისერზე მომავალ სახალხო მასწავლებელთა აღმზრდელს და გულით ჰსურდა... სამშობლო მამულს ღირსეული გუთნეს დედა გამოსჩენოდა“ („სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 247).

თავის საყვარელ საქმიანობას ნ. ლომოური მხოლოდ ავადმყოფობამ ჩამოაშორა. 1915 წლის იანვრიდან იგი თავს ცუდად გრძნობდა. ხშირად უჩიოდა გულს, ქვედა კიდურების სახსრები და თვალის უპეები უსივდებოდა. საბედისწერო გახდა 1915 წლის 5 ოქტომბრი ნ. ლომოურისათვის.

5 ოქტომბრის თოვლ-ჭყაპიან დღეს ძაძით მოსილი მატარებელი აკაკის ძვირფასი ნეტით გორის სადგურზე შეჩერდა. სასტიკი ქარი სისინებდა გორის მიდამოებში. მოზღვავებული ხალხი გლოვით აცილებდა საყვარელ მგოსანს. სახელდახელოდ გამართულ ტრიბუნზე გმირჩნდა ფერმურთალი და მოღლილი სახე ნ. ლომოურის; ხალხი მიწყნარდა და ქარის გულმომკვლელ ქვითინს შეუერთდა ნ. ლომოურის გულის მომკვლელი სიტყვები. ქართველი ხალხოსანი ცხარე ცრემლით ეთხოვებოდა დიდ თერგდალეულს...

ეს იყო ნ. ლომოურის უკანასკნელი მჭერეტყველება ფართო საზოგადოების წინაშე, შინ დაბრუნებულმა თვალაცრემლებულმა მწერალმა საშინლად იგრძნო თვავი. მალე მაღალი სიცხე მისცა. მოწვეულმა ექიმმა ძლიერი გაციება დაადასტურა.

თანდათან უარესდებოდა ნ. ლომოურის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ხალხის სიყვარულით აგზნებულ გულს საფრთხე ელოდა. გაზეთი „ახალი ქართლი“ ყოველდღიურად აქვეყნებდა ცნობას ნ. ლომოურის ავადმყოფობის შესახებ. საზოგადოება გაფაციცებით ადგნებდა მას თვალს.

მოვიდა აპრილი. თეთრი ყვავილებით შეიმოსა ქართლის გული. ლოგინში მწოლი ნ. ლომოური ხარბად ისუნთქავდა ლიაზვიდან შო-

ნაბერ მაცოცხლებელ ნიავს, მისი დღეები უკვე დათვლილი იყო, თუმცა თვითონ სრულიად არ ელოდა სიკვდილს.

ნიკო ლომოურის მკურნალი ექიმი იუწყება, რომ სიკვდილის წინ 20-25 წუთით ადრე ნიკო თავს მშვენივრად გრძნობდა, ოხუნ-ჯობდა, ბაასობდა. სრული დარწმუნებული, რომ მორჩებოდა, თამა-მად ამბობდა: „ეხლა კი ვგრძნობ, რომ სიკვდილი მომშორდა, ჩემსა და მის შორის ეხლა არავითარი კავშირი არ არსებობსო“, მაგრამ უსაფუძვლო იყო მწერლის წინათვრძნობა. ულმობელი სიკვდილი თავს დასტრიალებდა მის სარეცელს... 17 აპრილს, საღამოს 6 სა-ათზე, ნ. ლომოურმა სამუდამოდ დახუჭა სათნოების მფრქვეველი თვალები.

უდიდესი გულისტკივილით გამოიგლოვა ქართველმა ზალჩბა საყვარელი მწერალი, აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე. არ დარ-ჩენილა არც ერთი პერიოდული ორგანო, რომელშიც მთელი თვის განმავლობაში არ ყოფილიყო წერილები ნ. ლომოურის შესახებ. ათ დღეს ემშვიდობებოდა საზოგადოება საყვარელ ადამიანს და ძხოლოდ 26 აპრილს მიაბარეს მისი გაცივებული ნეშტი ქ. გორის შიწას.

1943 წ.

მასალები ეპ. გაბაშვილის ბიოგრაფიისათვის

ეკატერინე გაბაშვილი იმ მცირერიცხოვან რჩეულ ქალთა გუნდს ეკუთვნოდა, რომლებმაც ყოველგვარი დაბრკოლებანი გადალახეს და მამაკაცთა გვერდით თამამად ჩაებნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში. მათ სამოქმედო ასარეზზე მიიტანეს ძლიერი ახალგაზრდული ენერგია, ცოდნა, ნიჭი, ნებისყოფისა და ხსიათის სიმტკიცე და ამ ძვირფასი სავანძურით შეიარაღებულინი, არ გაუჩრბიდნენ არავითარ შრომას, ოლონდ კი თავისი საქმიანობით წვლილი შეეტანათ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და წინსვლის საქმეში.

ეპ. გაბაშვილის თავდადებული, მორიდებული და კეთილშობილური გრძნობებით აღსავსე პიროვნება დღესაც მთელი თავისი სიძლიერით დგას ჩვენ წინაშე, მის შემოქმედებას დღესაც როდი დაუკარგავს მიმზიდველობის ძალა და იგი ერთნაირად საყვარელია, როგორც მოზრდილი, ისე მოზარდი თაობისათვის.

ეკატერინე დაიბადა 1851 წლის 16 ივნისს, ქ. გორში, რევაზ თარხანმოურავის ოჯახში.

ეკატერინეს დედა, სოფიო, იყო ასული ვახტანგ ბაგრატიონ-დავითაშვილისა, დაჯილდოებული გულკეთილობით, მხნეობით და ნიჭით. იგი, ეპ. გაბაშვილის თქმით „იყო გასაკვირველი მოჯირითე და შეუძარებელი მსროლელი; პაპაჩემი ვახტანგი, რომელსაც ვაჟიშვილი არ ჰყავდა, თავის პირმშო ქალიშვილს ვაჟურ სიმწენევეს ასწავლიდა მემკვიდრეობის დასაცავად. მემკვიდრეობა, რომელიც დედაჩემზე გადმოვიდა, არ იყო ძლიერ დიდი, მაგრამ საკმაოდ კარგი მამული იყო ზემო ქართლში, სურამის რაიონში, საღაც ზაფხულობით ვცხოვრობდი და საღაც გავიცანი და შევისწავლე სოფლის ცხოვრება, გლეხთა ავი და კარგი და რომელთა შესწავლა და დაკვირვება შემდეგ მასალად გამომადგა¹....

¹ ეპ. გაბაშვილის არქივიდან. ლიტ სახ მუზეუმი, № 04818.

სამწუხაროდ დიდხანს არ გაგრძელდა პატარა კატოს შეღნიერება. „ხუთი წლის ვიყავი — მოვგითხრობს მწერალი, — ოოდესაც სოფელ ახალქალაქში, ერთ შემოდგომის ღამეს, საშინელ წვილ-კივილზე გამოვედვიძა მე და ჩემ უმცროს ძმას და შიშისაგან ოჯახის წივილ-კივილს ჩვენც მივემატეთ“¹. თარხნიშვილების ოჯახს გამოეცალა დედაბოძი, გარდაიცვალა ეკატერინეს დედა.

უდროოდ დაობლებული ბავშვების მოვლა-პატრონობა რევაზ-მა თავის სიდედრს, ბარბარეს მიანდო, რომელმაც დედის გარდა-ცვალების შემდეგ ორი ობოლი გორში გადმოიყვანა საცხოვ-რებლად.

ბებია ბარბარე საკმაოდ მკაცრი აღამიანი იყო და ბავშვებსაც მკაცრად ეპყრობოდა. ახირებული ხასიათი ჰქონდა ბარბარეს: „იგი სულ იმის ცდაში იყო, რომ თავისი სიძის მდიდრულად გამართული ოჯახი არ მოშლილყო და ამიტომ მრავალნირად ავიწროვებდა როგორც ოჯახის მოსამსახურებს, ისე მახლობელ გლეხებას“². პატარა კატო ბავშვობიდანვე მოწამე ხდებოდა გლეხთა დაბეჩავებისა და მის სათუთ გულში თავიდანვე ილვიძებდა გლეხებისადმი სიბრალულის გრძნობა.

სულ სხვა ბუნებისა იყო ეკატერინეს მამა რევაზი. ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულს, ჭკვიანს და გულკეთილს მთელი³ ქართლი პატივისცემით იხსენიებდა. რევაზს თავისი დროისათვის საკმაოდ ფართო განათლება ჰქონდა მიღებული. იგი გულმოდგინედ კითხულობდა განსაკუთრებით ისტორიული და იურიდიული ხასიათის წიგნებს. ქ. გორში — სახალხო სამჯავროში, გამომძიებლის თანამდებობაზე გამწერებულ რევაზს სამსახური საკმაოდ დიდ დროს ართმევდა, მაგრამ მაინც ახერხებდა შვილების აღზრდისათვის ზრუნვას. თვით მწერალი მოგვითხრობს: „მამა ჩვენი საუკეთესო მეგობარი იყო ჩვენი, ჩაგვისვამდა კალთაში და გვიალერსებდა, გვარიგებდა, გვასწავლიდა, ხშირად მივყავდით სასეირნოდ ქალაქის განაპირა ალაგებში, გორის მშვენიერ გარშემოების სანახავად. გორის დიდებულ ციხე-გალავანს გვიჩვენებდა, გვიამბობდა ციხე-ების აგების მიზნებს უწინდელ დროში და ახლანდელ დამშვიდე-

¹ „ჩემი სიყმაწვილე“, გვ. 5. ავტობიოგრაფია.

² „მნათობი“, 1938 წ., № 8. გვ. 163.

ბულ ცხოვრების მოწყალებით სასწავლო მეცნიერებისათვის სამზადისის საჭიროებას”¹.

პატარა კატო წამოიზარდა, დრო იყო სწავლა დაწყო, სწორედ ამ ხანებში რევაზმა სამსახურს თავი დაანება და უფროსი ქალიშვილის განათლებისათვის ზრუნვას გულმოლგინედ შეუდგა. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო ბებია ბარბარემაც. მისი რჩევით კატო მიაბარეს ვინმე ფალავანდიშვილის ქალს, რომელიც თავისი არაჩვეულებრივი სიმძაცრით და სისასტიკით გორის საზოგდაოებაში საქმაოდ ცნობილი იყო. კატოს გარდა მას ჰყავდა სხვა მოწაფეებიც, რომელნიც უხეირო პედაგოგის წყალობით ტანჯვა-წვალების მეტს არას განცდილნენ. ბებიას „რჩეული პედაგოგი“ ბავშვებს ბნელსა და ნესტიან გომურში ამწყვდევდა და ოდნავადაც არ ზრუნავდა მათ სწავლა-აღზრდაზე. ერთი წელიწადი დაპყო პატარა კატომ მასთან და მხოლოდ რამდენიმე ფსალმუნის დაზეპირება შესძლო „დავითნიდან“. რევაზი კარგად ხედავდა, რომ ფალავანდიშვილის ქალის „პედაგოგიური მოლვაწეობა“ არავითარ შედეგს არ იძლეოდა, ამიტომ შვილი თბილისში ჩამოიყანა და გერმანულ სკოლაში მიაბარა. რამდენიმე ხნის შემდეგ კატო ამბარდანვების პანსიონში გადავიდა, მაგრამ, ვინაიდან ორივე სააღმზრდელო დაწესებულებაში სწავლის საქმე დაბალ დონეზე იდგა, კატოს ამ სასწავლებლებში ყოფნის დროს თითქმის არაფერი შეუძენია. იგი უკვე თორმეტი წლის იყო, როდესაც გადაწყვიტა შესვლა საქალებო ინსტიტუტში, სადაც მას სახელმწიფო ხარჯზე მიიღებდნენ, თუ გამოცდების ჩაბარებას მოახერხებდა. დადგა გამოცდების დღე. კატო გულის ფანცქალით მოელოდა მას, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ უნაყოფოდ გატარებული ხუთი წელიწადი კარგ შედეგს არ მისცემდა. ასეც მოხდა. სუსტი მომზადების გამო, განსაკუთრებით რუსულ ენაში, მას სასწავლებელში მიღებაზე უარი უთხრეს.

მაშინ რევაზმა იგი ისევ მშობლიურ გორში წაიყვანა, სადაც მამამ კატო ქუცნა ამირეჯიბის მეუღლეს მიაბარა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მომავალი მწერალი ქალის პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

ამ კეთილი აღამიანის სიტყვა უდიდეს გავლენას ახდენდა პა-

¹ „ჩემი სიყმაწვილე“, გვ. 6.

ტარა მოწაფეზე და ლრმად აფიქრებდა მას. სწავლისადმი უდიდესი სურვილი და მისწრაფება მოსვენებას არ აძლევდა გოგონას. სკოლა, მასწავლებელი, ცოდნის შეძენა, მას საოცნებოდ გადაუკუთხებდა სასოწარკვეთილებით აღსატეს წერილი გამოუგზავნა მათთვის მასში პატარა კატო ისევ თბილისში ჩაიყვანა.

ამ დროს თბილისში, გოლოგინის (ახლა რუსთაველის) პროსპექტზე, ვინმე მოხელე სტრელეცის სახლში მოთავსებული იყო პანსიონი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქალთა ინსტიტუტის ყოფილი „ქლასის დამა“, „ტიტულიარნი სოვეტნიკის“ ქვრივი ევგენია იაკობის ასული ფავრი. რევაზმა პატარა კატო მას მიაბარა. ეს მოხდა 1864 წელს.

ამ პანსიონში სწავლობდნენ თავადაზნაურთა, მოხელეთა და წარჩინებულ მოქალაქეთა შვილები. მათ ასწავლიდნენ წერა-კითხვას, არითმეტიკას, ევროპულ ენებს და ელემენტარულ საგნებს. თვით მაღამ ფავრი ასწავლიდა ფრანგულ ენას, მანერებს და ესოეტიკას.

პანსიონში სწავლების საქმე შედარებით კარგად იყო დაყენებული. სწორედ ამ პერიოდში დასრულდა პოლონეთის აჯანყება, რის შედეგადაც მთელი ჭგუფი პოლიტიკური ემიგრანტებისა თბილისში გადმოსახლდა. ფავრმა მათ შორის შეარჩია საუკეთესო პროფესორები, როგორიც იყო, მაგალითად, გულაკი, რომელმაც მშვენივრად შეისწავლა ქართული ენა და ბევრი იმუშავა „ვეფხისტყაოსანის“ გარშემო... ერთხელ საჯარო ლექციაც წაიკითხა, რომელიც ასე დაბოლოვა: „ამნაირად, რუსთაველის პოემა საკაცობრიო პოემაა. მოვა დრო, როდესაც კაცობრიობა ხარბად დაეწაფება ამ უკვდავების წყაროს. ვწუხვარ, რომ თვით ქართველ ახალგაზრდობას ნაკლებად ასწავლიან დედა-ენას და ღიღის დაგვიანებით მოუხდება შეისწავლოს თითქმის დავიწყებას მიცემული ეს საკაცობრიო ძეგლი“. ამ ლექციის გამო გულაკს კინაღამ აუკრძალეს მასწავლებლობა¹.

ეკ. გაბაშვილის ყურადღება მიიბყრო, აგრეთვე, კიევის უნივერსიტეტის პროფესორმა იუშკოვმა, რომელიც პანსიონში რუსულ ენას ასწავლიდა. „ის მშვენივრად კითხულობდა პუშკინს, ლერმონ-

¹ ეკ. გ. ა. შვილი, „მოგონებანი“, გვ. 8 ლიტ. სახ. მუზეუმი, 2953/4.

ტოვს, განსაკუთრებით გოგოლს, თითქოს მართლა სტუდენტებთან
ჰქონდა საქმე და არა მოდის პანსიონის მოწაფეებთან".

სხვა საგანთა შორის საქმაო ყურადღება ჰქონდა მიწერებული
ქართულ ენასაც, რომელსაც ასწავლიდნენ ჯერ ნიკო დედაბორიშვი-
ლი, შემდეგ ალ. ცაგარელი და ნიკო ინაშვილი. მათ ჩაუნერგეს ჯერ
ისევ პატარა კატოს სიყვარული მშობლიური ლიტერატურისადმი.
განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დატოვა მომავალ მწერალზე
ნიკო ინაშვილმა.

პანსიონის პერიოდი საქმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა ეკატერი-
ნესათვის.. ცოდნის შეძენის წყურვილით გატაცებული, იგი ხარბად
დაეწაფა კითხვას.

განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებოდა მომავალი მწერა-
ლი მშობლიურ ენასა და ლიტერატურას და დიდი გულმოლდგინებით
სწავლობდა მას. ალ. ცაგარელის მიერ გამოცდებზე მოწვეული ია-
კობ გოგებაშვილი იმდენად აღტაცებული დარჩა ეკ. გაბაშვილის
მომზადებითა და ცოდნით, რომ აჩუქა მას თავისი „პირველი ანბა-
ნი“ გულთბილი წარწერით, რომელსაც ეკ. გაბაშვილი მთელი სი-
ცოცხლის მანძილზე სასოებით ინახავდა.

1868 წელს ეკატერინემ დაამთავრა პანსიონი, დაბრუნდა გორ-
ში და დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. „ჩემი ბუნება მოითხოვ-
და ამგვარ შრომას — მოგვითხრობს მწერალი — სადაც უნდა ვყო-
ფილიყავი და რა გარემოებაშიაც არ უნდა ვყოფილიყავი უთუოდ
ვასწავლიდი ვისმეს წერა-კითხვას, ჩავაგონებდი წერა-კითხვის
ცოდნის ღიდ მნიშვნელობას“².

სწორედ ამ პერიოდში სომხების სამღვდელოებამ ეკლესიასთან
გახსნა ქალთა სკოლა და ეკატერინეს თხოვნით მიმართა, რომ იგი
ყოფილიყო სკოლის გამგეც და მასწავლებელიც. „მე ღიდი სიხარუ-
ლით ვიკისრე ეს საპატიო საქმე და ორი-სამი კვირის განმავლობაში
ერთ-ერთ საეკლესიო შენობაში მოვამზადებინე საკლასო დარბაზი.
გამოვაწერინე თბილისიდან სახელმძღვანელო წიგნები, რუსული და
ქართული, დაფები, გრიფელები, რვეულები, დავადგმევინე ღიდი
საკლასო დაფა და შეგირდების მიღებას შევუდექი. აუარებელი

1 ი ქ 3 ე.

2 ეურნილი „ეკილი“, 1911 წ., № 4, გვ. 241.

მსურველი აღმოჩნდა სწავლისა, მაშინ გორში სასწავლებლები იჭ-
ვიათი იყო და ქალების სასწავლებლის ხესნება ხომ არც კი იყო
სადმე. პირველში 50 მოწაფე მივიღე და მერე უფრო მოზრდილ
ქალებს ვაძლევდი უპირატესობას, ასე 12, 13 წლისას, რადგან იმათ
უფრო დაუგვიანდებოდათ სწავლა და პატარები კი საკვლავითაც
მოესწრებოდნენ“¹.

სკოლის რწმუნებული და სამღვდელოება არ ერეოდნენ სწავ-
ლების საქმეში. ამიტომ ახალგაზრდა პედაგოგს სრული თავისუფ-
ლება ჰქონდა მინიჭებული. სამი ოვის განმავლობაში მან მთელ
კლასს ჩინებულად შესწავლა ქართული წერა-კითხვა და მხოლოდ
ამის შემდეგ გადავიდა რუსული ანბანის შესწავლაზე დიდი რუსი
პედაგოგის, კ. უშინესის, „როდნოე სლოვოს“ მიხედვით. ხუთ გაკვე-
თილს აძლევდა ეკატერინე ყოველდღიურად და ამ ხუთი საათის
შემდეგაც კი ბავშვები არ სცილდებოდნენ საყვარელ მასწავლე-
ბელს; გარს ეხვევოდნენ, აძლევდნენ მრავალ შეკითხვას, უზიარებ-
დნენ თავის სურვილებს, უამბობდნენ თავიანთ თავგადასავალს და
აღფრთოვნებული პედაგოგიც ესაუბრებოდა, მეგობრულად უზია-
რებდა თავის ცოდნასა და შთაბეჭდილებებს.

სასწავლო წლის ბოლოს დანიშნულ გამოცდებზე სავსებით გა-
მოაშკარავდა თავდადებული პედაგოგის დაუღალავი შრომის შე-
დეგი. გამოცდებმა ბრწყინვალედ ჩაიარა, მოწაფეებმა ასახელეს
ძეირფასი მასწავლებელი. დამსწრენი ამბობდნენ: „ასე მალე და
ასე კარგად სწავლება გვიყვირსო“.

ეკ. გაბაშვილის უდიდესი სიყვარული პედაგოგიური საქმიანო-
ბისადმი კარგად დაახსასიათა მისმა თანამედროვემ ალ. მიქაბერიძემ. ა-
კატო ბუნებით პედაგოგი იყო და კიდევაც ამით აისნება, რომ
იგი ყველან, საღაც კი მოხვდებოდა — სკოლაში, ოჯახში, ქუჩაში,
თუ სოფლად — აგროვებდა წერა-კითხვის უცოდინართ და ახალ-
გაზრდულს გატაცებით ყველს წერა-კითხვის ასწავლიდა. კატო
მართლა რომ ნამდვილი მოძრავი სკოლა იყო და მისი დახმარებით
მრავალ ქართველს აუხელია თვალი“².

თუმცა საკმაო ღროს ანდომებდა ეკატერინე სასკოლო საქმეს,

¹ ი ქ 3 ვ.

² „მნათობი“, 1938 წ., გვ. 165.

მაგრამ საკუთარ თავზე მუშაობისა და უმაღლესი განათლების მაღალების სურვილი მასში მაინც არ ჩამქრალა. საოჯახო ბიბლიოთეკი მხოლოდ ერთადერთი ბებიასეული სახარებით და რამდენიმე ფაზუ ბოლო მოგლეჭილი წიგნით განისაზღვრებოდა, ქალაქშიც არ ყოფილი არავითარი წიგნთა ცავი. იმ ხანებში გორში იდგა არტილერიის ბრიგადა, რომლის ოფიცრობაში ერივნენ როგორც ქართველები. ისე პოლონელებიც. მათში ჯერ კიდევ ტრიალებდა დეკაბრიისტების სული, ისინი ხარბად ეწაფებოდნენ ყოველ ახალ აზრს, ცოდნას, განათლებას. როდესაც მათ გაიგეს ახალგაზრდა ქალის უნივერსიტეტში შესვლის სურვილი, შეეცადნენ ხელი შეეწყოთ ზოგს თვისი ცოდნით, უფრო კი არტილერიის ბრიგადასთან არსებული ბიბლიოთეკით. „Вестник Европы“, „Слово“, „Неделя“, „Отечественные записки“ და მრავალი სხვა აქ გაფაციცებით იკითხებოდა — მოგვითხრობს მწერალი. — მამისაგან ბუნებისმეტყველებისადმი მიღრეკოლების განვითარება ჩემში ეხლა აქ ნაყოფიერ სარბიელს ჰპოულობრი.

კითხვამ და გამოცდილებამ მომავალ მწერალს თვალი აუხილა, დაანახვა ცხოვრება მთელი თავისი „ლაფითა და მარგალიტიო“, ცხოვრებამ წაკითხა თავისი ანბანი და აგრძნობინა რომ „მე, საუბედუროდ ცხოვრებას მარტო მშენიერი მხრით ვუყურებდი და მხოლოდ მწარე ცხოვრების გამოცდილებამ უნდა გამომიყვანოს ამ შეცდომილებიდან“¹.

ამავე პერიოდში იგი ცდილობს გამონახოს შემოქმედებითი გზა. ჯერ ლექსების წერას ცდილობს, მაგრამ შედეგს, ვერ ღებულობს. შემდეგ ცდილობს, დაწეროს რაიმე გლეხთა ცხოვრებიდან, გლეხთა ცხოვრების გამოხატვა მისთვის უფრო ადგილია, რადგან, როგორც თვითონ ამბობს „ყოველ ზაფხულის ორ-სამ თვეს განუშორებლათ იმათთან ვატარებ და ისე ვარ იმათან შეჩევული, როგორც საკუთარი შეილი და მეგობარი“², მაგრამ საშინელ სიძნელეს აწყდება, წერა არ ეხერხება, თუმცა ამ დროისათვის (1870.წ.) უკვე აქვს დაწერილი „გლეხეცაცების აზრი სოფლის სკოლაზე“. ერთ-ერთ წერილში ეკ. გაბაშვილი სწერდა ალ. გამაშვილს „ჯერ იმდე-

¹ წერილი ალ. გაბაშვილთან 1871 წ. 13—V-ს.

² წერილი ალ. გაბაშვილთან 1871 წ. ოჯახის არქივიდან.

ნად გამოუცდელი ვარ, რომ უბრალო წიგნის დაწერას ვერ ვახერ-
ხებ გაბედვითა და დასაბეჭდათ ხომ ხელები მიკანკალებს. აზრები
ბევრი მაქვს, მაგრამ გამოხატვა და ბევრჯელ დაწყობაც მი ვერ
მომიხერხებია! თარხან-მოურავის ქალი ცდილობდა დაეძლია ეს
გარემოება. მაგრამ ამის საშუალება არ ჰქონდა; მშობლიურ ენაზე
წიგნებს გორში თითქმის სრულებით ვერ შოულობდა, „არცა
მაქვს შემთხვევა, რომ გავიბეჭითო ჩვენი ლიტერატურის სიღარი-
ბის გამო და რაც არის ჩვენი უურნალები, მე თვალით ვერა ვხედავ...
გორში“². ახალგაზრდა ქალში დაგროვილი ენერგია და ნიჭი გზას
თხოულობდა, ეძიებდა ფართო ასპარეზს მოქმედებისათვის.

1871 წელს ოეგაზ თარხნიშვილი დაქორწილდა მიქაძის ქალზე
და სამუდამოდ საცხოვრებლად თბილისში დამკვიდრდა. ამის გამო
ეკატერინეს საშუალება მიეცა თბილისში ხშირად ჩამოსვლისა.
ეპ. გაბაშვილი დაუახლოვდა თბილისის ინტელიგენციას.

1871 წელი დაცუვიწყარი იყო ეკატერინეს მახსოვრობაში. ამ
წელს, თბილისში ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს გ. წერეთლის ოჯახ-
ში, „კაცია ადამიანის“ საჯარო კითხვაზე, რომელსაც ქართველი
საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ესწრებოდა, გაიცნო ილია ჭავ-
ჭავაძე და მომავალი საქრმო ალექსანდრე გაბაშვილი. ალ. გაბა-
შვილმა საქმიანი კილოთი მაღლე მოხიბლა ახალგაზრდა ქალი და
შეძლო მასთან მჭიდროდ დაახლოვება. „წერილებში სულ იმას
მიქაღაგებდა — იგონებს მწერალი, — რომ სოფლისათვის დიდი
უურადლება მიმექცია. „ყოველისფერი სოფლისათვის!“ აი, რა დევი-
ზი მომცა მა...“³

ალ. გაბაშვილის მიმართულება და პრაქტიკული მიზნები სავ-
სებით მისაღები შეიქნა თარხან-მოურავის ქალისათვის. საქმიანი
წერილები მაღლე ინტიმური ხსიათის ბარათებით შეიცვალა, თუმცა
იდეურობა მათში მაინც გამოსჭვივოდა და ორიოდე წლის შემდეგ
მათი სიყვარული ქორწინებით დამთავრდა. ისინი თბილისში და-
სახლდნენ. თბილისის მახლობლად, გაბაონთა მიწაზე, მათ გამართეს
ფერმა, მაგრამ იგი მაღლე დაიხურა, რაღგან გამოუცდელი ქალისა-

1 წერილი ალ. გაბაშვილთან 1870 წ. 27—II-ს. ოჯანის რაქივიდან.

2 ი ვ ე.

3 ეპ გაბაშვილი, „მოგონებანი“, გვ. 13. ლიტ. სახ. მუზეუმი, № 2053/4.

თვის მისი რიგიანად ხელმძღვანელობა მოუხერხებელი იყო. იმ იღვებსა და მისწრაფებებს, რომელსაც ახალგაზრდა ქალი „გათხოვებამდე შესტრფოლა, გათხოვების შემდეგ ცივი წყალი გადაესხა. „დღიდან გათხოვებისა დაიმარხა მთელი ჩემი ოცნებანი, კეთილშობილური ზრახვანი. ოცი წლის განმავლობაში გამუდმებულმა მშობიარობამ, მათმა აღზრდამ, ნამეტნავად სიკვდილმა, ერთობ გამანადგურა“¹. ჩიოდა მწერალი.

მაგრამ ეკ. გაბაშვილი არ მისცემია სასოწარკვეთილებას. იგი ნათლად ხედავდა სასარგებლო საქმიანობის აუცილებელ საჭიროებას, ხედავდა, რომ „მუშავნი ცოტანი იყვნენ, საქმე კი მრავალი, გხედავდი, რომ საზოგადო აზრის, საზოგადო საქმის ასაშენებლად საჭირო იყო რაც შეიძლებოდა მომეტებული ხელი და ჩემი სუსტი მარჯვენაც მივაშველე... მე იმ ვიწრო კლდებს-შუა, რომელსაც ოჯახის დაისახლისობას უძახიან და რომელიც შთანთქავს ხოლმე ხშირად დედა-კაცის სულიერ არსებობას, პატარა ჭურჭუტანა გაუკეთე და იქიდან მუდამ ყურს ვუგდებდი და თვალს ვალევნებდი ჩემი ქვეყნის საზოგადო ზრდასა და მსვლელობას“².

მართლაც, მიუხედავად საქმაოდ მძიმე ოჯახური პირობებისა, ეკ. გაბაშვილი, შეძლებისდაგვარად მაინც ჩაება თბილისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „ყოველ კრებაზე, საღაც კი ვიცოდი, რომ საინტერესო საკითხი იქნებოდა განხილული, თავდაუჭერლად გავრჩოდი და ამით დიდ უსიამოვნებას ვაყენებდი ოჯახის წევრებს, მაგრამ ჩემი სურვილი იყო ყველაფერი. ჩემი ყურით მომესმანა და ჩემი ვონებით შემემოწმებინა, ისე ძლიერი იყო სურვილი, რომ ყოველივე უსიამოვნებას ვაბიჯებდი: სათავადაზნაურო სკოლის დაფუძნება, იმისი პირველი ნაბიჯი, ჩვენი ბანკის კრებები, რომელზედაც მომეტებულად ისევ სკოლაზე ბასალბდნენ, გაზეთის რედაქცია, ახალი აღორძინებული თეატრი და თეატრის საქმეების მოგვარება კრებებზე არ გამომეპარებოდა“³.

1872 წელს თბილისში ანასტასია წერეთლის ინიციატივით შედგა ქალიშვილთა წრე. წრემ განიზრახა ქალთა განმათავისუფლებელი

¹ ი ქ ვ ე, № 2054/4. გვ. 14.

² ეკ. გაბაშვილი, „ჩემი მრწამსი“, „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 292.

³ „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 292, გვ. 2.

იდეების პროპაგანდა, ქართველ საზოგადოებაში ეროვნული გრძნობის განმტკიცება და ქართული ლიტერატურის აღორძინება. ხელი მიჰყევს რუს და ევროპელ მწერალთა პოპულარულ ნაწარმოებთა თარგმნას და პატარა წიგნაკებად გამოცემას. ამ საქმიანობას ლოც ექ. გაბაშვილი ჩამორჩა. წრის დაარსებიდანვე იგი მისი აქტიური წევრი გახდა და მთელი ენერგიით შეუდგა მუშაობას. „როგორი ენერგიით და როგორი ხალისით შეუდექით საქმეს! როგორი გამჭრიახობით გვხელმძღვანელობდა ტასო (ანასტასია წერეთელი, მცულლე გიორგი წერეთლისა. ი. ბ.), როგორ გვაჩქარებდა და რა თავდადებას იჩენდა თარგმანების გამოცემაში“¹.

მაგრამ მათი მუშაობა ამაზე არ შეჩერებულა. ქალთა წრე ძალიან კარგად ხედავდა, რომ ჩვენი ლიტერატურა საერთოდ და კერძოდ — კი საბავშვო ლიტერატურა მეტად ღარიბი იყო. მოზარდ თაობას არ გააჩნდა საკითხავი წიგნები, არ გააჩნდა საბავშვო უურნალი, საერთოდ ბავშვების აღზრდა ვერ იდგა საიმედო ნიადაგზე. ამიტომ მათ მოინდომეს ამ ხარვეზის ნაწილობრივ მაინც შევსება და როგორც ექ. გაბაშვილი გადმოგვცემს „დავიწყეთ საბავშვო წიგნაკების, „სახალხო საკითხავი წიგნაკების“, სამეცნიერო პოპულარული წიგნაკების და სხვათა გამოცემა, რაც ისე საჭირო და დროული იყო მაშინ“².

სამწუხაროდ, მთარგმნელ ქალიშვილთა წრე მალე დაიშალა, რაღაც მათმა შექრებამ მთარგმნების ყურადღება ჩიიპყრო და წრის წევრებს დევნა დაუწყეს. მთარგმნელთა წრე 1884 წელს კვლავ განახლდა, მაგრამ მაშინაც ეს ბედი ეწი.

1879 წ. დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ქართველი საზოგადოებრივი აზროვნებისა და კულტურის განვითარების ისტორიაში ამ საზოგადოების გამგეობის წევრთა შორის ითვლებოდნენ, აგრეთვე, ეკ. გაბაშვილი და ან. წერეთელი. ორი მეგობარი მრავალი წლის განმავლობაში გულმოდგინედ ემსახურებოდა საქართველოში წერა-კითხვის გავრცელების საქმეს. ოლღა ჭავჭავაძესთან ერთად (ილ. ჭავჭავაძის მეულლე. ი. ბ.) ექ. გაბაშვილ-

¹ ექ. გაბაშვილის არქივიდან. ლიტ. სახ. მუზეუმი, № 04513.

² ი ვ ვ ე.

მა რამდენჯერმე მოაწყო „საქველმოქმედო ბაზრობა“, რომელიც
პირველ ხანებში ძლიერ დიდი შემოსავალს იღლოდა და დიდი
გროვ სჭირდებოდა იმის მოწყობას, ხელმძღვანელობას“¹.

ქართული საბავშვო ლიტერატურის სიღარიბე და ქართული
ბიბლიოთეკა-სამკითხველეობის უნუგეშო მდგომარეობა (ქართული
ბიბლიოთეკა-სამკითხველეობი სრულებით არ არსებობდნენ) აღელ-
ვებდათ და აწუხებდათ მოწინავე ქართველ წიგნების მო-
თხოვნილება კი საქმაოდ დიდი იყო. ამიტომ ეკ. გაბაშვილმა, ან. წე-
რეთელმა და ეკ. მესხმა (სერგეი მესხის მეუღლემ), შეაღინეს
პატარა წრე და მიზნად დაისახეს ღამიარებოდნენ წერა-კითხვის გამავ-
რცელებელ საზოგადოებას საბავშვო ლიტერატურის გამაცემისა და
ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველეობის მოწყობის საქმეში. შუ-
შაობა მაღვე გაიშალა. შეაგროვეს ნაცნობთა შინაური ბიბლიოთეკი-
ბიდან სხვადასხვა წიგნები და მოკლე ხანში მოახერხეს პირველი
სამკითხველოს გახსნა. რაკი პირველი ბიბლიოთეკა გაიხსნა, მას
მოჰყვა ასეთივე ხასიათის ბიბლიოთეკების გახსნა ვერაზე, კუკიასა
და ავლაბარში. მუშაობამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო,
რომ საჭირო გახდა წრის წევრთა სისტემატური შექრება მიმდინარე
საკითხებზე სათათბიროდ. მაგრამ, საუბედუროდ, ამ კეთილ საქმეს
ბოლო მაღვე მოეღო. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოე-
ბამ ვერ გადაიხადა ბინის ქირა, რომელშიც ბიბლიოთეკა იყო მო-
თავსებული და წვალებითა და ხვეწნა-მუდარით შეგროვილი წიგნე-
ბი გაგულისებულმა სახლის პატრონმა ქუჩაში გამოყარა. ეს იყო
ერთ-ერთი ყველაზე მტკიცნეული მომენტი ეკ. გაბაშვილის ცხრვ-
რებაში. თავის ერთ შემდეგ ღრიონდელ წერილში ეკატერინე
გულისტკივილით სწერდა ლუარსაბ ბოცვაძეს „წარმოიდგინეთ რა
დაქმართა, როცა ჩვენი ვაი-ვაგლახით შეგროვილი წიგნები ქუჩაში
ვნახე გამოყრილი, თვალთ დამაბნელდა, გული მომეკუშა...“²

ასეთი თავგამოდებით და დაუღალავი ენერგიით მუშაობდა
ეკ. გაბაშვილი საქართველოს ღეღაქალაქში, მაგრამ არც მის რაიო-
ნებს ივიწყებდა და ცდილობდა იქაც ნათელი შუქი შეეტანა თავისი
უანგარო მოღვაწეობით. მაგალითად, 1879 წელს მან გამართა წარ-

¹ ეკ. გაბაშვილი, „მოგინებანი“, „ლიტ. პატიანე“, ფ. 1—2, გვ. 101.

² წერილი დაცულია ჩვენს წიგნთსაცავში.

მოდგენა ახალქალაქში. „ეს პირველი მაგალითი იყო იმ დღიდ მაზრა-ში — მოგვითხრობს მწერალი — მთელი მაზრა დაიძრა, ორორც რაიმე საოცარ მოვლენაზე გარს შემოგვერტყნენ. მე გავმოდგენა, ჩემი იყო პიესა! და ვთამაშობდი მე“². ამ გარემოებაში მთელი მაზრა ააღელვა. იმ ხანებში სამარცხინო საქმიანობაზე ითვლებოდა სცენაზე ქალის გამოსვლა და ეკ. გაბაშვილსაც საზოგადოების უკიცმა ნაწილმა ეს ნაბიჭი სამარცხინო საქმიანობაზე ჩაუთვალი. „ბატიფეხური ლანძღვის წერილები, დაცინვა... და სხვა სამუდამოდ მოსპობდა შრომას. ამ ხალხის საუკეთესო გამოსაფხიზე-ლებელ საქმეს, მაგრამ მე გავიმეორე რამდენჯერმე წარმოდგენა და შემდეგ ჩვეულებრივად იქცა მაზრაში წარმოლგენების მართვა და მონაწილეობის მიღება ხომ ყველა ლამაზი და წარჩინებული გვარიშვილის ასულების საცილობელი გახდა“³.

ეკ. გაბაშვილს თეატრი „ხალხის საუკეთესო გამოსაფხიზე-ლებელ „საშუალებად მიაჩნდა და ამისათვის არ ერიდებოდა არავითარ ნაბიჯს. იგი სცენაზე გამოვიდა სურამშიც, გორშიც და თვით თბილისშიც.

1881 წლიდან ჩვენს პერიოდულ გამოცემაში უკვე სისტემატურად იბეჭდებოდა ეკ. გაბაშვილის ორიგინალური ნაწარმოები, ისე თარგმანებიც, თუმცა მძიმე ოჯახური პირობები ხშირად აფერხებდნენ ეკ. გაბაშვილის შემოქმედებით მუშაობას. ამ ფაქტით შეწუხებული პეტრე უმიკაშვილი ერთ-ერთ კერძო წერილში სწერდა ეკ. გაბაშვილს გამამხნევებელი ტონით! „თქვენ ნუ დაივიწყებთ, რომ ქალებში მწერლების სახელი პირველად თქვენ ვეჯუთვნით და რაც უნდა მოხდეს, კალამი ხელიდან არ დასტოვოთ. ცუდი მაგალითი იქნება. მუდმივი თქვენი სახელი კი წამბაძველი იქნება სხვა ქალებისათვის. იცოცხლეთ ღიღხანს და სწერეთ მთელ სიცოცხლეში კეთილის და პატიოსანის საზოგადო ბედნიერებისათვის, ნუ დაეჩაგვრინებით მწუხარე აზრს... საკუთარი გაჭირვება, სიღარიბე, მწუხარება, ერთის ატომის, ერთის წინწერის დაჩაგვრაა, ამან არ უნდა შეგაშინოს, არ უნდა შეაშინოს, ვისაც თავისი თავი

¹ დაიდგა „სცენები ყმაშვილი ქალის ცხოვრებიდან“.

² „ჩემი სიყმაშვილე“ გვ. 42.

³ იქ ვე, გვ. 43.

მრთელის ქვეყნიერების, მრთელის მსოფლიოს ცენტრად არ შეა-
ჩნია”¹. ამგვარი სიტყვებით გამხნევებული მწერალი ცდილობდა
უფრო ნაყოფიერად ემუშავნა.

არ ყოფილა თითქმის არც ერთი ქართული უურნაღვებული
თი, განკუთვნილი მოზრდილთა თუ მოზარდთათვის, რომ ეკ. გაბა-
შვილს მასში თავისი კალმისა და ნიჭის ნაშუქი არ დაებეჭდოს.
განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ეკ. გაბაშვილმა ქართული
საბავშვო უურნალ „ჯეჭილის“ დაარსებაში. ეპ. გაბაშვილის დიდი
დვაწელი უურნალ „ჯეჭილის“ წინაშე მშვენივრად აღნიშნა უურნა-
ლის რედაქტორმა ანასტასია წერეთელმა, როდესაც პრესის საშუა-
ლებით მიმართა დამსახურებულ მწერალს: „შენი ნაამაგარი
„ჯეჭილი“, რომელსაც დაარსებიდან არ მოშორებიხარ, გიძლვნის
სალამს, გამკობს ყვავილებით... არც ერთ წელიწადს მისი არსებო-
ბისა არ გიღალატნია მისთვის და ერთად შეერთებული ყველა
მოთხოვნები „ჯეჭილში“ დაბეჭდილი არ ჩამოურჩება არც რიცხვით
და არც შინაარსით სხვა შენს ნაწერებს. მხოლოდ პატარა ბავშვის
ჩვილი გული უფრო შეითვისებდა და ჩაინერგებდა შენ მოძლვრე-
ბას“².

3. უმიკაშვილი, რომელსაც მოსწონდა ეკ. გაბაშვილის საბავშვო
მოთხოვნები, გულახდილად სწერდა მწერალ ქალს „ყმაწვილებისა-
თვის და ხალხისათვის (გლეხობისათვის) წერა ყველაზე დიდი ხე-
ლოგნებაა. დიდად სასიქაღულო სახელად უნდა ჩაეთვალოს ეს
(ყმაწვილებისათვის წერა) ყოველს მწერალს. ყმაწვილის სულის და
სხეულის აღზრდაზე უდიდესი საქმე განა არის რამე მკვიდრი ნა-
ყოფიერი და მომავლის ბედნიერების აშენებისათვის“³.

„სკოლით დავიწყე და ალბათ სკოლითვე დავამთავრებ ჩემს
მოღვაწეობას“, — წერდა ერთ დროს ეკ. გაბაშვილი და ეს მართ-
ლაც ასე მოხდა.

ჯერ კიდევ 90-იან წლებში მოწინავე ქალთა ვიწრო წერეში
წამოიჭრა საკითხი პირველი ქართული ქალთა სკოლის დაარსებისა.
მაგრამ ამ დიდ წამოწყებას სათანადო მატერიალური სალსარი ესა-

¹ 3. უმიკაშვილის წერილი ეკ. გაბაშვილთან, 1894 წ. 4/II-ს.

² „ჯეჭილი“, 1911 წ., № 5, გვ. 289.

³ 3. უმიკაშვილის წერილი ეკ. გაბაშვილთან, 1894 წ. 4/II-ს.

ჭიროებოდა. ქალებმა საადგილ-მამულო ბანქს მიმართეს და გამოი-
თხოვეს ქალთა სკოლის დაარსება. ამ საქმეში დიდი და თათქმის
გადამწყვეტი როლი ითამაშა ეკ. გაბაშვილმა თავისი გამოსცვლის
ბანქის ერთ-ერთ საჯარო სხდომაზე. ამის შესახებ ანასტასიან თუმც
ნიშვილი-წერტელისა მოგვითხრობს: „ერთ კრებაზე, როდესაც
ბანკი მოგებას უწილადებდა სკოლებს, ჩვენც მოვემზადეთ ხმა ამო-
გველო. ბევრი ხვეწნის შემდეგ კატო გაბაშვილს მიუჰექ გვერდით
დარბაზში და როცა დრო იყო ხელი წავკარ, რომ ეთქვა სიტყვა.
მართლაც ისე გრძნობიერად და საბუთიანათ წარმოსთქვა, რომ
ბევრნი ცრემლმორეული ტაშს უკრავდნენ, ყვიროდნენ, სამარ-
თლიანად მოითხოვა ქალების სკოლა“¹.

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ ღროს, რომ „ცნობის ფურცელ-
მა“ გამოაქვეყნა წერილი იმის შესახებ, რომ ქართველ ქალთა ამხა-
ნაგობა აპირებს გავრცელოს ჭრა-კერვის ცოდნა, აღადგინოს
ძველებური ქართული ხელოვნებით ოღაცვე ხელსაქმეო. გაზეთი
იუწყებოდა, რომ სკოლის მოსწავლენი მიიღებდნენ საგნობრივ მცი-
რე ცოდნასაც სკოლა-სამკერვალოში. „ქალთა ამხანაგობას —
აცხადებს გაზეთი — მოთავეთ იმისთანა ცნობილი და ყველასაგან
პატივცემული ქალები ჰყავს, როგორც არიან კნეინა ოლდა ჭავჭა-
ძისა, ეკ. გაბაშვილისა მასთან ერთად 7 წევრი გამგეობისა, რაც
შეიძლება ყოველგვარი ღონისძიება იხმარეს საქმის მოთავეთ და
აგერ ხვალ-ზეგ გახსნიან კიდევაც სკოლას“². მართლაც ერთი კვირის
შემდეგ, სკოლა მოთავსებული ეკ. გაბაშვილის სახლში, გაიხსნა და
შეუდგა მოქმედებას. სკოლის გამგედ ეკ. გაბაშვილი დაინიშნა.
თუმცა, ქართველი საზოგადოება დიდი აღფროვანებით შეეგება
სკოლის დაარსებას და დახმარებაც აღუთქვა, მაგრამ როგორც სხვა
მრავალ სასარგებლო წამოწყებას, ამ სკოლასაც აუარებელი დაბრ-
კოლებანი გადაეღობა წინ, მათ შორის მთავარი ფულადი სახსრების
უქონლობა იყო. რომ გადაათვალიეროთ ეკ. გაბაშვილის არქივი,
საქმით რაოდენობით ნახავთ მიმართვებს, თხოვნებს და განცხადე-
ბებს, რომლითაც ეკ. გაბაშვილი სხვადასხვა დაწესებულებებს სკო-
ლისათვის ფულად დახმარებას სთხოვდა.

¹ საქ. სახ. მუზეუმი, ფონდი, 154.

² „ცნობის ფურცელი“, 1897 წ., № 130.

ოცდახუთი წელიწადი იარსება ამ სკოლამ და ამ ხნის განმიღელობაში არ ყოფილა არც ერთი დღე, რომ მას ექ. გაბაშვილის მზრუნველი ხელი მოჰკლებოდა. მოზარდი თაობის სიყვარულით გამსჭვალული პედაგოგი თავს დასტრიალებდა საყვარელ დაწესებულებას, მუდაშ მის წინსვლაზე ზრდნავდა. უანგარო და თავდადებული შრომით სკოლამ მიზანს მიაღწია. ამის შესახებ თვით მწერალი მოგვითხრობს: „ოცდახუთი წელიწადი იარსება ქართველ ქალთა პროფესიონალურმა სკოლამ, რაც საქველმძმედო საქმის არსებობისათვის ძლიერ დიდი დრო იყო და თან თავი იმდენად ისახელა, რომ მთელ საქართველოში სამაგალითო სკოლად გახდა. ყოველ ქალაქში და დაბაში მოეწყო ამგვარი სახელოსნო სკოლები. ოცდახუთი წელიწადი ვემსახურე ამ სკოლას და ჩემთან ერთად რამდენიმე ინტელიგენტი ქალები, მთელის ჩვენი ენერგიით და თავდადებით... მართალია ბევრი ვაი-ვაგლახი და ბრძოლა გამოიარა სკოლამ, მაგრამ წარჩინებით გაიარა საუკუნის მეოთხედი და გადაეცა ახალი ეპოქის მმართველობას“¹. ეს მოხდა 1922 წელს. ამის შემდეგ უკვე მხოლოდ მოლგაწეს ძალა აღარ შესწევდა მოსჭიდებოდა ახალ, ფართო მასშტაბის საზოგადო საქმეს.

ექ. გაბაშვილს არ აქმაყოფილებდა მხოლოდ ქალთა პროფესიონალური სკოლის არსებობა და ქართველ ქალთათვის იგი უფრო ფართო ხასიათის განათლებას თხოულობდა. 1899 წელს თავადაზნაურთა მორიგი კრების საყურადღებოდ იგი წერდა:

„ამ ოცი წლის განმავლობაში, როცა ჩვენი ვაჟების სკოლები წარმოებენ და ასობით თუ არა, ოცობით მაინც უმზადებენ სამშობლო ნიადაგზე აღზრდილ ვაჟების, არავითარ ზრუნვას და გულის ტკივილს არ ხედავენ ჩვენი ქალიშვილნი, მაშინ, როდესაც ყოველი მივიწყებული კუთხიდან, ყოველ გამარტივებული სოფლიდან ღარიბ აზნაურიშვილებს გზა აქვს თავისი ვაჟიშვილი, თავის სააზნაურო სკოლაში მიაბაროს, ქალიშვილები კი რჩებიან ყოველის უნუგეშოთ სიბნელეში და უმეცრებაში. რამდენჯერ ყოფილა, ყოველი თქვენგანი, ბატონებო, მოწამე, როდესაც მა ბრუნდება შინ საწავლითა და მეცნიერებით აღჭურვილი და ბეხავი და—კი მოწიწებით შეჰყურებს იმას სწავლით ძლევამოსილს და ბევრჯერ შურით მღულარება—

¹ ექ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, „ავტობიოგრაფია“, გვ. 51. ოჯახის არქივიდან.

საც აბნევს. რათა? რისთვის? სად არის ჩვენი თავმოსაწონი „ლექვი“ ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია? ქალთა სწორუფლების ნობის მოწინააღმდეგენი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ მოეწყვიტათ ქალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობისაგან და ჩაეკტათ ოჯახის კედლებში.

ასეთ შეხედულებათა წინააღმდეგ ბრძოლა ეკ. გაბაშვილმა ჭერ კიდევ 1873 წელს დაწყო, მაგრამ, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, 1873 წელს დაარსებული ქალთა წრე უდღეური აღმოჩნდა. იგივე ბედი ეწია ამ წრეს, როცა 1884 წ. განახლება განიცადა, მაგრამ 1905 წელს ქალთა წრის მუშაობის ინიციატივა უფრო გაძლიერდა და სერიოზული ხასიათიც მიიღო. ეკატერინე გაბაშვილმა ისარგებლა 1905 წელს შექმნილი მდგომარეობით და დიდი მუშაობა ჩაატარა ქალთა გაერთიანებისა და დარაზმვის საქმეში. ამის შესახებ თვით მწერალი მოგვითხრობს: „როცა 1905 წლის განმათავისუფლებელმა ქარიშხალმა დაიგრიალა. როცა მთელი რუსეთი და იმასთან ერთად ჩვენი ქვეყანაც შეინძრა... მაშინ ჩვენ, ქალებიც ავხმაურდით... პირველმა კრებამ, რომელიც ჩემს სახლში იყო დანიშნული იმდენი მსურველი გამოიწვია, რომ არამც თუ ჩემს სადგურში, მთელი ქუჩა სავსე იყო... კრებას დაესწრო ისეთი წრისა და ისეთი ხნის ქალები, რომელიც მანამდე არავის ენახა არც საზოგადოებაში და არც ქართულ თეატრშიაც“¹.

ეკ. გაბაშვილმა მოახერხა დაკავშირებოდა მთელ რიგ რაიონის ქალთა წრეებს, მიეცა მითითებანი და გაეწია მათვის ხელმძღვანელობა. მანვე წამოაყენა აზრი ქალთა კლუბის დაარსებისა.

ის დიდი ღვაწლი, რომელიც ეკ. გაბაშვილს მიუძღვდა სამშობლოსა და ერის წინაშე, ღირსეულად აღნიშნა ქართველმა საზოგადოებამ. 1911 წლის პირველ მაისს მას სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს. იუბილე გასცილდა თავის ფარგლებს; ეს იყო არა მარტო ეკ. გაბაშვილის, როგორც მწერლის იუბილე, არამედ პატივისცემა ქართველი ქალისა, რომელმაც გაარღვია ოჯახის ვიწრო კედლები და მთელი არსებით შეუდგა საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. ღოღსასწაულშა

¹ ეკ. გაბაშვილის საჯახო არქივიდან. ხელნაწერის კონა, № 4.

² ეკ. გაბაშვილი, „ჩემი სიყმაწვილე“, გვ. 20.

ზეიმის ხასიათი მიიღო და საქართველოს ყოველ კუთხეს მოედო. თბილისის ქართულ თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო-მეჯლისი. დიდი ზეიმით ჩატარდა ეკ. გაბაშვილისადმი მიძღვნილი საბაგშვილია ქუთაისში და საქართველოს სხვა კუთხეებში. ქართულმა გაზეთებმა საქმაოდ ვრცლად გააშუქეს ეკ. გაბაშვილის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე. ეკ. გაბაშვილმა ჩვეული თავდაბლობით, მაგრამ ხაზგასმით გამოუცხადა თავის ქვეყანას: „ყოველი წამი ჩემი სიცოცხლისა გეკუთვნის შენ და შენი გაუმჯობესების სურვილს. და თუ ჩემი ნაბიჯი მერთალი და უფერულია, ნუ დამსჯი, ის ხომ რაც არის შენია და შენ გეკუთვნის!“¹.

მწერალი ქალი ნათლად ხედავდა მენშევიკების თავხედურ პარ-პაშ საქართველოში. მისმა გრძნობით აღსავს გულმა ვერ მოითმინა ის უმსგავსოება, რომელსაც მენშევიკების მესვეურები ჩაღიოდნენ. მხცოვანმა მწერალმა მთელი თავისი გულისწყრომა და ოღონოთება საჯაროდ გამოსთქვა: „თქვენ პირადათ და თქვენი ძველი და ახალი „პოპოშნიკები“ — სწერდა ეკ. გაბაშვილი ნ. უორდანიას, — დესპოტურად განაგებდით და განაგებთ საქვეყნო საქმეს...“.

თქვენ ხალხს პპირდებით მფარველობას, იმის ინტერესების დაცვას, და თვით ხალხს კი არ აძლევთ ნებას იქნიოს თავისი საკუთარი აზრი. ყველას ნაძალადევად აზვევთ თავს თქვენ საქუთარ პიროვნებას... თქვენ ცდილობთ უდიდესი თვისება (სამშობლოს სიყვარული. ი. ბ.) გააბათილოთ და ძალით აბრმავებთ, ახელებთ და გულიდან ჰგლიჯავთ ამ გრძნობას...“.

ყოველ თქვენ მოქმედებაში, ყოველ თქვენ სიტყვაში, ნათლად ჩანს თვითმპურობელი, რომელიც თავის ფეხევეშ სთელავს გატაცებას თავისუფალ მოქმედებას და ავრცელებს ტირანიით თავის ძალადობას“².

ეს დახასიათება იმდენად მკვეთრი და ნათელია, რომ იგი კომენტარს არ საჭიროებს.

საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ეკ. გაბაშვილი აღფრთოვანებით შეეგება ახალი ეპოქის დასაწყისს. იგი

¹ ქურნ. „განათლება“, 1911 წ., № 3. გვ. 162.

² ეკ. გაბაშვილის არქივიდან. ლიტ. სახ. მუზეუმი, № 04792.

გრძნობდა მის სიდიადეს, სიხარულით ეგებებოდა ყოველ ახალ საქმეს, ახალ წამოწყებას, ქართული ლიტერატურის აღორძინების დასაწყისს. და ოვითონაც სცდილობდა წვლილი შეეტანა ახალი ქვეყნის გრანდიოზულ მშენებლობაში. მიუხედავად ლრმა მონუცებულობისა, იგი მაინც ვერ ისვენებდა, ეძებდა ასპარეზს მოქმედებისათვის. მისი გრძნობა საბჭოთა ბავშვებს დასტრიიალებდა. 1924 წელს ეპ. გაბაშვილმა, ან. წერეთელმა, იაკობ ზედგინიძემ, ეპ. მესხმა, დავით დონდუამ და სხვებმა შეაღინეს საზოგადოება, რომელსაც „ჯეჭილი“ უწოდეს და მიზნად დაისახეს „ჯეჭილის“ ძევლი ნომრებიდან ამოეკრიბათ შესაფერისი მასალა, რომელიც დააკმაყოფილებდა საბჭოთა სკოლის მოთხოვნილებას და გამოეცათ აგრეთვე ბავშვებისათვის საკითხავი სხვადასხვა ხასიათის წიგნები.

1925 წელს ეპ. გაბაშვილმა და მისმა უახლოესმა მეგობრებმა გამოსცეს „ქართველ მწერალ ქალთა ალმანახის“ პირველი წიგნი, ხოლო მეორე წიგნი 1926 წელს გამოვიდა.

ეპ. გაბაშვილმა საგსებით მიიღო თანამედროვე ეპოქა. ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი წარსულ საუკუნეს და მის გულში უჩვეულო გრძნობა აღიძრა, რომელიც წერილობით გაუზიარა უცხოეთში მყოფ ერთ-ერთ მეგობარს: „რომ მაგონდება ჩემი საბრალო მოთხოვნათა შინაარსი, სადაც ჩემი გმირები რომელიმე კუნცულში ჩვენი ქვეყნისა აკეთებდნენ საეროვნო საქმეებს: მასწავლებლობდნენ, ქადაგებდნენ ჩურჩულით, დადაბლებულის ხმით, ეუბნებოდნენ შეგნებულ ხალხს ლიტონი სიტყვით: „სწავლაა საჭირო, რომ გახდე ადამიანიო“, მეტადრე ჩემი გმირი ქალები: თამარი, ელენე, დარია და სხვანი. მაშინდელი ჩემი იდეალებით აღჭურვილი ქალები რა სასაცილონი არიან დღეს, როდესაც ქართველი ქალი სრულიად დავაჟეაცებულია და ორივე ხელით ანიავებს საერთო ნალეშს და დარკვეულ პურად ახვავებს. ექიმები, მეურნენი, ვეჭილნი, მწერალნი, მხატვარნი და რაც უფრო გასაკვირია, ხუროთმოძღვარნი ქალნი აშენებენ საერთო ასაშენებელს სასახლეებს მეცნიერებისას, ხელოვნებისას და შვება და ლხენისას.

მაგრამ ყველაზე ღიღი და გასაკვირველი საერთო მასიური გამოფხიზლებაა. ქართული წიგნი, ქართული სკოლები, რომელნიც სოკოებივით იზრდებიან არა თუ ქალაქებში, უკანასკნელ მივარღნილ სოფლებშიაც კი... ჩვენი გლეხი ქალები, დღეს სრულუფლე-

ბიანი მოქალაქე ქალები, გაფაციცებით მიერეკებიან ბალდებს
სკოლებისაკენ”¹.

„მართლა! კი არ გევონოს, რომ ყოველი ეს ბეღნიერება მარტო
ჩვენი ქართველთა ხვედრია? არა, არა! ნურც მე მკადრებ მაგგბარ
ბოდვას, ყველა ნათქვამი და უთქმელი საერთოა იმ ქვეყნებს შორის,
რომელნიც ბეღმა შეაკავშირა ერთად“.
ასე შეაფასა ეკ. გაბაშვილმა
თანამედროვე ეპოქა.

იმდენად ძლიერი იყო წერის სურვილი ეკ. გაბაშვილში, რომ
სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე კალამი ხელიდან არ გაუგდია.
მრავალი მოგონება და ფაქტი ტრიალებდა მის მეხსიერებაში, ყვე-
ლაფრის გადატანა სურდა ქაღალდზე, უნდოდა შემდგომი თაობისა-
თვის დაეტოვებინა განვლილი ბრძოლებისა და სიდუხჭირის ნათელი
სურათი. „მაგრამ,—როგორც თვითონ ამბობს,—მათი აღსრულება
რიგიანად აღარ მეხერხება, უფრო კი მექარებება მეხსიერებიდან.
ღმე ძილი რომ გამიტყდება მომაგონდება ათასი საინტერესო ფაქ-
ტი აღსანიშნავად, მეორე დღეს უკვე დავიწყებული მაქვს“².

ორჯერ შეეცადა მწერალთა კავშირი ეკ. გაბაშვილის იუბილეს
გადახდას. რამდენჯერმე მისცეს წინადადება ეკატერინეს, მაგრამ
მან უარი განაცხადა: „მოხუცებული ვარ, დაუძლურებული, ვერ
გადავიტან იმ მღელვარებას, რასაც იუბილიარი განიცლის ხცენაზე
გამოსვლის დროს“³.

ეკ. გაბაშვილი გარდაიცვალა 1938 წელს. მწერალთა კავშირმა
დიდი პატივით დაკრძალა იგი მწერალთა ახალ პანთეონში.

1945 წ.

¹ ეკ. გაბაშვილი, „წერილი უცხოეთში ძვირფას მეგობარს“, 1933 წ.,
ლიტ. მუზეუმი, № 04812.

² „ლიტერატურის მატიანე“, № 1—2, გვ. 117.

³ „მოგონებანი ეკ. გაბაშვილზე“, გვ. 19., ლიტ. სახ. მუზეუმი, № 5096/2.

ქართველთა შორის ფერა-კითხების გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ისტორიისათვის

საუკუნეთა განმავლობაში გარეშე თუ შინაურ მტრებთან მუდმივი ბრძოლებით მოღლილი საქართველო რუსეთს შეუერთდა. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული აქტი, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა ქართველი ხალხის შემდგომი წინსვლისა და განვითარების საქმეში. მაგრამ ყველა ის დადებითი შედეგები, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყავა შეერთების პირველ წლებში მეტის-მეტად მკრთალად იჩენდა თავს, რადგან ახლად შემოერთებულ ქვეყანაში მკვიდრდებოდა ოფიციალური მეფის რუსეთი, რომელიც მთელი სისასტიკით ატარებდა მოუხეშავ კოლონიურ პოლიტიკას. გონება ჩლუნგი, ავანტიურისტი და მექრთამე მოხელენი, რომელთაც ცარიზმი ნიშნავდა თავისი პოლიტიკის საწარმოებლად საქართველოში, ანგარიშს არ უწევდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მრავალ საუკუნოვან კულტურას, მის ტრადიციებს და ურცხვად და მოურიდებლად ქელავდნენ ფეხვეუშ ქართველი ხალხის ეროვნულ თავმოყვარეობას.

„სახალხო განათლების, ბეჭდვითი სიტყვის, თეატრალური ხელოვნების, და სხვა ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულებები და წამოწყებანი, რომლებიც შევიდა ან შედიოდა საქართველოს ცხოვრების პრაქტიკაში XVIII საუკუნის დასასრულს, — სრულიად ან თითქმის სრულიად იქნა გაუქმებული XIX საუკუნის დასაწყისში. რუსეთის მეფის ხელისუფლებამ საქართველოში თავისი დაფუძნების პირველ წელსვე გააუქმა თელავის სემინარია და თბილისის ცოტად თუ ბევრად ცნობილი ქართული სკოლები, უარყო საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII მიერ 1799 წელს მოწონებული პროექტი (ბატონიშვილი იოანე ბაგრატიონისა), რომელიც ითვალისწინებდა 3 უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას (თბილი-

სსა, თელავსა და გორში), დევნიდა და ფანტავდა ქართველ მეცნიერებს, ლიტერატორებს, კულტურა-განათლების მუშაქებს, აფერხებდა ყოველ ადგილობრივ თაოსნობას ქართველთა შორის¹. წერა-კითხვისა და განათლების გავრცელების საქმეში, გარდა ამისა, ცარიზმის თავისი მიზნის განსახორციელებლად სხვა საშუალებანიც მოეპოვებოდა; ეს იყო სამოქალაქო დაწესებულებანი, სადაც საქმის წარმოება, რუსულ კანონებზე დამყარებული, მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოებდა. მასთან ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება იყენებდა საერთო მიზნების განსახორციელებლად; აგრეთვე სამხედრო სამსახური, რომელშიც ძლიერად იყო გამეფებული რუსითიკატორული სული, მაგრამ ძირითადი, ყველაზე უფრო სანდო დასაყრდენი ქართველების ეროვნულად გადაგვარებისა ცარიზმისათვის სკოლა იყო, სადაც უნდა აღზრდილიყო კადრი ჩინოვნიკებისა, რომელნიც, გაუღენთილნი ცარიზმისადმი ძლიერი სიყვარულით, უყოყმანოდ შესარულებდნენ ყოველგვარ ბრძანებას და რომელთაც არ ექნებოდათ საკუთარი აზროვნების უნარი.

მოზარდი თაობის გადაგვარების მიზნით „განათლების მესვეურებმა“ საქართველოს სკოლებიდან განდევნეს ყოველივე ქართული, ყოველივე ნაციონალური; ბავშვს წელში მისცეს წიგნი, მისთვის გაუგებარ ენაზე გასაზეპირებლად, რამაც მოზარდ თაობას სწავლის პროცესი სატანჯველად გადაუქცია.

თვით ცხოვრების პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ, რომ ლუქმა-პურის შოვნა, წარჩინება და დაწინაურება შესაძლებელი იყო მხოლოდ რუსული ენის კარგად ცოდნით, მრავალი ქართველი რუსითიკაციის გზაზე შეაყენა. ზოგმა გადაგვარებულმა-მშობელმა თავად-აზნაურული წრიდან-თხოვნით მიმართა ბავშვების აღმზრდელებს: ჩემ შვილს ქართულს ნუ აწავლითო.

„ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჩიშოდ, — წერდა ამ გარემოებით აღმფოთებული ილია ჭავჭავაძე, — ჩვენი ეგრეთწოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხევინოდ თაკილობს თავის დედა-ენით ლაპარაქს. ნათქვა-მია თევზი თავიდან აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც,

¹ გ. თავზე იშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში. 1801 — 1870, გვ. 24.

ჩვენს ეგრეთწოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით. ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის სამურავი ქართული სიტყვის მიხვრა-მოხვრა. ის სიმღიდრე ქართულის სიტყვიერებისა აღარ ისმის, გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რაღანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება“^{-ო!}.

სწორედ აქეთკენ მიისწრაფოდნენ ქართველთა „განმანათლებები“ და ნაწილობრივ შედეგსაც აღწევდნენ: ქართველ ბავშვს, საერთოდ ქართველობას ცარიზმი სძარცვავდა ყოველივე იმ საუნგისაგან, რაც მშობლიური ენის, მშობლიური ლიტერატურისა და კულტურის შესწავლას მოსდევდა. „განათლების მესვეურნი“¹ კი ოცნების ბადეს გულმოდგინედ ქსოვდნენ და ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ „რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ ყურს მიაპყრობს მგზავრი კავკასიის ქალაქებში და სოფლებში ლაპარაკს და უკვე აღარ გაიგონებს სხვადასხვა ენას, რაც მას დღეს იქ აოცებს... როდესაც კავკასიის განაპირა მოსახლეობა კულტურით გაუერთიანდება და სულით შეედინება ცენტრალური რუსეთის მოსახლეობას....².

ყოველივე ამას საშინელი გულისტკივილით გრძნობდა მოწინავე ქართველი საზოგადოება და ყოველგვარ ლონისძიებას ხმარობდა გადაერჩინათ მოზარდი თაობა დალუპვისაგან.

მართლაც XIXსაუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეულ გარდატეხას ვამჩნევთ. განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ეს გარდატეხა 60-იანი წლებიდან, როდესაც სამოლვაშეო ასპარეზზე გამოდიან რუსეთის მოწინავე კულტურაზე აღზრდილი „თერგდალეულება“.

მომავლის მოქმედების ფორმულა:

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობალი,

ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“, რომელიც მოწინავე

¹ ილ. ჭავჭავაძე პედ. თხზულებანი, თბილისი, 1938 წ. გვ. 171.

² Н. Попов, — „Деятельность управления кавк. уч. округа“. Ж. „Русская школа“, 1901 г., № 1, стр. 76—77.

სტრიქონებში ჩამოაყალიბა თერგდალეულთა მეთაურმა იღრა
ჭავჭავაძემ, განხორციელებას მოითხოვდა.

ამ ფორმულის განხორციელების სურვილმა დარაზმა ქართველი მოწინავე მთაზროვნე საზოგადოება; იგი შეჰქრა ერთ მკვრივ ბირთვად, რომელმაც მოქმედების გეზი ახალი ვარსკვლავის გამონახვისაკენ, ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნისაკენ აიღო. ცარიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში „თერგდალეულნი“ მტკიცე მეგობრული გრძნობით უკავშირდებოდნენ რუსეთის საზოგადოების პროგრესულ ძალებს.

ცხოვრების ახალი გეზის გამონახვის აუცილებლობა განსაკუთრებით დააჩქარა ისეთმა დიდმნიშვნელოვანმა მოვლენამ, როგორიც იყო ბატონიშვილის გადავარდნა.

ბატონიშვილი ურთიერთობით ქანცგამოლეული, ფართო მშრომელი მოსახლეობა, ეგზეკუციებით განაწარმები გლეხობა, რომლისთვისაც ახალი რეფორმა მეტად უსუსური გამოდგა, შველას მოითხოვდა და, აი, ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ იწყო ზრუნვა ხალხის, ეროვნების ფიზიკური გადარჩენისა და მისთვის კულტურული პირობების შექმნისათვის. რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციებზე აღზრდილი ახალგაზრდობა ეროვნული მოძრაობის იდეას მტკიცედ უკავშირდებდა სოციალური განთავისუფლების ლოზუნებს.

„შემდეგ ბატონიშვილის გადავარდნისა საქართველოში, — მოგვითხრობს ი. გოგებაშვილი, — 1864 წელს, ქართველ საზოგადოებაში დაიბადა და აღიზარდა ის აზრი, რომ ეს რეფორმა მხოლოდ მაშინ მოიტანდა სანატრელ ნაყოფს, როცა გლეხობა განთავისუფლდებოდა სიბნელესა და უმეცრობისაგან. ვისგან უნდა მოელოდეს ჩვენი გლეხობა ამ მეორე განთავისუფლებასო. რასაცვირველია, არა ბიუროკრატიისაგან, რომელიც ამისათვის თავს სულ არ გაიცხელებს, არამედ ქართველი დაწინაურებული საზოგადოებისაგან. ამ საზოგადოებას კი მხოლოდ მაშინ შეეძლება ეს დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს დაბეჭავებულ გლეხობას, როცა იგი შექმნის ორგანიზაციას, რომელსაც მიზნად ექნება განათლების მოფენა ხალხში“—ო¹.

1 ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, სახელგამი, 1940 წ., გვ. 512.

საყურადღებოა. რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ისევ გრძელდება საქართველოში ლიტერატურული წრეებისა და სალონების ტრადიცია; ეს სალონები წარმოადგენენ ცენტრებს, საღაფუთავს იყრიდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომაღვენელზე, აუკობდნენ ლიტერატურულ ნაწარმოებთა საჯარო კითხვა-გარჩევას, აწარმოებდნენ სჯა-ბაასს მრავალ საჭირბოროტო საკითხზე და სახავ-დნენ მომავალი მოქმედების გეგმებს.

ერთ-ერთ ასეთ სალონს XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოადგენდა იოსებ მამაცაშვილის ოჯახი, საღაფუთავდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციისა, თავს იყრიდა პროვერბული მოაზროვნე რუსობა და გაქართველებული სომხობის ნაწილი.

ამ წრეში შედიოდნენ: იოს. მამაცაშვილი, მისი ქალაშვილები: დარიკო, ბაბალე და ელო, რომელთაც ჰქონდათ დასრულებული ინსტიტუტი, ი. გოგებაშვილი, დიმ. ბაქრაძე, დიმ. მუსხელიშვილი, ანა მუსხელიშვილი, კონსტ. მამაცაშვილი, ლოქტორი გეგე შაღალაშვილი. ვ. თულაშვილი, ან. ფურცელაძე, ცნობილი რუსი პეზაროვი, უურნ. „Детский сад“-ის დამაარსებელი სიმონოვიჩი, თავისი მეუღლით და სხვანი. ამავე წრეს 1870 წელს მიემატნენ ჩავი ცხელაძე და გიორგი იოსელიანი, რომელთაც მოსკოვის სასულიერო ეკადემიის კურსი დაასრულეს და სამშობლოს მოაშურეს.

როგორც ვხედავთ, წრე საქართველოს სერიოზული ადამიანებისაგან შედგებოდა, ყველა აღმურვილი იყო მტკიცე მამულიშვილური კრძნობით. ისინი ნათლად ხედავდნენ იმ მოსალოდნელ საშინელებას, რომელიც ბიუროკრატი რუსი მოხელეების თარეშს უნდა მოყოლოდა საქართველოში და ეროვნების თვითარსებობის შინწით გადასწყვიტეს დაარსება საზოგადოებისა, რომელიც სწავლა-განათლებას მოჰყენდა ხალხს და ისნიდა მას გადავარებისაგან.

ამ წრეში 1864 წლის პირველ ნახევარში ჩაისახა აზრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა. აზრი უმაღვე ხორცშესხმულ საქმედ იქცა და საზოგადოება, ან უფრო-სწორი იქნებოდა გვეთქვა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელების მოსურნეთა წრე იმავე 1864 წელს ჩამოყალიბდა.

პირველხანებში ამ ჯგუფს კერძო წრის ხასიათი ჰქონდა. მას არ გააჩნდა არც ოფიციალური წესდება, უმაღლესი მთავრობის მიერ

დამტკიცებული და არც მთავრობა სცნობდა მას ისეთ ორგანიზაციად, რომლისთვისაც ანგარიშის გაწევა იყო საჭირო. გარდა ამისა, თვით ამ წრის მიზნებიც პირველ ხანებში მეტად ვიწრო და ცალმხრივი იყო. მას სურდა მხოლოდ კერძო სკოლების გახსნა სოფლიად და ამ მიზნით თითოეულ წევრს ამ წრისას შეჰქონდა სალაროში გარკვეული თანხა.

პირველ ჩიგში წრემ მიზნად დაისახა გაეხსნა სოფ. ხოვლეში მარიამ მამაცაშვილის¹ სახელობაზე სანიმუშო სკოლა ოთხი წლის კურსით, სადაც ყველა საგნის სწავლება მთელი ოთხი წლის განმავლობაში ქართულად უნდა წარმოებულიყო. მათი აზრით, სკოლის ორგანიზაცია და სწავლების პროცესი იმგვარად უნდა წარმართულიყო, რომ ეს სკოლა სამაგალითო და მისაბაძი გამხდარიყო სხვა სოფლის სკოლებისათვის, მაგრამ პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე წრეს საქმაოდ სერიოზული წინააღმდეგობა გადაეღობა: მთავრობამ მათ ნება არ დართო ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლებისა ოთხივე წლის განმავლობაში და მოითხოვა რუსული ენის სწავლების იმდენად გაძლიერება, რომ მეოთხე წელს ყველა საგანი რუსულად სწავლებულიყო. „არაფრად გვეპიტნავა ეს ამბავი,— მოგვითხრობს ი. გოგებაშვილი, — მაგრამ რა ვიზამდით. გავხსენით სკოლა, გვამწესეთ მასწავლებელი და გავაჩალეთ სწავლა, მაგრამ საქმემ ფრთა ვერ გაშალა. რადგან დედა ენის უფლების შეზღუდვამ ცივი წყალი გადასხა წრის წევრებს. ჩვენ გვსურდა სამაგალითო სკოლა დაგვეარსებინა... მაგრამ ბიუროკრატიამ მეტად დააკოჭლა ჩვენი სკოლა, ნაყოფიერება მისი საკრძნობლად. შეამცირა და დაუკარგა მიზიდვების ძალა; ამიტომ სკოლამ ვერ იბარტყა და დარჩა თბლად“². მართლაც, ამ წრეს, ვიდრე იგი ოფიციალური საზოგადოების ხასიათს მიიღებდა, არც ერთი სკოლა აღარ გაუხსნია და ი. გოგებაშვილის თქმისა არ იყოს, მხოლოდ სოფლის ერთ სკოლას აწარმოებდა და ისიც დიდი ვაინაჩრობით. ქართული პედაგო-

1 მარიამ მამაცაშვილი, იოს. მამაცაშვილის ქალიშვილი, იყო მეულე სოფ. ხოვლეს მემმულის გიორგი ჭავახიშვილისა, რომელიც მეტ წილად ხოვლეში ცხოვრიბდა და როგორც ქ.შწ.-კ.გ. საზ ბის წრის წევრი განსაკუთრებულ მზრუნველობას გამოიჩნდა სკოლისაღმი.

2 ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწერები, ტ. II, გვ. 514.

გიური ფრონტი მოდუნდა, მიიძინა და ხელმძღვანელობის უნარი
დაპკარგა.

1867 წელს ნევეროვემა, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის
მზრუნველად ითვლებოდა, შეაღგინა სასწავლო უწყების დებულე-
ბის პროექტი, რომლის მიხედვითაც სასწავლო უწყების სათავეში
იდგა ოლქის მზრუნველი, რომელთანაც არსებობდა განსაკუთრებუ-
ლი საბჭო. გიმაზიები, პროგიმნაზიები და რეალური სასწავლებლე-
ბი უნდა დამორჩილებოდნენ უშუალოდ ოლქის მზრუნველს, ხოლო
სახალხო სკოლების ხელმძღვანელად ინიშნებოდა დირექტორი. მას
ჰყავდა ინსპექტორები, რომელთაც ემორჩილებოდა სამრევლო-საე-
კლესიო სკოლები.

ამ პროექტის მიხედვით ადგილობრივი ენების სწავლება (ქარ-
თული სომხური, და თურქული) სავალდებულო იყო მხოლოდ
მოსამზადებელ კლასებში, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში კი იგი
ისწავლებოდა მხოლოდ მსურველების მიერ განსაზღვრული საფასის
გადახდის შედეგ.

ეს პროექტი 1872 წელს დამტკიცა მეფისნაცვლის საბჭომ,
რომელმაც შესცვალა დებულების პროექტის ის პუნქტი, რომელიც
ადგილობრივი ენების სწავლებას ეხებოდა და აღნიშნა, რომ ამ ენე-
ბის სწავლება სავალდებულოა სათანადო გიმნაზიებში, მოსამზადე-
ბელ და პროგიმნაზიულ კლასებში, ხოლო თუ რამდენი სათით უნდა
განსაზღვრულიყო ამ ენების სწავლება — ეს პედაგოგიურ საბჭოს
უნდა გადაეწყვიტა და სასწავლო ოლქის მზრუნველს დამტკიცე-
ბინა.

მეფისნაცვლის საბჭოს ასეთმა დასკვნამ ნევეროვს სრული გასა-
ქანი მისცა. მან ქართული ენა შეიტანა სასწავლო გეგმაში, მაგრამ
საათების რიცხვი იმდენად შეზღუდა, რომ ამ საგნის სწავლებას
მხოლოდ ფორმალური ხასიათი მიეცა.

მაგალითად, 1874 — 75 სასწავლო წელს ქუთაისის გიმნაზიის
გაკვეთილების ცხრილში რუსულ ენას 70 საათი ეთმობოდა, ხოლო
ქართულს 6. ამ 6 საათიდან 2 ს. 1 კლასში, 2 — მეორეში და 2 — მესამე
კლასში. ნევეროვი მარტო ამით არ დაკმაყოფილდა და მისმა თავზე-
დობამ იმ ზომამდისაც კი მიაღწია, რომ ქართული ენის გაკვეთილე-
ბის მოსამენად პარალელური კლასები გააერთიანა და ისედაც

უმნიშვნელო საათების რიცხვი გაერთიანების შედეგად შექმნილი უდისციპლინობით მთლიანად გააძიაბრუა.

რაც შეეხება თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის და გთ რის საოსტატო სემინარიას. აქ ქართულ ენას არც ერთი საათი არ ჰქონდა დათობილი. „შუაგულ ქართლში,—წერდა ი. ჭავჭავაძე,— მთავრობამ სემინარია გახსნა, მერე იმისათვის, რომ ქართული სოფ-ლის ბავშვებისათვის ოსტატები გამოსწუროთნოს და მაინც კიდევ ქართულს არ ასწავლიან“—ო¹.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩვენს ყურადღებას იბყრობს კიდევ ერთი გარემოება: განათლების მინისტრი გრაფი დიმ. ტოლ-სტოი სახალხო განათლების წინაშე განსაკუთრებული ხასიათის ამოცანას აყენებს: „დემოკრატიულ ელემენტებს, — წერს იგი, — უნდა მოესპოს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის საშუალება და გაუძნელდეს საშუალო სასწავლებლის გათავება“—ო². მან განსაზღვრა კიდეც სკოლების რიცხვი, ასე რომ 1879 წლისათვის თბილისის გუბერნიაში მხოლოდ 29 სკოლა იყო, ქუთაისის გუბერ-ნიაში — 84, შორაპნის მაზრაში 18, დუშეთის მაზრაში 1, ახალქალა-ქისაში 2, თიანეთის მაზრაში 1, ხოლო აჭარა-ქობულეთში — არც ერთი.

გლეხობისათვის აქა-იქ არსებობდა მხოლოდ პირველდაწყებითი სკოლები, საღაც პირველი წლის მეორე ნახევრიდანვე ბავშვებს რუსულ ენაზე აწყებინებდნენ მეცადინეობას. ამგვარი არანორმა-ლური მდგომარეობა უკარგავდა სკოლას მიმზიდველობის ძალას. თუმცა გლეხობაში სწავლის მოთხოვნილება დიდი იყო, მაგრამ მა-თი საგრძნობი ნაწილი დაფრთხა და შვილი სკოლას აღარ მიაკარა. „დედა-მამანი, — აცხადებდა „ივერია“, — მაგრე რიგად არ თანა-უგრძნობდნენ სასწავლებელს იმ მიზეზის გამო, რომ დედა-ენას არ ასწავლიან, რის გამოც თავში მტკიცედ უზის გლეხებს ის ჰაზრი, რომ სალდათათ წაყვნა უნდა ჩვენი შვილებისო და ამის გამო მარტო რუსულს ასწავლიან“—ო².

შეიძლება ამ გარემოებითაც აიხსნებოდეს ის მდგომარეობა,

¹ ბლ. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, გვ. 141.

² „ივერია“, 1877 წ. № 3.

რომ 70-იან წლებში მრავალი სკოლა სრულიად დაიხურა. მთგალი-
თად 1873 წელს მარტო შორაპნის მაზრაში 5 სკოლა გაუქმდა, გაზ.
„დროების“ კორესპონდენტი 1873 წლის 28 დეკემბერს დაბა ყველი-
ლიდან ასეთი შინაარსის ცნობას უგზავნის რედაქციას: „...არ ვიცი
რომელი შეკოლიდან დავიწყო. ამ უეზდში სახალხო შეკოლები გახს-
ნილი იყო ხუთ ადგილას: კიცხში, ხარაგაულში, შორაპანში, ჩხარში
და საქარაში. ამ სახალხო შეკოლებისათვის სახელმძღვანელო წიგნე-
ბიც გამოიწერეს არა მცირე რუსულ ენაზე... ყველა შეკოლებში
ბავშვები სამოცამდე იყვნენ შეკრებილნი. სამ მამასახლისს — შო-
რაპნისას, კიცხისას და ხარაგაულისას მაღლობაც მოვუდათ მთავ-
რობისაგან შეკოლების გახსნისათვის. უკანასკნელს მამასახლისს,
თურმე ტყვილა მოუვიდა მაღლობა. შეკოლა მას არასოდეს არ ჰქო-
ნებია და არც აქვს!...“

მე ძალიან მეშინოდა ვაი თუ სხვა მამასახლისებმაც წაბაძონ
ხარაგოულის მამასახლისს და შეკოლების გახსნა აღარ ეძებონ...
მართლაც სხვა მამასახლისებმაც მას წაპხედეს და სადაც იყო შეკო-
ლები ისინიც კი დაიკეტა, არა თუ სხვა გაეხსნათ. შესანიშნავი თავი-
სი მასწავლებლებით კიცხის საზოგადოების შეკოლა დაიკეტა...
შორაპნის საზოგადოების სახალხო შეკოლაც დაიხურა, ამათ წაბაძეს.
რასაკვირველია, საქარის საზოგადოებამ და ჩხარისამ და დღეს აშ
უშველებელ უეზდში ერთი სახალხო შეკოლა აღარ არის“¹.

სწავლის სურვილი კი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქამიალ
დიდი იყო. „დროების“ იგივეკორესპონდენტი მოგვითხრობს: „საზო-
გადოებაში იმდენად არის სწავლის სურვილი, რომ ზოგან თითო
ოჯახი ქირაობს მასწავლებელს და ცოლშვილთან მიჰყავს თავის
სახლში. მაგრამ ასეც ძლიერ სტყუვდება საწყალი ხალხი. ერთმა
კვალითელმა აზნაურიშვილმა დაიქირავა ერთი მასწავლებელი
რომელიც ამბობდა თურმე, რომ მე დიდი ნასწავლი ვარო და ეს
არის თბილისის ქალაქიდან მოვედიო. გამოჩნდა ბოლოს, რომ რკინის
გზაზე მებუტკედ ყოფილა, მაგრამ გამოურიცხავთ“².

ასეთ მდგომარეობას ხედავდა ქართველთა შორის ჭ. კ. გავრცე-
ლების მოსურნეთა წრე.

¹ „დროება“, 1874 წ., № 407.

² ი ქ ვ.

საზოგადოებრივი ცხოვრების ეს საზარელი სურათი მწარედ აფიქრებდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციას და გამოსავალს ეძებდა. 1873 წელს ქართველი თავადაზნაურობისადმი მიმარტულ წერილში სერგეი მესხი წერდა: „ვინც ჩვენი ეხლანდელი საზოგადოების მდგომარეობას ერთს თვალს გადაავლებს... ვინც ცოტათი მაინც დაფიქრდება იმაზე, რომ ჩვენს საზოგადოებას ამ უკანასკნელ დროს თითქმის სრულიად დაეკარგა თავის საზოგადო საქმეში მონაშილეობის მიღების ხალისი და ინტერესი და ყველაფრის გაკეთებას სხვისაგან მოელის, ვინც ამ საგნებზე დაფიქრდება, ვამბობთ ჩვენ, ის, დარწმუნებული ვართ, იმწამსვე იტყვის, რომ ჩვენ საზოგადოებას ყველაზე უფრო ამჟამად იმ წესის მინიჭება ეჭირვება, რომელიც მომეტებულ ნაწილ რუსეთის ღუბერნიებისა კარგა ხანია მინიჭებული აქვთ. ჩვენ ვამბობთ ერობაზე და ნაფიცით სასამართლოებზე... ის (ერობა ი. ბ.) გვაფიქრებინებს ჩვენ უმეცარი ხალხის განათლებაზე, ჩვენი საწყალი ხალხის ეკონომიურად გაუმჯობესებაზე... და ათას სხვა ისეთ რამეებზე, რომლებისათვისაც ფიქრი და ხელის განძრევა დიდი ხანია დრო არის“¹.

როგორც ვხედავთ, ქართველი ხალხის ეკონომიური და კულტურული წინმსვლელობის აუცილებელ პირობად ს. მესხს ერობის დაარსება მიაჩნია, მაგრამ ერობის დაარსების საჭიროების საკითხი ს. მესხზე უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1871 წ. ნ. ნიკოლაძე მ დააყნა. „ერობის ყველაზე უფრო ძვირფასი ღირსება, — წერდა იგი, — ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვავლევინებს, ჩვენ პატრიონად ჩვენვე გვხდის და ეს გარემოება, მარტო ეს, ჩვენ არსოდეს არ უნდა დავივიწყოთ“². ამ მიზნით ნ. ნიკოლაძემ ერობის წესდებაც კი შეადგინა და ვრცლად გაარკვია საკითხი, თუ რაზედ უნდა ეზრუნა მომავალ ერობას და რა უფლებები უნდა მინიჭებოდა მას. სხვა მრავალ საკითხთან ერთად ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საქმედ ნ. ნიკოლაძემ მომავალ ერობას სახალხო განათლების საკითხებზე ზრუნვა დაავალა (იხ. „ერებული“, 1871 წ., № 5, გვ. 151 წესდების ს. 7), რადგან ღრმად სწამდა. რომ „ყოველ საქმეს, რომე-

¹ „დროება“, 1873 წ., № 16.

² „ერებული“, 1871 წ., № 5, გვ. 161, 6. სკანდელი — „ერობა, მისი დანიშნულება და წესდება“.

ლიც ახალგაზრდობის აღზრდასა და სწავლებას შეეხება, ყოფელი გონიერი კაცი სწორედ იმ თვალებით უნდა უყურებდეს, როგორც თვალის საკუთარ საქმეს, რომელზედაც დამოკიდებულია მისი საკუთარი სარგებლობა, სიყვთე, ბედი... სასწავლებლების და განათლების ბედს და ხასიათს ჩვენ მუდამ სწორედ ისე უნდა ვადევნებდეთ თვალს, როგორც ჩვენ შინაურ, საკუთარ საქმეებს, როგორც ჩვენი შვილების ბედს და უბედობას”¹...

მიუხედავად მტკიცე საბუთიანობისა და სისტემატური მოთხოვნისა, ერობის შექმნა თბილისის გუბერნიაში მოუხერხებელი აღმოჩნდა და მისი დაარსების ცდა მარცხით დამტავრდა.

მაგრამ ქართველი ინტელიგენცია მაინც არ ცხრებოდა; ზემოაღნიშნული მდგომარეობით აღშფოთებულ, ქ.შ.ჭ.კ. გავრცელების მოსურნეთა წრის წევრებს და ქუთაისის საზოგადოების ზოგიერთი „ნასწავლი თანამდებობის, ღვთის მოყვარე და მდაბალი ხალხის შემძრალე კაცს“ („დროება“), გადაუწყვეტია 1873 წლის 31 დეკემბერს შეკრება დაბა ყვირალაში, ყიფიანის სახლში, სადაც თათბირი უნდა გამართულიყო სკოლების თაობაზე და საზოგადოდ იმის შესახებ, თუ რა გზით გაევრცელებინათ ხალხში წერა-კითხვა. შესდგა თუ არა ეს თათბირი, ამის შესახებ ჩვენი პერიოდული პრესა სდუმს და არავითარ ცნობას არ გვაწვდის. ყოველ შემთხვევაში ფაქტი ერთია: ჩივილი საქართველოს სახალხო სკოლების არასაქმარისობის და არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ თანდათან სისტემატურ ხასიათს იღებს, ხოლო 1878 წლისათვის „ივერია“ უკვე ვეღარ ითმენს დაგუბებულ ბოლმას და აღნიშნავს: „არა სანუგეშო სურათს წარმოადგენს ამჟამად ჩვენ სამშობლოში მყოფი შკოლები, რადგანაც არც ერთი მათგანი არ არის დაფუძნებული ნამდვილ პედაგოგიურ საფუძველზედ ისე, რომ მათ შორის ვერცერთს ვერ შეუძლიან გაბედვით უწოდოს თავის თავს „სახალხო შკოლა“, იმგვარი სახალხო შკოლა, რა გვარიც ძალიან კარგად არის ცნობილი დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში. აწინდელი შკოლები მაგიერ ზნეობისა სხეულის აღზრდისა და ჭკუა-გონების გახსნისა, სრულიად ახმობენ და აკერპებენ ჩვენ ნორჩ შვილებსო².

¹ „კრებული“, 1871 წ., № 3, გვ. 188—9. ნ. სკანდელი „ახალგაზრდობის აღზრდა“.

² „ივერია“, 1878 წ., № 29.

მოზარდი თაობის გონების გამოფიტვას იწვევდა, ერთი შხრით,
მშობლიური ენის სკოლიდან განდევნა და საგნების უცხო ენაზე
სწავლება, ხოლო, მეორე მხრით, მასწავლებელთა სრული შეუფერ-
რებლობა, მოუმზადებლობა, რაც ახასიათებდა როგორც ქადაქის,
ისე განსაკუთრებით სოფლის სკოლების მასწავლებლობას, რომელ-
ნიც აწამებდნენ სწვალის სურვილით გატაცებული გლეხის პატარა
ბავშვებს და მათ სათუთ გულში კლავდნენ სიყვარულს წიგნებისა
და სკოლისადმი.

„რომ ჩვენმა გლეხობამ დიდი სურვილი გამოიჩინეს სწავლისა,
ეს ცხადია, — წერდა „ივერია“, — მაგრამ ვა რომ საწყალ გლეხო-
ბას ვერ უსრულდება კეთილი სურვილი. ამის მიზეზი ის არის, რომ
მომეტებული ნაწილი ჩვენი სოფლის სკოლების ოსტატებისა მოუ-
მზადებელია თავისი საქმისათვის“¹. მაგალითად, ახასიათებს რა
ფშავის მასწავლებელ ბადუროვს, დასძენს: „წარმოიდგინეთ მასწავ-
ლებელი, რომელიც ახლად გადმოვარდნილ რუსის სალდათივით
თავს იღრჩობს ლვინოში, სადაც კი შეჰქვედება... საცხენისის სამხედ-
რო შეკვეთიან გამოგარდნილისაგან (შეუსრულებლივ) და ბახუსის
ესრეთ გულშეურვალე მოსამსახურისაგან ვინ უნდა მოელოდეს
ხეირს... აი, უფალი ფშავლის პესტალოცი“, ანდა სოფ. არტანის
მასწავლებელი ქრულლოვი, როზგის ხელახლად გამაცოცხლებელი,
რომელიც ცემა-ტყებით აფრთხობს ბავშვებს სკოლიდან და სხვა
მისი მსგავსნი. „აი, როგორ მასწავლებლებს უყურებს ჩვენი ხალხი,
აი, ქვეყნის განმანათლებლები, რომლებისგანაც ხალხმა უნდა შეა-
დგინოს აზრი სწავლის სარგებლობაზედ. — გულისტავილით გვაუ-
წყებს „ივერია“.

სახალხო განათლების ცაზე ჩამოწოლილი შავი ღრუბელი
ფართოვდებოდა, მოზარდი თაობის დამახინებას დასასრული არ
უჩანდა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელების მოსურნე-
თა წრე სრული სერიოზულობით გრძნობდა შექმნილ მდგომარეო-
ბას, მაგრამ აქტიურ მოქმედებას ჯერ კიდევ ვერ ბედავდა და არსე-
ბული საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული
გესლიანი ფელეტონებით კმაყოფილდებოდა.

სოფლის მოსახლეობა თანდათანაბით უვიცობის ჭაობში

1 „ივერია“, 1874 წ., № 3.

ეფლებოდა, ხოლო ქალაქელი ბავშვი დაუსრულებელი ზეპირობის შედეგად დაქვეითების გზაზე დგებოდა, ცხოვრებისათვის ზედმეტ ადამიანად ხდებოდა და საშინელ სულიერ ტრაგედიას განიცდიდა: მას ქართულიც დავიწყებული ჰქონდა და არც რუსული აცოდა ქარგად.

ამგვარმა მდგომარეობამ 1874 წლის მიწურულისათვის საქმაო სერიოზულობით დააყენა ქართველი საზოგადოების წინაშე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების აუცილებელი საჭიროების საკითხი და მომავალ საზოგადოებას გარკვეული მიზანიც დაუსახა. ამის შესახებ „დროება“ წერდა: ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ „უნდა ვიზღოთ ჩვენი დაკარგული, უნდა ვუშველოთ ჩვენს აწყოს თუ არა მომავალს მაინც, რასაკვირველია, ამის მაღამო პირველი ის არის, რომ უნდა შესდგეს წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მაგრამ ამ საზოგადოებას ჩვენში ისე ვიწრო პროგრამა როდი უნდა ექნეს როგორც სხვა ქვეყნებში, ამ საზოგადოების ვალი მარტო ერთი ან ორი შეკლის გახსნა და მისი კარგად წაყვანა კი არ არის, ამ საზოგადოების ვალი, ჩვენის აზრით, ის უნდა იყოს, რომ სახალხო იაფი წიგნები გაავრცელონ, ე. ი. გაავრცელონ და არა გამოსცენ მარტო. ჩვენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გვჭირიან და ამ საზოგადოების პირველი ვალდებულება იაფი და სასარგებლო წიგნების გავრცელებაა¹.

თუ რამდენად სწორად იყო დასახული ამოცანა, „დროების“ მიერ, მომავალი წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოებისაღმი, ეს სხვა საკითხია და ამაზედ ქვემოთ. ფაქტია მხოლოდ ის გარემოება, რომ თანამედროვე ვითარებამ წინა პლანზე წამოსწია იმგვარი საზოგადოების დაარსების საჭიროება, რომელსაც ექნებოდა ოფიციალური ხასიათი და რომელსაც ადგილობრივი მმართველობა სათანალო ანგარიშს გაუწევდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1874 წლიდან ჩვენს პერიოდულ გაშოცემათა ფურცლებზე ხშირად შეხვდებით კატეგორიულ მოთხოვნას, რომ ქართველთა შორის წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება „რაც კი შეიძლება უფრო ადრე უნდა შესდგეს, ვინაიდან ეს ძლიერ სა-

¹ „დროება“, 1874 წ., № 424.

ჭიროა”-თ (“დროება”, 1875 წ.), მაინც 1879 წლამდე ეს საზოგადოება არ ჩანს.

1877 წელს დარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის გიორგი რომანის ძე ერისთავის მიერ ყალიბდება საზოგადოება, რომელიც ოფიციალურ სახეს 1878 წელს ღებულობს და რომელმაც მიზნად დაისახა ხელი შეეწყო ჩვენი ქვეყნის დარიბი ხალხისა და განსაკუთრებით დარიბი თავადაზნაურობისათვის, რათა მათ შვილებს შეეღოთ როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სწავლა-განათლება, მაგრამ იგი მაინც ვერ სწყვეტდა ეპოქის მეირ წამოყენებულ ამოცანას, თუმცა თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ეს საზოგადოება საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საქმეში.

ერთის მხრით ჩვენს პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე ატენილმა განვაშმა, ხოლო, მეორე მხრივ, თანამედროვე მდგომარეობამ და მწარე გამოცდილებამ ქ.შ.წ.ქ. გამავრცელებელი წრის წევრები დაარწმუნა, რომ მიზნის მისაღწევად კერძო წრე უძლურია, ვინაიდან ადგილობრივი მმართველობა მას ანგარიშს არ უწევს და რომ საჭიროა ფართო საზოგადოება ოფიციალური წესდებით, რომელიც მთავრობის მიერ უნდა ყოფილიყო დამტკიცებული. და აი, 1874 წლის მიწურულში ქართველი ერის მოჭირნახულეთა ჯგუფმა უკვე თავგამოდებით დაიწყო ზრუნვა, რათა ამ ვიწრო წრისათვის ოფიციალური ფართო სზოგადოების ხასიათი მიეცა.

წრის წევრებმა სთხოვეს ვახტანგ თულაშვილს, რათა მას რუსეთიდან გამოეწერა ნორმალური წესდება წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა. ამგვარი საზოგადოება 1869 წლიდან უკვე არსებობდა, მაგალითად, ხარკოვში სახელწოდებით: „Харьковское общество распространения в народе грамотности“.

გაურკვეველი მიზეზების გამო წესდების მიღება საკმაოდ დაგვიანდა და როდესაც იგი ვ. თულაშვილმა მიიღო, საქმის მთავარი ორგანიზატორი, იაკობ გოგებაშვილი, თბილისში არ იმყოფებოდა. 1874 წელს, კერძების რევიზიის შედეგად სამსახურიდან დათხოვნაში „მესამე მუხლის ძალით“, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირისა, ძლიერად იმოქმედა იაკობის ისედაც დასუსტებულ ჯანმრთელობაზე, ლოგინად ჩავარდა და აემა სენმა იგი იძულებული

გახადა დროებით მიეტოვებინა თბილისი, თითქმის ორი წლით
ჩამოაშორა ი. გოგებაშვილი ავადმყოფობამ საზოგადო საქმეს.
„როცა თბილისში ჩამოვედი, — მოგვითხრობს იგი, — მაშინვე
გავემგზავრე თულაშვილთან და ვკითხე: შენი სიმამრისგან მიიღე
თუ ორა მეტქი დაბარებული წესდებულება და მან მიპასუხა: —
წელიწადზე მეტია, რაც ამ სტოლის უჯრაში მიძევს, მაგრამ საქმის
დაწყებას არავინ აპირობსო“¹.

დაგვიანება აღარ შეიძლებოდა. დაწყებული საქმე დიდი წანა
განხორციელებას თხოულობდა და გოგებაშვილმა კვლვა ჩასჭიდა
მას ხელი. 1876 წელი უკვე იწურებოდა.

ი. გოგებაშვილმა წესდება ვ. თულაშვილისაგან ნიკო ცხვე-
და ძე ს თ ა ნ წაილო და ეს ორი დიდი მამულიშვილი დაუშრეტელი
ენერგიით შეუდგა საქმეს.

პირველი ჩვენი გადაწყვეტილება, — გადმოგვცემს ი. გოგება-
შვილი, — იყო ასეთი: ამ საქმის სათავეში უნდა მოვაქციოთ იმის-
თანა გვამი, რომელსაც დიდი სახელი და პატივი აქვს ქართველ
საზოგადოებაშიც და მთავრობის წრეებშიც“².

ბევრი სჯა-ბაასისა და აწონ-დაწონის შემდეგ ი. გოგებაშვილი-
სა და ნ. ცხვედაძის ყურადღება დიმიტრი ყიფიანზე ჩერდება
და არც შემცდარან. ამ პერიოდში დ. ყიფიანი იყო წევრი მეფის-
ნაცულის საბჭოსი და მთავრობის წრეებში ერთგვარი გავლენით
სარგებლობდა. გარდა ამისა ისეთი გულთბილი მამულიშვილური
გრძნობისა და ხასიათის სიმტკიცის მქონე აღამიანი იყო საჭირო
ამ საქმისათვის, როგორც დ. ყიფიანი გახლდათ. „სწორედ იმაში
იყო ძალა და ზეგავლენა დიმიტრი ყიფიანის პირვენებისა, რომ
არას დროს, არა შემთხვევაში ძლიერი სული არ დრებოდა და
ეს ძალა ყოველთვის მოჰქერავდა მისგან. ეს ძალა იგრძნობინებდა
მასთან მომუსაიფეს ერთსა და იმავე დროს მისდამი თაყვანის ცე-
მას და სიცოცხლის ენერგიასაც. ცხოვრებას უყურებდა სტოიქუ-
რად და დარღდსა და ნაღველს გულზედ არ იყარებდა“³.

აი, ამ თავდადებულ ქართველს გაუგზავნა ნ. ცხვედაძემ მოკლე

¹ ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 514.

² იქვე.

³ გაზ „თემი“, 1912 წ., № 90, გვ. 3.

ბარათი, რომელშიც წერდა: „ღრმად პატივცემულო დამიტრი ივანი! როგორც თქვენ გტყივათ გული ჩვენი მამულისათვის, როგორც თქვენ გესმით ჩვენი ხალხის მდგომარეობა; ამ ხალხის აჭინდელი და მომავალი ბედი, ისე არავის, ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ, ამისათვის ისევ თქვენ უნდა იხმაროთ ყოველგვარი ღონისძიება და ჩვენი სამშობლოს საქმე გაასწოროთ...“

მხურგვალე თანაგრძნობით შეეგება დ. ყიფიანი ამ დიად საქმეს და ერთ საღამოს ხანგრძლივი მეგობრული მოლაპარაკების შედეგად მან, ი. გოგებაშვილმა და ნ. ცხვედაძემ გადასწყვიტეს ყოველ შაბათობით, საღამო უამს, თავი მოყეარათ დიმ. ყიფიანის ბინაზე და შეემუშავებინათ ქ. შ.წ.ქ. გამავრცელებელი საზოგადოების წესდება.

ი. მამაცაშვილის სალონში ამ საკითხზე ზრუნვა შეჩერდა, მან დ. ყიფიანის მყუდრო ოჯახის კედლებს შორის გადაინაცვლა და „გაჩაღდა შაბათის კრებები“.

ი. გოგებაშვილმა იმთავითვე გაამახვილა თანამოღვაწეთა ყურადღება იმ გარემოების ირგვლივ, რომ ხარკოვიდან მიღებულ წესდებაში არ არას შეტანილი მუხლი დედაენაზე საგნების სწავლების შესახებ, ვინაიდან რუსეთში იგი ბუნებრივად იგულისხმება, ხოლო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდებაში კი იგი მკაფიოდ უნდა იქნას გამოკვეთილი.

ზამთრის სიცივემ კვლავ გაუღიზიანა გოგებაშვილს ულმობელი სენი, თუმცა რამდენიმე სხდომას მაინც დაესწრო, მაგრამ ვეღარ გაუძლო და ლოგინად ჩაწვა. მისი თანამოღვაწენი მაინც არ შედრკენ. „ცხვედაძე თავის ჩვეულებრივი ენერგიით ყოველ შაბათ საღამოს დაიარებოდა დიმიტრი ივანეს-ძესთან და მხოლოდ ეს ორი ქართველი ადგენდა წესდებულებას ახალის ქართულის საზოგადოებისას“².

თუ რამდენ ხანს გაგრძელდა მათი შრომა, ამის თქმას ზუსტად ძნელია. ფაქტია მხოლოდ ის გარემოება, რომ მათ საკმაოდ დიდი

¹ საქ. სახ. მუზეუმი ს: 5332 № 01. სამწუხაროდ წერილის მეტი ნაწილი დაზიანებულია და ძნელად იკითხება.

² ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწერები, ტ. II, გვ. 515.

დრო დახარჯეს, მაგრამ საქმე ბოლომდის მიიყვანეს და ნაკისრი ფალდებულება პირნათლად შესრულეს.

შედეგენილი წესდება გულდასმით გადაიკითხა ი. გოგებაშვილი¹ მა, მაგრამ მის გაოცების საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც წესდება ში არსალ არ შეხვდა მუხლი საგნების დედაენაზე სწავლების შესახებ. წესდების შემდგენელთ, განსაკუთრებით დიმ. ყიფიანს, ეს მუხლი არ შეუტანიათ იმ მოსაზრებით, რომ მას მთავრობა არ შეიწყინარებდა, წესდებას არ დამტკიცებდა და საზოგადოების დაარსება შეუძლებელი იქნებოდა. ი. გოგებაშვილს კი ორმაღ სწამდა, რომ ამ მუხლის გარეშე საზოგადოების დაარსების აოცითარი აზრი არ ექნებოდა, რადგან, როგორც თვითონ ამტკიცებდა, „ბიუროებრატის უფლება მიეცა სწავლება საზოგადოების სკოლებში რუსულ ენაზე მოითხოვოს და მაშინ ჩვენი საზოგადოება ქართველი ხალხის განათლებას კი არ გაუწევს სამსახურს, არამედ, მის გადავვარებას და მისი გონების დაბნელებას დაეხმარებათ“².

ამ აზრით გამსჭვალულმა ი. გოგებაშვილმა, თავისი ხელით ჩაურთო ნ. ცხვედაძის მიერ შავად წარდგენილ წესდებაში შემდეგი პარაგრაფი:

«Общество достигает своей просветительной цели посредством организации всего начального обучения на родном, понятном детям языке и способствует обучению русскому языку».

ამრიგად შესწორებული წესდება წაუკითხეს თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს ბესარიონ ღოღობერიძეს, მაგრამ ამანაც იგივე აზრი გამოსთვავა, რაც დიმ. ყიფიანმა: „მაგ მუხლის ჩამატებას ის შედეგი მოჰყვება, რომ წესდებას უკან დაგვიბრუნებენ შესასწორებლად. თქვენ რომ ხოვლეში სკოლას აარსებდით, ოთხი წლის განმავლობაში ითხოვეთ სწავლება დედაენაზე, მაგრამ მთავრობამ მხოლოდ სამ წელიწადს მოგცათ ნება და მეოთხე წელიწადს რუსულ ენაზე დააწესა საგნების გადაცემა. თუ ერთ სკოლაში არ მოგცეს მაგის ნება, ყველა სკოლების შესახებ მით უმეტეს არ მოგცემენ“².

მაგრამ გოგებაშვილი არ სცხრებოდა: თავისი აზრის გასატანად თანამოღვაწეთა შორის და ჩამატებული პარაგრაფის დამტკიცების

1 იქ 30.

2 იქ 30, გვ. 515 — 516.

უზრუნველსაყოფად მან მოიშველია იმპერატორ ალექსანდრე მეორეს 1864 წლის 30 აგვისტოს ოქსკრიპტით. რომელიც აკანონებდა სახალხო სკოლებში დედაენაზე სწავლებას „ინოროდცებს“ შორის. გარდა ამისა, ი. გოგებაშვილს მეფისნაცვლის თანაშემწის სტარო-სელსკის, იმედიც ჰქონდა, რომელიც მისი თქმით, იყო „მეტად ნათელი მიმართულებისა“, უყვარდა „საქართველო, როგორც თავისი მეორე სამშობლო და ჩვენთვის არ დაიშურებდა ამ ძვირფას უფლებას“, თუ მას დაუსაბუთებდნენ ამ პარაგრაფის საფუძვლიანობას.

იაკობ გოგებაშვილმა გაიმარჯვა. მის მიერ შეტანილი პარაგრაფი უცვლეალდ დარჩა, მხოლოდ წარსაღვენ ეგზემპლარში მის გასამართლებლად, იქვე მოტანილ იქნა რესკრიპტი ალექსანდრე მეორისა და სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომელიც მარტავლნენ რესკრიპტის დედააზრს.

მაგრამ ყოველივე ეს ი. გოგებაშვილს მაინც არ მიაჩნდა საქართვისად. მისი აზრით, საჭირო იყო კიდევ წინასწარ ნიადაგის მომზადება, ვიდრე წესდება დასამტკიცებლად ზემდგომ თრგანოებს გადაეცემოდა. ამ მიზნით 1877 წლის დასაწყისში „Тифлисский вестник“-ში მან დაბეჭდა რამდენიმე მოწინავე წერილი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების შესახებ, სადაც სწავლება რუსულ ენაზე წარმოებდა. ამ წერილებით, როგორც თვით ი. გოგებაშვილი მოგვითხრობს, „დაწვრილებით გაუთვალისწინე მკითხველებს უნაყოფობა და მავნებლობა ამ სკოლებისა და ციტატებით ყველასათვის ცხადად ვყავ, რომ ასეთი მახინჯი სკოლა ეწინააღმდეგება არა მარტო პედაგოგიურს პრინციპებს, არამედ ძირითადს კანონებს რუსეთისას მეთქი“¹.

ი. გოგებაშვილის ისარი ნიშანში მოხვდა: წერილები გადაიკითხა მეფისნაცვალმა, ჩაითვიქრა იგი და ერთ-ერთი საღლესასწაულო შილების დროს მიუთითა ნევეროვს ამ წერილებზე.

ამრიგად, უმაღლეს ორგანოებში წარსაღვენი წესდების პროექტი სავსებით შემუშავებული იყო, ნიადაგიც საქმაოდ მომზადებული, მაგრამ აქლა საკითხი დადგა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მოაწეროს ხელი წესდებაზე. ეს საკითხიც ი. გოგებაშვილმა გადაჭრა:

¹ იქ ვა, გვ. 516.

რათა წესდების „დამტკიცებას ავაცდინოთ ყოველი დაბრკოლება, საჭიროა წესდებულებას ხელი მოაწერონ დამფუძნებლად მხოლოდ იმგვარმა გვამებმა, რომელთაც სრული ნდობით ეპყრობოდა რუსეთის მთავრობა. მე მაგალითად, სამსახურიდან დათხოვნილი ვარ მესაშემოზოგოვრებული მუხლის ძალით და ამიტომ ყოვლად მოუხერხებელია დამფუძნებელთა შორის მეც მოვექცე. გარდა ამისა, დაუმატე, ძლიერ დაეხმარება საქმეს, თუ ჩვენს წესდებულებას მოაწერენ ხელს დიდი თანამდებობის სომხებიც. რომელთაც მჭიდრო კავშირი ქველ ქართველ საზოგადოებასთანო“¹. გოგებაშვილის ეს აზრი. ერთხმად იქნა მიღებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელთა მიერ. წესდებულების დამტარებლად ხელის მოწერის მიზნით ამოირჩიეს ბესარიონ ლოლობერიძე თანაშემწეებად კი დაუნიშნეს ილ. ჭავჭავაძე და ვ. თულაშვილი, სომხების მხრივ ხელისმოწერა იყისრა თვით დიმ. ყიფიანმა.

საქმე ღილი სისწრაფით წარიმართა. ყველა სიძმოვნებით აწერდა ხელს და არავის არ გამოუთქვამს ეჭვი ი. გოგებაშვილის მიერ ჩამატებული მუხლის მიმართ, რადგან ნათლად ჩანდა, რომ იგი ალექსანდრე II-ის რესკრიპტს ემყარებოდა.

1878 წლის იანვრისათვის ხელისმოწერა უკვე მთლიანად დამთავრებული იყო. წესდების პროექტს ხელს აწერდა 123 დამფუძნებელი წევრი, რომელნიც ოფიციალურად აცხადებდნენ:

„1878 წლის 30 იანვარს, ჩვენ პეტერი ხელის მომწერნი შემაჰქონლები დავთანხმდით ამ წესდებულების სიკეთეზედ და ჩვენ მაგირად მმართველობის წინაშე შუამდგომლობას, რომ დამტკიცებულ იქნას, ამ საქმეზე მსვლელობას და ყოველგვარ განცხადების წარდგენას მივანდობთ აქ მოხსენებულ პირთა, სახელმობრ: დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიქს დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანს, კოლლექსკი სოვეტნიქს ბესარიონ ლევანის ძე ლოლობერიძეს და კნიაზ ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძეს“².

წესდებას ხელს აწერენ: გენერალ-ადიუტანტი კნიაზი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიქი ერეკლე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, გენერალ ლეი-

¹ იქვე გვ. 517.

² წ. საზ-ბის წესდება, გვ. 28, 1879 წ.

ტენატის მეუღლე ეკატერინე თადეოსის-ასული სტაროსელსკისა, გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ქაიხოსროსძე მამაცაშვილი, მედიცინის ღოქტორი მიხეილ სარგის-ძე შაჰ-პარუნიანცი, ი. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, გენერალ ადიუტანტის მეუღლე შოთიო იაკობის-ასული სვიატოპოლ-მირსკისა, კოლეჯსკი სეკრეტარი გიორგი ყაზარას ძე ათაბეგოვი, ფილიპე ისაკის-ძე ცისკაროვი, არზას არტემის-ძე ტერგუქასოვი და მრავალი სხვა.

ამრიგად, გამზადებული წესდების პროექტი ი. ჭავჭავაძემ, დ. ყიფიანმა და ნ. ღოლობერიძემ წარუდგინეს „კავკასიის ნაშესტნიკის მთავარმმართველობის უფროსს“ — გენერალ-ლეიტენანტა დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკის, რომელსაც წესდების პროექტთან ერთად 1878 წლის 20 ივნისს შემდეგი შინაარსის თხოვნაც მიართვეს:

„გირდგენთ რა ამასთანავე კავკასიისა და ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებ 123 პირის მიერ ხელმოწერილ წესდების პროექტს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისას, პატივი გვაქვს უმორჩილესად გთხოვთ გვიშუამდგომლოთ, სადაც ჯერ არს ამ წესდების სათანადოდ დასამტკიცებლად“¹.

რა მიზანს ისახავდა მომავალი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება? რა თქმა უნდა იგი ვერ შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმ ამოცანით, რომელიც მას „დროებამ“ ჯერ კიდევ 1874 წელს წაუყენა. ეს ამოცანა მეტად ვიწრო და კუდოკვეცილი აღმოჩნდა, ვინაიდან ეპოქა თხოულობდა უფრო რთული გეგმების განხორციელებას და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებლებმაც თავისი წესდების პროექტში, რომელიც დ. სტაროსელსკის წარუდგინეს, საკმაოდ ფართო მიზნები დაისახეს.

რა სურდათ მათ?

პირველ რიგში მათი მიზანი იყო „წიგნის ცოდნისა და თავდაპირველი სწავლის გავრცელება ქართველებში, სადაც კი კავკასიის სანამდესტნიკოში ისინი მოსახლეობდნენ“² განურჩევლად წოდებისა.

¹ ც. არქივი, ფონდი 229. ქ.შ.წ.კ.გ. საზ-ბის დაარსების საქ. № 1.

² ქ.შ.წ.კ.გ. საზ-ბის წესდება §1.

ამ მიზნით საზოგადოებას ხელი უნდა შეეწყო იმ სკოლებისათვის, რომელნიც უკვე გახსნილი იყვნენ და მოქმედებონენ, ხოლო სადაც საჭიროდ დაინახავდა ახალი სკოლების გახსნას, დახმარებოდა ჯე ხაქმეში აღვილობრივ მოსახლეობას, ან თავისი ხარჯით გაეხსნა იგი. ახლად გახსნილი სკოლები არ უნდა ყოფილიყო ძველი სკოლების მსგავსი. მათი ამოცანა სამაგალითოდ განსაზღვრა „ივერიის“ კორესპონდენტმა: ჩვენი შკოლის დროშაზედ,— წერდა იგი,— ყოველთვის წარუერილი უნდა იყოს შემდეგი: „ყველაფერში თავის უფლება და არაფერში ძალდატანება“ — პირდაპირ და უშიშრად გავყვეთ ამ გზას...აღვზარდოთ ჩვენი შვილები ისე, როგორც მოთხოვს ამას საზოგადოდ აღმიანის ბუნება“¹.

ამ მიზნით საზოგადოების დამფუძნებლებმა ი. გოგობაშვილის მიერ ჩამატებული მუხლი მესამე პარაგრაფად გამოჰყვეს, რომელშიც ნათქვამი იყო საზოგადოება თავის მიზანს იმით მიაღწევს, რომ სახალხო შკოლებში დასწყისის სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ, რომელიც ესმით მოსწავლეებს და ზრუნავს რუსული ენის სწავლებისათვის, თანახმად 22 ნოემბრის 1873 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო ჩრევის აზრისა, წარმოთქმულისა სწავლების ნაწილის დასაწყიობად კავკასიაზედ და კავკასიის გადმომა“².

ქ.შ.წ.ქ. გამავრცელებელი საზოგადოების საზრუნავს შეაღენდა აგრეთვე სკოლის უზრუნველყოფა გამოცდილი მასწავლებლებით, რომელთაც უშუალოდ ეს სზოგადოება ნიშნავდა. მასვე უნდა მოეწყო პედაგოგიური კურსები მასწავლებლთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით და მოეწვია მასწავლებლთა ყრილობანი. სახალხო სკოლების რიგიანი მასწავლებლების უზრუნველყოფის მიზნით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტს ნიჭიერ მოწაფეთაგან უნდა ამოერჩია მასწავლებლობისათვის შესაფერისი კადრი და მოემზადებინა ისინი საქმისათვის ან იმ სასწავლებლებში, რომელიც მანამდე არსებობდნენ. ახდა გაეხსნა სპეციალური ცალკე სასწავლებლები.

სწავლების ნორმალურად მსვლელობის მიზნით საზოგადოებას

¹ „ივერია“, 1878 წ., № 29.

² წ.ქ.გ. საზ-ბის წესდება § 3.

უნდა გაეწია ხელმძღვანელობა სკოლაში სახმარებელ სახელმძღვა-
ნელოებისა და კლასგარეშე საკითხაცი ლიტერატურის შედგენა-
გამოცემის საქმისათვის; ამავე მიზნით მას უნდა დაეარსებინა პედა-
გოგიური კაბინეტის მსგავსი დაწესებულება, რომელიც მასწავლებ-
ლობას შესაძლებლობას მისცემდა გაცნობოდა პედაგოგიურ ლიტე-
რატურას და ყველა იმ ხელსაწყო იარაღების გამოყენებას, რომე-
ლიც სწავლების პროცესში უნდა ხმარებულიყო.

საზოგადოების მიზანს შეადგენდა აგრეთვე, ხალხში ცოდნის
გავრცელების მიზნით მოეწყო ბიბლიოთეკები და გაემართა წიგნების
საჯარო კითხვა და გარჩევა, ჩაეტარებინა საუბრები სხვადასხვა
საკითხებზე.

ცნობები თავისი მოქმედების შესახებ საზოგადოებას მასისა-
თვის უნდა ეცნობებინა გაზეთებისა და უურნალების საშუალებით
მაგრამ მარტო ამით არ კმაყოფილდებოდა და სურდა აგრეთვე
დაარსება საკუთარი პერიოდული გამოცემისა, რომელიც სათანადო
წესით უნდა ყოფილიყო დამტკიცებული უმაღლესი მთავრობის
მიერ.

ასეთი იყო ძირითადი მიზანი, რომლისაკენაც მიისწრაოთოდა
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება
და რომელიც მან ჩამოაყალიბა წესდების პროექტის. პირველ გან-
ყოფილებაში.

რამდენად გამოიყენეს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წესდების
შემდგენელებმა ხარკოვის წ.კ.გ. საზოგადოების წესდება? პირველ-
ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ხარკოვის წ.კ.გ. საზ-
ბის მოქმედების ასპარეზი ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების წესდების საშო-
ქმედო სარბიელთან შედარებით შეზღუდული იყო. იმ დროს, რო-
დესაც ხარკოვის წ.კ.გ. საზ-ბის წესდების მეხუთე პარაგრაფი იუ-
წყებოდა, რომ „Деятельность общества не распространяется далее
пределов Харьковск. губернии“, ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების წესდების
პირველი პარაგრაფი აცხადებდა: „საზოგადოებას მიზნათა აქვს
წიგნის ცოდნისა და თავდაპირველი სწავლის გავრცელება ქართვე-
ლებში, საღაც კი გავკასის სანამესტნიკოში ისინი მოსახლეობენ“-ო.

გარდა ამისა, თითქმის ყველა ძირითადი პარაგრაფის შენარ-
სი, რომელიც ქ.წ.კ.გ. საზოგადოების წესდებაში იყო მოცემული,
ხარკოვის წ.კ.გ. საზოგადოების წესდების მიღებამდე უკვე იყო

შემუშავებული და ძირითად ხაზებში მოცემული ჩვენს პერიოდულ-პრესაში: კრიტიკულ, პუბლიცისტიკურ და პედაგოგიური ხასიათის წერილებში. ასე რომ ხარკოვის წ.-კ.-გ. საზოგადოების წესდება ძირითად შავი მუშაობისათვის იქნა გამოყენებული.

თუმცა დ. ყიფიანის, ილ. ჭავჭავაძისა და ნ. ლოლობერიძის მიერ ხელმოწერილი თხოვნა და წესდების პროექტი კავკასიის ნაშესტნიკის სამმართველოს უფროსს 1878 წლის 20 ივნისს წარედგინა, მაგრამ პასუხმა თითქმის ერთი წლით დაიგვიანა. დ. ყიფიანის პასუხი კავკასიის ნაშესტნიკის მთავარ სამმართველოს დეპარტამენტიდან მხოლოდ 1879 წლის 12 მარტს მოუვიდა. ამ პასუხით დ. ყიფიანის აცნობებდნენ: „1878 წლის ივნისს სხვადასხვა პირთა რწმუნებით თქვენმა აღმარტებულებამ მომართა მთავარმართველობას შუამდგომლობით ქართველთა შორის წერა-კითხვის ტფილისის საზოგადოების წესდების პროექტის დამტკიცების შესახებ.“

დეპარტამენტმა ეს წესდება განსახილველად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს გადაუგზავნა“¹.

როგორც ცნობილია, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად ამ პერიოდში (1878 წლიდან) იყო ცნობილი რუსითიყატორი იანოვსკი, რომელიც ყოველმხრივ უშლიდა ხელს ქართული კულტურის განვითარებას და, რა თქმა უნდა, არ ისურვებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარტელებელი საზოგადოების დარსებას, ყოველ შემთხვევაში იმ სახით და იმ დებულებით მაინც, როგორც ეს საზოგადოების დამფუძნებელთ ჰქონდათ განზრახული და იანოვსკიმაც ჩვეული მელური ხრიკებით სცადა წესდების ძირითადი პუნქტების შეზღუდვა, რასაც ნათლად ადასტურებს ამონაწერი სამზრუნველო საბჭოს 1878 წლის 18 ნოემბრის სხდომის ოქმიდან, რომელშიც ნათქვამი იყო: „სამზრუნველო საბჭო ამ პროექტის განხილვის დროს შეჩერდა უმთავრესად პირველ მის განყოფილებაზე, რომელშიც განმარტებულია საზოგადოების მიზნები და საერთოდ დასახულია საზოგადოების მოქმედების პროგრამა. ეს პროგრამა, როგორც წესდების მე-2 წ-დან ჩანს, ძლიერ ვრცელია... საზოგადოება, გარდა იმისა, რომ დაეხმარება უკვე არსებულ სკოლებს და ხსნის ახალ სასწავლებლებს, ვარაუდობს მოაწყოს სახალ-

¹ ც. არქივი, ფონდი 229, საქმე № 1.

ზო კითხვები, დააპრსოს სამკითხველოები, ბიბლიოთეკები და წიგნებს
 საწყობები, გამოსცეს სახელმძღვანელო წიგნები, სახალხო საკითხა-
 ვი წიგნები და პერიოდული ორგანოც-კი; მოაწყოს და გამართოს
 პედაგოგიური კურსები და მასწავლებელთა ყრილობები, მოამზა-
 დოს სახალხო მასწავლებლები და სხვა... სამწუხაროდ, პირველი
 პარაგრაფების რედაქციიდან სრულიად არ ჩანს, პროექტის შემ-
 დგენლებს ჰქონდათ თუ არა ცნობა, რომ ყველა მათ მიერ დასახე-
 ლებულ მოქმედებათა დარგების შესახებ უკვე არსებობს ზუსტად
 ჩამოყალიბებული მთავრობის განკარგულებები (ხაზი ჩემია — ი. ბ.).
 ვინაიდან წესდებაში აღნიშნულ განკარგულებათა შესახებ არაფე-
 რია, ნათქვამი, გარდა მხოლოდ ერთადერთი შენიშვნისა, რომ პე-
 რიოდულ გამოცემათა პროგრამა სათანადო წესით უნდა იქნეს დაპ-
 ტყიცებული, წესდება მისი წაყითხვის დროს ისეთ დასკვნაძლე ში-
 ვგიყვანს, თითქოს საჭოვალოების დამფუძნებელთ წარმოდგენილი
 აქვთ, რომ მათ მიერ შედგენილი წესდება მისი დამტკიცების შემ-
 დგე მომავალი საქმიანობის ერთად ერთი განმსაზღვრელი იქნება
 (ხაზი ჩემია — ი. ბ.), ამიტომ გაუგებრობათა თავიდან ასაკილებ-
 ლად სთვლის, რომ მეორე პარაგრაფის თითოეული პუნქტის შესა-
 ხებ შესაფერისი მითითება იქნეს აღნიშნული; მაგალითად, სახალ-
 ხო კითხვების შესახებ უნდა იქნეს ნათქვამი, რომ ასეთი კითხვები
 გაიმართება 1876 წ. 24 დეკემბრის უმაღლესად დამტკიცებული
 დებულების ფარგლებში, რომ სახელმძღვანელო წიგნები გამოყე-
 ნებული იქნება მხოლოდ განათლების სამინისტროს სამოსწავლო
 კომიტეტის მიერ მათი მოწონების შემდეგ, რომ მასწავლებელთა
 ყრილობებისა და სკოლების გამართვის დროს ცალკე, თითოეულ
 შემთხვევაში გამოთხოვილი იქნება სამოსწავლო უწყების ნება-
 რთვა¹. თუმცა ამონაშერი საქმაოდ გაგვიგრძელდა, მაგრამ იგი
 ნათელ სურათს წარმოადგენს იანოვსკის პოლიტიკისას, რომელიც
 კრცელ კომენტარიებს არ საჭიროებს. გაიძვერა მოხელის მიერ
 საკიან წინდახედულებით იქნა გათვალისწინებული საზოგადოების
 მოქმედების შედეგად მიღებული ნაყოფის საშიშროება და ყო-
 ველგვარი საშუალებებით სცადა მისი შეზღუდვა მთავრობის დაღ-

¹ ც. არქივი ფ. 229. საქმე № 3.

გენილებებისა და მითითებების საფუძველზე და საზოგადოების
მოქმედების კონტროლქვეშ დაყენება.

წესდების მესამე პარაგრაფმა საგნების დედაენაზე სწავლების
შესახებ პირდაპირ თავზარი დასცა იანოვსკის. მან დაუშვებლად
მიიჩნია ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლება ოთხი წლის გან-
მავლობაში. გარდა ამისა, წესდებაში ონიშნული გარემოება, რომ
საზოგადოება ზრუნვას რუსული ენის სწავლებისათვის, თანახმად
სახელმწიფო საბჭოს 1873 წლის 22/XI. დადგენილებისა, იანოვსკიშ
სრულიად არასაკმარისად მიიჩნია, ვინაიდან ამ დადგენილებაში
ნათერამი იყო, რომ რუსული ენის სწავლება სავალდებულოა ყვე-
ლა სასწავლებელშით და მოითხოვა წესდების შემადგენელოაგან იმ
საკითხზე ყურადღების გამახვილება.

რაც შეეხება წესდების იმ განყოფილებებს, რომლებიც ეხე-
ბოდნენ ნივთიერ საშუალებათა გამონახვას, საზოგადოების ორგა-
ნიზაციას, აღმინისტრატიულ მხარეს და სხვა, აქაც იანოვსკიმ ალაზ-
ალაგ კლანჭი გამოჰკრა და პარაგრაფების გადასმით თუ მათი ზო-
გიერთი პუნქტის „მეტად დაცვეწის“ მიზნით შესწორებანი შეიტანა.

ამის შემდეგ მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფრო-
სის თანამდებობის დროებით აღმასრულებლის თანაშემწემ დიმ. ყი-
ფიანს სამზრკველო საბჭოს შენიშვნები და ოფიციალური მიწერი-
ლობა გაუგზავნა: „დეპარტამენტის პატივი აქვს გთხოვთ, თუ დამ-
უძნებელთა მხრით დაბრკოლება არ იქნება, შეასწოროთ წესდება
ზემოაღნიშნული შენიშვნების მიხედვით და წარმოგვიდგინოთ იგი
მთავარსამმართველოს სათანადო წესით მოხსენების გასაკეთებ-
ლად“¹.

პასუხის მიღებისთანავე დიმ. ყიფიანმა მთიწვია საგანგებო
სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი და
ნიკ. ცხვედაძე, გადაიკითხეს სამზრუნველო საბჭოს მიერ მიცემუ-
ლი მითითებანი და შეუდგნენ მის შესწორებას. მათ არ დააკმაყო-
ფილეს სამზრუნველო საბჭოს მოთხოვნილება, რომ მეორე პარაგ-
რაფის თითოეული პუნქტის შემდეგ სპეციალური მითითება ყო-
ფილიყო მოცემული, რომელიც შესრულებული უნდა ყოფილიყო
უმაღლესი მთავრობის ამა თუ იმ დადგენილების მიხედვით. მათ

1 ც. არქივი ფ. 229 წ.კ.გ. საზ-ბის დაარსების საქმე № 4.

მხოლოდ ზოგადად აღნიშნეს მეორე პარაგრაფის ბოლოს, ოთხ „უკელა ამ შემთხვევაში საზოგადოება იმ კანონებს აღვია, რაც პმოქმედობს-ო“ და ამით მოიცილეს მთელი დავიდარება. ასეთივე უმნიშვნელო შესწორებანი შეიტანეს იმ პუნქტებში, რომელიც ეხებოდნენ ნივთიერ საშუალებათა გამონახვას, საზოგადოების გამგებლობას და სხვა... ხოლო რაც შეეხება მესამე პარაგრაფს, იგი უცვლელად დასტოვეს და შესწორებულ წესდებასთან ერთად წარდგენილ განმარტებაში 1879 წ. 25/III-ს, რომელსაც დ. ყიფიანი აწერდა ხელს, მთავარი სამმართველოს დეპარტამენტს აცნობეს, რომ: „წესდების მესამე პარაგრაფის განხილვის დროს დამფუძნებელთ სახეში ჰქონდათ 1873 წლის 22 ნოემბრის უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრი, ამიტომ არ შეხებიან რუსული ენის სავალდებულო სწავლების საკითხებს, მაგრამ წესდებაში შეიტანეს დადგენილება, რომელიც გვიკარნახებს გამოვსქებნოთ საშუალება იმისათვის, რომ ეს სწავლება სათანადოდ იქნეს ჩატარებული, რისკენაც მიისწრაოფის საზოგადოება, რასაკვირველია შეძლების ფარგლებში“.

განმარტებითი ბარათისა და შესწორებული წესდების წარდგენის შემდეგ არ გაუვლია ერთ კვირას და 1879 წლის 31 მარტს დიდი მთავრის სხვაგან ყოფნის გამო წესდება დაამტკიცა მისმა მოადგილემ გენერალ-ადიუტანტმა სვიათობოლ-მირსკიმ, რაც თბილის გუბერნატორმა გაგარინმა იმავე წლის 14 აპრილს აცნობა დ. ყიფიანს.

უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ამ ამბავმა დამფუძნებელთა და მოწინავე ქართველ ინტელიგენციას შორის, რადგან ეს იყო ძლიერი გამარჯვება, რომელსაც ნაწილობრივად უნდა გადაეწყვიტა ქართველი ერის ცხოვრების ბედ-იღბალი.

ახლა საჭირო იყო მუშაობის პრაქტიკულად გაშლა, სხდომის მოწვევა და საზოგადოების გამგეობის წევრთა არჩევა. ამ მიზნით 1879 წ. აპრილში, დიმ. ყიფიანმა და ილ. ჭავჭავაძემ საზოგადოების ყველა დამფუძნებელ წევრს დაუგზავნეს დაბეჭდილი წესდების თითო ეგზემპლარი და მოსაწვევი ბარათი, რომელშიც ნათქვამი იყო:

¹ ც. აზევით ფ. 229, საქმე № 4.

„მოწყალეო ხელმწიფე!

ჩვენ მონდობილი გვქონდა, სხვათა შორის თქვენგანაც, წარ-
გვედგინა მთაგრობისათვის წესდება წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოებისა ქართველთა შორის და გვეთხოვნა მისი ღმ-
ტკიცება. ეხლა ეს წესდება დამტკიცებულია და ერთი დაბეჭდილი
ეგზემპლარი ამასთანავე მოგვირთმევია თქვენთვის, როგორც საზო-
გადოების დამწესებელი წევრისათვის. რადგანაც ეხლა საჭიროა,
რომ ამ საზოგადოების საქმე დაწყობილ იქნას, ამისათვის გთხოვთ
მობრძანდეთ საზოგადო კრებაში 15-ს მაისს დილის 11 საათზე
ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის სადგურში და წარმოადგინოთ
ხია იმ თქვენ ნაცნობ სანდო პირთა, რომელნიც ისურვებენ ჩვენი
საზოგადოების წევრიად განდომას.

თქვენი უმორჩილესნი: დიმ. ყიფიანი,

ილია ჭავჭავაძე“

აპრილი, 1879 წ. ტფილისი.

მართლაც, 1879 წლის 15 მაისს თბილისის გუბერნიის საად-
გილმამულო ბანკის შენობაში დღის 11 საათზე დ. ყიფიანის თავ-
მჯდომარეობით გაიხსნა ქართველთა შორის წ.კ. გამავრცელებე-
ლი საზოგადოების პირველი სხდომა. სხდომას დაესწრნენ 45 დამ-
ფუძნებელი წევრი და საზოგადოების წევრობის მოსურნე მრავალი
მოქალაქე.

დიმ. ყიფიანმა სხდომას გააცნო წესდების დამტკიცების სრუ-
ლი გარემოება, საზოგადოების მიზანი, მომავალი მოქმედების გეგ-
მა და გულის სილრმიდან ამონახეთქი კრძნობით დაამთავრა თავი-
სი გამოსვლა. „ამ საზოგადოების მოქმედებაში,— აღნიშნა მან, —
რომ კაცს სრულიად მონაწილეობა არ ჰქონდეს რა, მაიც ისეთ
საქმეს ადგია საზოგადოება, რომ შორისი გულგრილიდ ყურება,
ვნახოთ როგორ რა გამოვაო, ყოველი ქართველისათვის საძრახისი
უნდა იყოს“¹. სხდომაზე დამსწრეთ წაქეზება აღარ ესაჭიროებო-
დათ. ისინი კარგად გრძნობდნენ დიადი წამოწყების უდიდეს მნიშ-
ვნელობას. მავე სხდომაზე მიღებულ იქნა 61 ახალი წევრი მსურ-

ველთა წრიდან და დადგა საკითხი საზოგადოების თავმჯდომარის ამორჩევისა. დამსწრე საზოგადოებაშ ერთხმად სოხოვა გრ. ორბელიანს, რათა მას ეკისრა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების თავმჯდომარება, მაგრამ მან განაცხადა, რომ „სიძრთელე და ამ საქმეში გამოუცდელობა ნებას არ მაძლევს ხელი მოვყიდო ამ მძიმე საქმეს“¹ და მიუთითა დიმ. ყიფიანზე, რომელიც ყრილობის მიერ ერთხმად იქნა არჩეული.

ამის შემდეგ არჩეულ იქნა საზოგადოების გამგეობა, რომელშიც შევიღნენ: ილ. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, ი. მაჩაბელი, ა. ი. სარაჯიშვილი, და რაფ. ერისთავი. წევრ-კანდიდატებად: ნ. დ. ქანანოვი, დ. ი. ავალიშვილი და გ. კ. უტურგაური.

ამავე დღეს მოხდა ახლად ამორჩეული გამგეობის პირველი სხდომა, რომელზედაც თავმჯდომარის მოადგილედ (ამხანაგად) ამოარჩიეს ილ. ჭავჭავაძე, მდივნად ა. ი. სარაჯიშვილი, ხაზინადრად რაფ. ერისთავი, ხოლო საქმის მწარმოებლად ი. მეუნარგია.

ახმაურდა პრესა, გამოქვეყნდა წესდება, ხალხი გაეცნო ახალი საზოგადოების მიზნებსა და მიმართულებას, დიდი იმედებით აღი-ჭურვა ქართველობა და თავისი გულის ნადები პერიოდულ გამოცემათა საშუალებით გამოამზეურა: „თუ მართლა საზოგადოებამ და მისმა გამბედაობამ მთლად აღასრულა ყველაფერი, რაც კი წესდებულებაში არის მოხსენებული, იმედია, რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიღგამს ფქნს. გავრცელ-დება სწავლა-განათლება სამშობლო ენაზედ და მით მიეცემა ჩვენ ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლისოდაც საგვარტომო და თვით მოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია.

გაგა რამდენიმე ხანი და მაცხოვარი სხივი განათლებისა მოჰყენს ნათელს ყოველს კუთხეს ჩვენი ქვეყნისა, რომელიც კი აქა-მომდე თვალუწვდენელ სიბნელეში იმყოფებოდა... ჩვენ სწავლა გვესაჭიროება და რადგან სახალხო შკოლები სწავლის პირველ საფეხურს შეადგენენ, მხიარულებით უნდა მივეგებოთ ყველა საზოგადოებას, რომელსაც კი სახალხო შკოლების გამრავლება განუზრახავსო“².

¹ „ღროება“, 1879 წ., № 158.

² „ივერია“, 1879 წ., № 4.

ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების დაარსებას თუმცა შეტად მკრთალად, ვაგრაძ მაინც გამოეხმაურა რუსული პრესაც, გამ. „Кавказ“¹ 1879 წ. 2/IV-ს გამოქვეყნა ცნობა, რომ „31 марта с.г. его сиятельством помощником наместника утвержден Устав Тифлисского общества распространения грамотности среди грузинского населения наместничества Кавказского“².

ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების დაარსების ამბავი საქართველოს ფარგლებსაც გასცილდა. იტალიაში მყოფმა ქართველებმა ქ. მილანიდან 1880 წ. წ.კ.გ. საზოგადოებას გამოუგზავნეს წერილი: „ხმა იტალიიდან“². იტალიაში მყოფი ქართველობა ულოცავდა საქართველოს წ.კ.გ. საზ-ბის დაარსებას.

მიუხედავად მრავალი ამგვარი აღფრთოვანებით აღსავს წერილისა, ქართველ საზოგადოებაში მაინც აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელნიც ეწინააღმდეგებოლნენ ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ წერა-კითხვის ვავრცელება ხალხს სარგებლობას არ მოუტანს. მათ მოპერაციათ მაგალითები და აღნიშნავდნენ, რომ „სოფელში ბევრი წერა-კითხვის მცოდნენი უცოდინარებზე უფრო უსეინდისონი და გაფლიდებული არიან“, რომელნიც სულს უხუთავენ საბრალო მოსახლეობას და მხოლოდ საკუთარი თავის შესახებ ფიქრობენო.

გამომდინარე ამგვარი მაგალითებიდან, მათ პირველ რიგში აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდათ ზრუნვა ხალხის მატერიალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ხოლო შემდეგ სწავლის გავრცელებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წინააღმდეგობას არ ჰქონია სერწო-ზული გამოსვლის ხასიათი. იგი მხოლოდ მითქმა-მოთქმისა და კერძო საუბრის ხასიათს ატარებდა, მაგრამ მას ჰქონდა თავისი საფუძველი.

ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისისათვის გრ. თარხან-მოურავი საკმაოდ მწვავედ იყენებდა საკითხს: ზრუნვა პირველ-ყოვლისა ხალხის გონებრივ თუ ეკონომიურ განვითარებაზე? და ამ საკითხს თვითონვე სცემდა პასუხს: „ჩვენ ჯერ უნდა ვეცალოთ,—

¹ „Кавказ“ 1879 г., № 29

² სამწუხაროდ თვით წერილის ტექსტი არ აღმოჩნდა, მისი გარეკანი კი ინახება საქ. პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში.

წერს იგი,— რომ ხალხში გავაგრცელოთ ნივთიერებითი სიმღიდო, რომელზედაც განსაკუთრებით არის დამოკიდებული გავრცელება, როგორც ზნეობისა, ისე გონებისა¹. როგორც იქედან ჩანს, გრ. თარხან-მოურავი უპირატესობას ეკონომიურ ფაქტორს აძლევდა, რომელზედაც, მისი აზრით, დამოკიდებული იქნებოდა საზოგადოების როგორც გონებრივი, ისე ზნეობრივი განვითარება.

ამავე საკითხს ავითარებდა შემდეგ პერიოდში „მნათობი“, ნაწილობრივ „ქრებულიც“. ამგვარი ხსიათის წერილებს შეხვდებით — „დროება“ — „ივერიის“ ფურცლებზე და წ.-კ.-გ. საზოგადოების დაარსების მოწინააღმდეგენიც სწორედ ამ წერილების ავტორთა მოსაზრებას ემყარებოდნენ.

ქართველი საზოგადოების იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც პირველ რიგში მოითხოვდა ზრუნვას ხალხის მატერიალურ-ეკონომიური მდგრამარეობის გაუმჯობესებაზე, ხოლო შემდეგ გონებრივ განათლებაზე, მთელი სიმძაფრით გაილაშერა ილ. ჭავჭავაძემ. შან ჩვეული სიღინჯით და სერიოზულობით ღაარღვია მათი ღებულებანი და დაანახვა საზოგადოებას, რომ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მიერ გადადგმული ნაბიჯი გონივრული, დროული და აუცილებელი იყო. „ამ ვაჟაბატონებს, — წერდა ი. ჭავჭავაძე საზოგადოების მოწინააღმდეგეთა შიმართ, — სალაპარაკო ენა კი ექვებათ, მაგრამ რას ამბობენ და რას არა, იმისი კი არა ვაეგებათ რა. იმათ ეს არ ესმით, რომ ერთი და ორი წერა-კითხვის მცოდნე კაცი რომ გამოერევა სოფელში, იმას თავისი თავი ცხვარში გაძრებული მგელი ეგონება და უსვინდისოდ გამოიყენებს თავის სწავლას. მაგრამ ერთისა და ორის მაგვარად მთელს სოფელს რომ ეცოდინება წერა-კითხვა, მაშინ იმათ ასე არავინ აპაშპაშებს. გარდა ამისა, ხალხის სიღარიბიდან გამოყვანა, სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ რა. ვინც კი იძახის ხალხს ჭერ კუჭი გაუძლოთ და მერე ვასწავლოთო, იმაზედ არ ჩაფიქრებული, რომ გლეხკაცმა რაც უნდა სიმდიდრე შეიმატოს, თუ პატარა უკეთ ცხოვრებას არ შეეჩვია და ქვეყნიერებისა არა გაიგო რა, ისევ ისეთ ბინ-

1 „დროება“, 1869 წ., № 29.

ქურათ და უხეიროთ იცხოვრებს, როგორც სიღარიბეში უცხოვ-
ტია”¹.

ილიას მკაცრმა გამოსვლამ ჩააჩუმა წ.კ.გ. საზოგადოების მო-
წინააღმდეგენი და ხალხის თვალში ამ საზოგადოების ავტორიტეტი
უფრო აამაღლა.

წესდების დამტკიცება, გამგეობის ამორჩევა, წევრების მიღება
და მცირედი საწევრო გადასახადი კიდევ არ იყო საქმარისი წერა-
კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისათვის. მას მე-
ტად ფართო მიზანი და დანიშნულება ჰქონდა, ხოლო მატერიალუ-
რი სახსარი მიზნის მისაღწევად ძლიერ მცირე. საჭირო იყო ისეთი
სახსრების გამონახვა, რათა საზოგადოებას თავისუფლად გაეშალა
სამოქმედო მხრები.

ამ მიზნით ილია ჭავჭავაძემ საქმაოდ მხურვალე მოწოდებით
მიმართა ქართველ საზოგადოებას „ივერიის“ საშუალებით. მან
ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი წ.კ.გ. საზოგადოების უდიდეს მნიშ-
ვნელობას და დახმარება ითხოვა: „ეხლა საქმე ჩვენზეა. ე. ი. ქარ-
თველ საზოგადოებაზედ არის დამკიცებული, — წერდა ილია, —
უნდა აღმოუჩინოთ რაც შეიძლება მეტი სახსარი და საშუალება
ფულით თუ სხვა რითიმე: ნურას დავზოგავთ ამ საქმისათვის, ვინ
იცის ჩვენი ბედი რარიგად დატრიალდება, თუ ეს საქმე ხეირიანად
ჭავიყვანეთ“².

მატერიალური სახსრის გამონახვის საქმეში დიდი როლი ითა-
მაშა იღ. ჭავჭავაძემ, რომელმაც სათავად-აზნაურო ბანკის კრებაზე
შეტად ძლიერი სიტყვა წარმოსოქვა და წ.კ.გ. საზოგადოების სასარ-
გებლოდ თერთმეტი ათასი მანეთი გადაადებინა. საქმაოდ დიდი
თანხა უწილადა საზოგადოებას აგრეთვე ქუთაისის სათავადაზნაუ-
რო ბანკმა.

თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მიერ თერთმეტი ათასი
მანეთის გადადებამ წ.კ.გ. საზოგადოების სასარგებლოდ ქართველი
თავადაზნაურობის ნაწილში დიდი აუკლმაყალი გამოიწვია. მთა
არ სურდათ, რომ ბანკიდან მიღებული თანხა გლეხის შვილების და
საერთოდ დაბალი წოდების აღზრდა-განათლებაზე დახარჯულიყო

¹ ილ. ჭავჭავაძე, პედ. თხზულებანი, გვ. 175—176.

² ი ქ ვ ი, გვ. 117.

და აღშფოთებით გაიძახოდნენ: „განა ჩვენ კი შვილები არა გვყავს, თუ გაზრდა საჭიროა, ჯერ ისინი გავზარდოთ, შინ რომ შვილი გვიტირდეს გარედ ტაბლას რა უნდა“¹-ო და სხვ. ამ საკითხსაც გამოუხამაურა ილ. ჭავჭავაძე და გულისტკვეილით აღნიშნა: „ჩვენი უბედურება ის ყოფილა, არის და ღმერთმა ნუ ჰქმნას კიდევ იყოს, რომ ყველა ქართველი, გლეხია თუ თავადი, ძმად და შვილად არ მიგვაჩნია. ზემოხსენებულ საზოგადოებას (წ.კ.გ. საზ-ბას ი. ბ.) სახეში ჰყავს მთელი ქართველობა, თავადაზნაურობა კი გამოსულა და იძანების მეო და არა სხვაო“².

თუ ქართველი საზოგადოების მაღალი წრე უქმაყოფილებას გამოსთვევამდა წ.კ.გ. საზოგადოებისადმი დახმარების გამო, სამაგიუროდ სულ სხვა სულისკვეთება შეიქმნა დაბალ წრეებში. მაგალითად, ქართველმა ხელოსნებმა და ქარგალ-შეგირდების ერთმა ჯგუფმა ი. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი ს მეთაურობით არ დაიშურეს თავისი შრომა საზოგადოებისათვის და სახაზავები, სამკუთხედები, ფარგლები და სხვა სასწავლო იარაღები შესწირეს მას. განსაკურებით საგულისხმიეროა ის გარემოება, რომ მათ შეადგინეს სპეციალური მიმართვა სხვა ხელოსნებისადმი და ხელისმოწერაც კი გამართეს საზოგადოებისათვის შესაწირავ ფულზე თუ ნივთებზე. მიმართვაში ნათევამი იყო: „...ყველა ჩვენგანმა თითო, შაურიც რომ გადავიხადოთ და შევსწიროთ ამ ყოვლად წმინდა საქმეს ჩვენი ღარიბი ჯიბიდან ჩვენი ღარიბი და საწყალი შვილების აღზრდისათვის, ესეც დიდ რამეს შეადგენს ჩვენთვის... ვინც ერთი შაურის მიცემასაც ვერ შესძლებს, დევ იმან მონარჩუნებული ფიცრის ნაჭრიდან გააკეთოს რამ გამოსაღევი საზოგადოებისათვის... მაშინ სკოლების დამაარსებელი ამხანაგობა ჩვენთვისაც მოიცლის და საკვირაო სკოლას და ბიბლიოთეკასაც დაგვიარსებს თბილისის ქარგალ-შეგირდებს, საიდამაც გავიგებთ ჩვენი სისაწყლისა და სიღარიბის მიზეზებს“².

მრავალმა გულუხვმა შემოწირებულებამ მკვრივი საფუძველი

¹ იქ ვვ, გვ. 184—185.

² „დროება“, 1879 წ., № 45.

ჩაუყარა და მტკიცე ბურჯებზე დააყენა ქართველთა შორის წ.კ.
გამავრცელებელი საზოგადოება.

ლაზარევის უნივერსიტეტის პროფესორმა, ილია ოქტომბერი,
მჭედლი შვილმა, შესწირა საზოგადოებას 6.000 მანეთი,
გიორგი ქართველი შვილმა შინაგანი სესხის მომგებიანი
ბილეთები 1.000 მანეთის რაოდენობით, ერთ-ერთმა მოქალაქემ
ორსართულიანი ქვითკირის სახლი 20,000 მანეთად ღირებული და
დავით რექტორის საწერი იარაღების კოლექცია; პროფ. დ. ჩუ-
ბინა შვილმა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა, ი. ჭავჭავა-
ძემ და ი. შალიკოვმა ოცამდე ძველი ხელნაწერი წიგნი,
ნ. ხიზანი შვილმა დავით ბატონიშვილის მიერ შედგენილი
ხელნაწერი გრამატიკა და სხვა მრავალი საგანძური, რომლებიც
დღეს ჩვენი სახელმწიფო მუზეუმის სეიფებში ინახება.

ამგვარად, დაარსდა ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრ-
ცელებელი საზოგადოება, რომელიც XIX საუკუნის განმავლობაში
წარმოადგენდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
შტაბს საქართველოში; აქ ისახებოდა ცხოვრების ქარტეხილში წარ-
მოქმნილი იდეები, რომელნიც ქართველი ერის საკეთილდღეოდ,
ხშირად მრავალ დაბრკოლებათა გადალახვით, განხორციელებას
მაინც პოულობდა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგა-
დოებამ ჩვენს ეპოქამდეც მოაღწია და თავისი მრავალმხრივი და
ნაყოფიერი მოღვაწეობით მრავალი ოქროს ფურცელი ჩასწერა
ქართული კულტურის ისტორიის მატიანეში.

ილია ჭავჭავაძის წერილები მეუღლისადმი

ქვემოთ მოტანილი ილიას წერილები მეუღლისადმი (ოლგა თადეონის ასულ გურამიშვილისადმი) მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი ეპისტოლარული მექანიზმისა, რომელიც დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (იხ. ფონდი A:1720/15-ა).

ეს წერილები ნათელს ჰყენენ ილიას პიროვნებას, როგორც შემოქმედსა და საზოგადო მოღვაწეს, როგორც მოქალაქესა და ადამიანს. მათში მეტად აშკარად და დაუფარავად არის გამოთქმული ყველა ის აზრი და შეხედულება, რომელთა გამოტანა ფართო მასების წინაშე მკაცრი საცენტრო პირობების გამო ყოვლად მოუხერხებელი იყო. წერილებში ნათლად წარმოუდგება მკითხველს დიდებული ილია მთელი თავისი შინაგანი დიდებუნებოვანობით, თავისებურებით, ილია თავისუფალი ყოველგვარი ნიღაბისაგან, ილია შეუფერავი.

ჩვენ მიერ გამოქვეყნებული რვა წერილი იმ პერიოდს ეხება, როდესაც ი. ჭავჭავაძე ქართველი მოწინავე საზოგადოების შიერ საქართველოს სათავადაზნაურო ბანკის პროექტის, დასამტკიცებლად და რუსეთის ბანკების საქმის წარმოების გასაცნობად იყო გაგზავნილი მოსკოვსა და პეტერბურგში. ზოგერთი წერილი ოდნავი კუპირებით ქვეყნდება, რაც ტექსტში შრავალწერტილით არის აღნიშნული.

წერილების თარიღები (დაწერის წელი) ყველან ჩვენს შიერ არის დადგენილი. სამწუხაროდ, ილია წელს არ აღნიშნავს. ივი მხოლოდ რიცხვსა და თვეს აწერს.

ილ. ჭავჭავაძის წერილები მეუღლისადმი ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით აუწყებენ მკითხველს მწერლის განუზომელ სიყვარულს სამშობლოსადმი. ის ღრმა პატრიოტული გრძნობა, რომელიც წითელი ზოლით გასდევს ი. ჭავჭავაძის მთელ ცხოვ-

რებას, გამოიხატა არა მხოლოდ მის მხატვრულ-ლიტერატურულ შემკვიდრეობაში, არამედ კერძო წერილებშიც. მათში იგრძნობა ამ დიდი ადამიანის დაუსრულებელი ზრუნვა და ფიქრი ქართლის ბედზე და მისი ძიების დაუშრეტელი სურვილი. ილიას უდიდეს აღამიანად მიაჩნია ის, ვისაც მთელი საქართველო გულწრფელად ეყვარება, ვისაც ექნება უნარი გულში ამ ვრცელი გრძნობის დატევისა. „რამდენადაც კაცს ვრცელი გრძნობის დატევა შეუძლიან გულში, იმდენად იგი დიდია, მე რომ მარტო ყვარელი მიუვარდეს და შენ მთელი კახეთი, შენ ჩემზედ დიდი იქნები და თუ იმისთანაც იქნება, რომ მთელი საქართველო უყვარდეს, ის ორივეზე უდიდესი იქნება“. ასე ესაუბრება მოსკოვიდან ილია თავის შეუღლეს.

სამშობლოს სამსახურს ილიამ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა. რუსეთში მყოფი მგზნებარე პატრიოტი ყოველგვარ გაჭირვებას ითმენს, ოდნავადაც არ ზრუნავს საკუთარ სიამოვნებაზე. „არ დაიჯერებ, — სწერს იგი მეუღლეს, — რომ ჩემ სიამოვნებაზე გროში არ დამიხარგავს, ჯერ თეატრი არ მინახავს, მოსკოვში კი ვიყავი, ისიც აგრძნოვიჩის ხარჯზედ. ჩემი სიამოვნება მარტო ეს არის, რომ კვირაში ერთს ბოთლს ღვინოსა ვყიდულობ, ბოთლს ათ შაურად, სხვა არაფერი“.

ილია წუხს და დრტვინავს სამშობლოს მოშორებული. არ მოსწონს მოსკოვი, ვერ ეგუება პეტერბურგს, საქართველოზედ ოცნებობს და ჩივის: „მომწყინდა აქ ყოფნა, დავიღალე მით, რომ ასე დიდხანს განვურადი ჩემს საყვარელს ქვეყანასო“. მაგრამ საზოგადო საქმე მძიმედ აწვა მხრებზე და პირადი ბედნიერება მას ანაცვალა. „ოღონდ ის საზოგდაო საქმე, რომლებშიც შე ბეღმა გამრია, კეთილად წარემართოს და ჩვენი პირადი მწუხარება იმის კირის სანაცვლოდ იყოს“. — ასე მსჯელობს ნამდვილი მამული-შვილი.

ილია ლარიბია მაგრამ არ სწუხს სილარიბეზე. სიმღიღრე არ არის მისი იდეალი, რაღვანაც სიმღიღრე რყვნის აღამიანს. „ვაი მილიონერებს, რომ ფული ბევრი აქვთ და გრძნობა ცოტა. ნეტა ჩვენ, რომ გრძნობა ბევრი გვაქვს კაცური და ფული კი ცოტა“. თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ილიას ღრმა რწმენით საჭიროა არა განცხრომა და ფუფუნება, არამედ მოქმედება, მოძრაობა, შრომა და წინსვლა უკეთესი მერმისისაცნ.

მაგრამ რა თქმა უნდა, ილიას მიერ სიმღიდრის უარყოფა არ ნიშნავს საერთოდ მატერიალური დოკუმენტის უარყოფას. გონიერულად გამოყენებულ სახსრებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია და ილიაც ოცნებობს იქნებ მისმა ლატარიის ბილუთმა დიდოანხა მოიგოს. „საუკუნოდ ბედნიერი ვიქენებით მით, რომ მრავალი კეთილი საქმის შესრულება შეგვეძლება. ღმერთი მართლა რომ გულთამხილავი და ყოვლად შემძლებელი იყოს სწორედ მე უნდა მომავალის თუ ათასი თუმანი, რმდენს კეთილს დავსთესდი!..“⁴ არ ისმინა „გულთამხილავმა“ ილიას სურვილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი, ვით სამშობლოს მოჭირნახულე, ყოველგვარი ანგარიშისა და მოგების გარეშე თესდა სიკეთეს საქართველოს მადლიან მიწაზე.

ცარიშმის წინააღმდეგ ცხარე ბრძოლაში ი. ჭავჭავაძემ ნამუსიანად გამოატარა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიადი დროშა და თავისი პრინციპულობით ლახვარი ჩასცა ყველა ჯურის ვერაგ მტერს. განსაკუთრებით მკვეთრად გაილაშქრა ი. ჭავჭავაძემ ჩინოვნიკობისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და თავის ერთ-ერთ კერძო წერილში მოგვცა ამ გადაგვარებულ მოხელეთა ასეთი მკვეთრი დახასიათება, რომლის მსგავსიც იშვიათია ჩვენს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. „რას უზამ იმისთანა ხალხს, — წერს ილია, — რომლებისთვისაც ღმერთს არც მოტვლებილ კეფაში ტვინი ჩაუდვია და არც მყრალს გულში გრძნობა. მატყუებენ, მატყუებენ და მაგ მოტყუებას ბოლო არა აქვს. ღმერთმა დაიხსნას ყოველი ქრისტიანი ამათ ბრჭყალებიან ხელში ჩავარდნისაგან. ვერ წარმოიდგენ რა ხალხია: ღმეჭია, ღრეჭია, ფლიდი და მურტალი. ერთი ერთმანეთს ასხედან და რუსეთის იმპერიის საქმეს აწარმოებენ... თუ რუსეთს დალუბავს რამე სწორედ ეს მსუნავი, ნამუს მიხდილი, მტაცებელი, ბრიყვი ჩინოვნიკობა დალუპავს“.

„ბრიყვი ჩინოვნიკების“ მიერ გაწმებული ი. ჭავჭავაძე, დროებით მოწყვეტილი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას, პეტერბურგის ღრუბლიან ცის ქვეშ „უსაქმოდ“ მყოფი კვლავ ქართული კულტურის და ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე ფიქრობს და ზრუნავს. ის უკავშირდება ახალგაზრდა ნიჭიერ სტუდენტს ივ. მაჩაბელს და მასთან ერთად ქართულად თარგმნის შექსპირის „მეფე ლირს“. ალტაცებულია ქართული თარგმანის

ქვენიერებით, ოცნებობს მის გასცენიურებაზე რათა ქართველ საზოგადოებას აგრძნობინოს შექსპირის შემოქმედებითი გენის სიღიადე.

პეტერბურგში აწყობს მომავლის გეგმებს. მართალი, უკანონური მომავალი ილიას უზრუნველი ცხოვრების სახით არ წარმოუდგება. მან ძალის კარგად იცის, რომ მისი მომავალი ცხოვრება აღსაგვე იქნება „ქვეყნის სიავესთან“ ბრძოლით, ხედავს, რომ მატერიალური ხელმოკლეობა განუყრელ მეგობრად აჰკიდებია, მაგრამ იმედი გასში მაინც ძლიერია. „სილარიბე, რომელიც ჩვენ მოგველის, — ანუგეშებს ილია მეუღლეს, — ისე საშიში არ არის, როგორც ჩვენ და თას სხვათ ჰგონიათ,... ქვეყანაზედ თავის დარჩენა ძნელი არ არის... ჩვენ გავიქაფავთ გზას და გავიმინდვრებთ“.

სიმტკიცე და შეუპოვრობა, პრინციპულობა და პირდაპირობა, გულმაგრობა და სულგრძელობა ილიას დამახასიათებელი თვისებებია და მას ღრმად სწამს, რომ ყოველივე ეს და მათ შორის „გულმაგრობა კაცისათვის დიდი ღონეა ქვეყნის სიავესთან ბრძოლაში“. მაგრამ ამ ბრძოლაში იცვითება ილიას ნერვები და ღრი და ღრი მწუხარებით შესჩივის იგი თავის სულიერ მეგობარს: „ერთი წუთი დღე და ღამე მოსვენება არა მაქეს.... აქეთ იქით მტრობას, ცილისწამებას, ათასნაირ მწუხარებას, ჭირსა და ვაი ვაგლასს ძლივს ავდივარ, ძარღვები სულ მომეშალა, ღონიდან დავიცალე, ჩემს საკუთარს ბედნიერებისათვის აღარ ვცოცხალვარ“.

ეს იყო გულწრფელი ჩივილი ადამიანისა, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე წარბშეუხრელად ემსახურა „ქართლის ბედის“ ძიების საქმეს.

წერილი პირველი

ჩემო საყვარელო ოლიკო! მგონი ჩემზე ძალიან ჯავრობ, რომ ეს მეორე წიგნი ასე დაგიგვინე. შენმა გარდამ ესეთს ვაი ვაგლაპში ვარ, რომ მეტი რა იქნება. თუმცა ჩვენის უსტავის¹ დამტკიცების საქმე ძალიან კარგად მიდის, მაგრამ ჩვენ არა ბანქში² არ გვიშვებენ, რომ რაიმე შევისწავლოთ. საშინელ გაჭირვებაში ვართ. ქალაქში მივსწერე ეს ჩვენი გაჭირვებული გარემოება და არ ვიტორა პასუხი მომივა. ფულები თითქმის სულ შემომეხარჯა.....

თუმცა ეს მოსკოვი დიდი ქალაქია, მაგრამ მე თითქმის სოუ-ლიად მოწყენილი ვარ..... ნეტავი ფული მქონოდა, რომ შენც წა-მოსულიყავი ჩემთან, რომ ერთად გვეცხოვრა „ერთ—სულ“ და ერთ — ხორც“, როგორც საღმთო წერილი გვიწერს. რა კი ჩემს საქმეებს გავათავებ ხოლმე, დავბრუნდები შინ და მთელი დანარ-ჩენი დღე მარტოკა ვგდივარ სახლში. ერთხელ საღამოზედ პეტ-როვსკი პარკში წავედი, იქ რაღაც შატო-დე-ფლერ არის და წარ-მოდგენებია ხოლმე. მაგრამ ისეთი საღახანურო წარმოდგენა ვნა-ხე, რომ ჩემს თავს სიტყვა მივეცი, რომ მეორედ აღარ წავიდე. წარმოიდგინე, ფრანცუზული ტრუპბაა. ქალი თუ კაცი სულ უნა-მუსობას უჩვენებენ პუბლიკას, და უნდა გითხრა, რომ თითქმის მთელი მოსკოვის მაღალი ხალხი იქ ატარებს ყოველ საღამოს. დაწყევლა ღმერთმა!.. დაილოცა კიდევ ჩვენი ნამუსიანი ტფილი-სი და უფრო ნამუსიანი და შევიდობიანი ბაქო! ტყუილია ჩვენი დალოცვილის ქვეყნისთანა.

... ნუ შეწუხდები ჩემო კარგო ოლიკ! მეცა ვწუხვარ უშეხო-ბას, მაგრამ ვითმენ მწუხარებას. ოლონდ ეს საზოგადო საქმე, რო-მელშიაც მე ბედმა გამრია, კეთილად წარიმართოს და ჩვენი პირა-დი მწუხარება იმის ჭირის სანაცვლოდ იყოს. რამდენადაც კაცი ვრცელის გრძნობის. დატევა შეუძლიან გულში, იმდენად იგი დიდია, მე რომ მარტო კვარელი მიყვარდეს და შენ მთელი კახეთი, შენ ჩემზე დიდი იქნები და თუ იმისთანაც იქნება, რომ მთელი საქართველო უყვარდეს, ის ორივეზე უდიესი იქნება.

„აგვიყოლის სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა

და დაე გვაძახონ, — ჩვენ მის ძებნით დავლით დონენი“. ეს ჩემი ლექსი³ გახლავს, თუ გაიხსენებ. ამ ლექსს გიგზავნი შენ და თან ვატან ჩემს სიყვარულს, ოლიკოსთან ზედ დაკვიდმილ კოცნასა და ხვევნას.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

28 ივლის, (1873 წ.)

მოსკოვი.

შენიშვნები

1. იგულისხმება სათავადაზნაურო ბანკის წესრება. რომელიც შემუშავებულ იქნა საქართველოში და რუსეთში გაიგზავნა დასამტკიცებლად.

2. რუსეთში მყოფი ოლია ჭავჭავაძე ცდილობდა გასცნობოდა რუსეთის ბანკების საქმის წარმოებას, რათა იქ მიღებული გამოცდილება, საქართველოს სათავადაზნაურო ბანკის წარმოებაში გადმოტანა, მაგრამ ნებართვის შოთა რომელიმე ბანკში შესვლისა და მისი საქმის წარმოების გაცნობისა იღიასთვის მეტად ძნელი შეიქნა. 1873 წლის 3 აგვისტოს ილ. ჭავჭავაძე მოსკოვიდან თავის მეგობარს ვასილ მაჩაბელს ამის შესახებ სწერდა: „ავიღე თავი და პირდაპირ მოსკოვის ბანკის უპრივლიშთან (ვიღოც ვოლკოვი გლია) შევენერე. უაბე ყოველივე ჩემი ნაღველი შესაფერის წინასიტყვაგობითა, ვეცად, რომ იმისა კაციბრიული გული ამერიკა ჩენდა საკეთილო, მაგრამ ცერცები კედელს, ვერაჩენი საქმე“ (ის ი. ჭავჭავაძე. წერილები, ტ. I, გვ. 42—43).

ფრით ვერ მოვიძირე, ისეთი ბრივი რამ ყოფილა გადაწყვეტილი უარი მითხრა, ვერას გზით ნების არ მოცემთ, რომ ჩენდი წესი შეისწავლოთ... ცუდად არის

თითქმის მოელი ტვე მოუხდა, ამის შემდეგ, ილიას თხოვნა და ხევწნა-მუდარა ბანკში შესვლის ნებართვის მიღებისავის და მხოლოდ აგვისტოს მიწურულში მოახერხა გრძელვის საჭრელიტო საზოგადოების ბანკში შესვლა. 1873 წლის 25 აგვისტოს იგი სწერს ვას. მაჩაბელს: აგავარიგე ბანკში შესვლა, ხოლო პოზემელნი ბანკში კი არა, მოსკოვის კრედიტის მიმართ არ არის საუკეთესო გარემონტირებული და რუსეთის ბანკების საქმის წარმოების გასაცემო გარემონტირებული და რუსეთის ბანკების საქმის წარმოების გასცნობადა

3. ლექსი, რომლიდანაც ილიას სტრიქონები მოაქვს, არის „ჩემთ კალამო“ დაწერილია 1861 წ. ოქტომბერში, ყარანტენში.

4. წერილი უნდა ეკუთხნოდეს 1873 წელს, რადგან ილიამ ამ წელს დაანება თავი დუშეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობას და ამავე წლის გაზაფხულის მიწურულს გაიგზენა რუსეთში საადგილმამულო ბანკის წესდების დამტკიცებლად და რუსეთის ბანკების საქმის წარმოების გასცნობად.

წერილი მეორე

საყვარელო ოლიკო! ეხლა მე პეტერბურგში ვარ და ვსდგევარ ხარავანია ულიცა მალიცოვა, კვართი № 7. იქ კი უფრო არა ვარ ისე მარტოდ-მარტო, როგორც მოსკოვში ვიყავი, იმიტომ, — რომ აქ ბევრი ჩენდი ყმაწვილები არიან. სანდრო ამერიკანელიც აქ არის. იმათ შორის ვაინაჩრობით ვატარებ დროებას, ას, ნეტავი შენც ჩემთან იყო და სხვა არა მინდარა. საშინლად მიხდა ჩემს ქვეყანაში წამოსვლა და შენი მოხვევნა, მაგრამ „ამათ ჩემთ იარალი, სად ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!“¹.

ეს ეს არის შენი მოკლე წიგნი მომიჯიდა და ძალიან შიაშა...

ჩემთ კარგო! შენ მწერ, თერთმეტი თუმანი დამრჩაო, ვაი რომ არა. მე აქ აგრონომიამც მომცა და მამიკონოვისაგანაც მომიჯიდა,

გაშასაღამე სულ ერთი თუმანილა გაქვს. ფრიად ცუდი ფორდ ცუდი! „ვსტირი და ვლრიალებ“ აგრე ჩვენის ფინანსების გამოლევაზე, მაგრამ ჩვენი შემწე იყოს მაღალი ღმერთი, რომელსაც არა აქვს ისეთი ჩვეულება რომ ფულები ციდამ ჩამოყაროს. მაგრამ მაინც კიდევ იმედია. რამდენი ჩვენშედ უფრო უფულოა და უზუგეშო. თუ კი ისინი თავს არ იტკივებენ, მე და შენ ხომ სიხარული გვეკუთვნის. ვიყვნეთ ორნი ტოლნი, ორნი მეგობარი გულ უხვად და ჯიბე კუტრად, უფრო სუბუქად ვიკლით, იმიტომ, — რომ გულუხვობას წონა არა აქვს.

არ ვიცი დღეს რა მაოხუნჯებს. თითქოს ჯძებები მილიონი მქონდეს. შენმა წიგნმა თუ მასიამოვნა? სწორედ ეგრეა ჩემთ სანახავად სანატრელო მეგობარო! ვაი მილიონერებს, რომ ფული ბევრი აქვთ და გრძნობა ცოტა. ნეტა ჩვენ, რომ გრძნობა ბევრი გვაქვს კაცური და ფული კი ცოტა. ორივე ერთად რომ იყოს შეტისმეტია. ამით ვინუგეშოთ და დაესდუმდეთ.

მიკვირს, ღმერთმანი, ჩემი წიგნების დაგვიანება. ერთი წიგნი, რომელსაც შენ ელოდი, აგრონომის გამოვატანე და კვირას უხდა მიგელო, მეორე წიგნი ოთხ დღეს უკან მოგწერე და ისიც აქამდინ მიღებული გექნება. ამ უკანასკნელ წიგნში მოგწერე შენის ყვარელში წასვლის თაობაზედ. ამაზედ ვჰქმუხვარ, რომ შენ უფულოდ დამრჩი, მაგრამ ყვარელს რომ მიხვალ გაჭყიდი რასმეს და ფულიც იქნება. აბა ვინძლო ყოჩალად მოიქცე და მამულს კარგად მოუარო. სულ ამას ჩივოდი, რომ მოსავლელი არა მაქვსო რა და რა გავაკეთოვო. აი ჩემი მამული, შენი ჭირის სანაცვალოდ შენთა ფეხთა ქვეშ ფაინდაზად გამიშლია.

ჩემი საქმეები ეხლა ცოტათი გამიკეთდა, მხოლოდ ბოლო არ მოელო, იმიტომ — რომ ქალაქიდამ სხვა ბევრი რამ მოშახვის გასარიგებლად. თუმცა ოცდათი თუმანი კიდევ დამინიშნეს, მაგრამ ისეთნაირად დამინიშნეს, რომ ჩემი ღირსება ნებას არ მაძლევს, რომ ის ფული მივიღო. ამისათვის უარვყავ ის ფული სრულის ჩეშის ადამიანიბის საზიზღარობითა. გლახა-ამპარტივანიო, იტყვიან ჩვენში. თავისის ღირსების დაცვა ყოველის მოვალეობაა. მგონი შენც დამეთანხმები. ფულიანს უკეთურიბას ჰსჯობს უფულო ღირსება...

აქ, პეტერბურგში, მე დავდივარ ჩვენ ძველ პროფესორთან

ჩუბინოვთან², ვარვარა ილინიშვილთან³, რომელმაც შენ სიყვარულით მოგიყითხა. ვანო ორბელიანთან, ლადო ამილახვართან და ამ დღეებში ვნახავ გიორგი შარვაშიძესაც,⁴ რომელიც ჩემთან უკოფის ლიკო და მე შინ არ დავხვდი. თუმცა არ ვიცნობ, მაგრამ მოსული ყო ჩემ სანახვად. აქ უფრო ცოტაოდენი გართვა მექნება. იმიტომ რომ ჩვენებში ვტრიალებ...

ახლა ასეთს გუნებაზედ ვარ, რომ ძალიან კარგს ლექს დავწერდი, რომ თერთმეტს საათზედ ცარსკი სელოში ჭასას ვლელი არ ვიყო საქმეების გამო.

ჩემს უფულობაზე ნუ ინაღვლი. აქ ფულის შოვნის სახსარი ჰაქვს თუ დამჭირდება. დღესა მაქვს სულ თორმეტი თუმანი და სახლის ქირა ერთის თვისა წინ მიღებული. შენმა გარდამ, არ ვიცი რად მეხარჯება ეგრე მალე ფული. არ დაიჯერებ, რომ ჩემს სიამოვნებაზედ გროში არ დამიხარჯავ. ჯერ თეატრი არ მინახავს, მოსკოვში კი ვიყავი, ისიც აგრონომიჩის ხარჯზედ. ჩემი სიამოვნება მარტო ეს არის, რომ კვირაში ერთს ბოთლს ღვინოსა ვყიდულობ, ბოთლს ათ შაურად, სხვა არაფერი. იყავი მშვიდობით, ჩემო კარგო, და მანუგეშე მე, მომიკითხე ყველანი.

შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე.
12 სექტემბერი 1873 წ.

შენიშვნები

1. ეს სტრიქონი ამოღებულია გრ. ორბელიანის ლექსიდან „იარალის“. იგი პოეტის მიერ დაწერილია 1832 წ. ნოვგოროდში. ამ შეტხვევები სუურადლებითა ის გარემოება, რომ მთელ რიგ ადგილებს გრ. ორბელიანის შემოქმედებიდან ილ. ჭავჭავაძე იყენებს არა მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებებში (მაგ. გრ. ორბელიანის სტრიქონები ლექსიდან „საღამო გამოსალმებისა“ ილიას გამოყენებული აქვს „მგზავრის წერილებში“). აქვე ილიას მთაქვს ადგილები „საღლევრებულონა“ და სხვ.), არამედ კერძი წერილებშიც, რაც ერთხელ კიდევ ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ ილია გრ. ორბელიანს, როგორც მხატვრული სიტყვის სატატს. დადაღ აფასებდა.

2. დავით იასე ს-ე ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი (1814—1891) დაიბადა თბილიში. სწავლობდა პეტერბურგის გიმნაზიაში და შემდეგ უნივერსიტეტში. 1939 წ. შევიდა სამსახურში საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიურ დეპარტამენტში. 1844 წ. დაამტკიცეს პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის კათეგრიის ღოცენტად. დ. ჩუბინაშვილი ცნობილია, როგორც ლექსიკოგრაფი და ფა-

ლოგოთები. იგი პირველი ქართველია, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში ასტერულ იქნა პროფესორად. 1953 წლიდან იგი ამ უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას განაგებდა, ხოლო 1863 წლიდან ქართული და სომხური ენებისა და სიტყვიერების კათედრის გამგედ იყო. 1871 წ. შეისრულა სამსახურის ვადა და კათედრას თავი დაანგება.

3. კირკარა ილინი შნა — ილია ბატონიშვილის ასული, გრ. ორბელიანის ძმის, ილია ორბელიანის მეუღლე.

4. გიორგი შარვაშიძე (1846 (?)) — 1918) აფხაზეთის უკანასნელი მთავრის შვილი, პოეტი, დრამატურგი, საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწე. კრიტიკულ-ისტორიული ნარკვეთი გ. შარვაშიძის შესახებ და თვით შარვაშიძის ლიტ. მექანიზრების ერთი ნაწილი გმოაქვეყნა აკად. სიმ. ჯინაშვილი (იხ. გიორგი შარვაშიძე. 1946 წ. სუხუმი. აფხაზეთის სახელგამი).

წერილი მესამე

ჩემო საყვარელო და სანატრელო ქარგო ოლიკო! გუშინდლამ-დინ დიდს მშუბარებაში გიყავი, რადგანაც მთელი სამი კვირა შეხი წიგნი არ მამდიოდა. ხან რა ვითქმერე და ხან რა. მგონია, რომ შენ ბაქოდამ კარდანახს წახვედი და წიგნები ამის გაბო დამიგვიახე-გუშინ შენი სამი წიგნი ერთად მომივიდა და ვერ წარმოიდგენ რა რიგად მიამა შენის ამბვის გაეგება და შენი მშვიდობით, გულ გაუ-ტეხლად ყოფნა. ეგრე ჩემო ოლიკო, ოლონდ შენ ნუ მომიწყენ, შენ გულს ნუ გაიტებ და კაი დედა-კაცობა გამოიჩინე და ყველაფერი სხვა ჩემთვის ადვილი ასატანელი იქნება. შენ რომ არაფერს შიშობ, არც მე არაფრის შიში მექნება, — და გულმაგრობა ხომ იცი კაცისათვის რა დიდი ღონეა ქვეყნის სიავესთან ბრძოლაში. შენგა წიგნებმა სწორედ ფეხზე დამაყენეს და გამაცოცხლეს. მაღლობე-ლი ვარ, ჩემო კარგო და დაუგიშყარო ცოლონ და მეგობარო! სიღარი-ბე, რომელიც ჩენ მოგველის, ისე საშიში არ არის, როგორც ჩვებ და ათას სხვათ ჰგონიათ. სიღარიბე ბრძოლა, სიმდიდრე განცხრო-მაა, — და განცხრომა, ჩემი მოხევისა! არ იყოს, საფლავშიც გვე-ყოფა. მინამ ვართ, კაცად და ცოცხლად ვიყვნეთ და როცა არ ვიქნებით, მაშინ განვისვენოთ შეურყეველის მშვიდობიანობითა.

მომწყინდა აქ ყოფნა და დაცილალე მით, რომ ესე დიდხანს განვშორდი ჩემს საყვარელს ქვეყანას, სადაც იმყოფება ჩემი სა-ყვარელი ოლიკო. მაგრამ რას იქ? დრო შემემთხვა იმისთანა, რომ ეგ მოწყენილობა ჩემთან უნდა სუფევდეს, ვიდრე კისრად აღგ-ბულს საქმეს ცუდად თუ ავად ბოლო მოეღება. ახ, ნეტავი შეძ-

ლება მქონოდა, ოომ შენც ჩემთან ყოფილიყავ. მაშინ რა მიჰირდა? ისა პსხობია რომ აუსრულებელი ნატვრა გულიდამ ამოვილო, თორემ როცა შენ მაგონდები და ჩვენი მოშორება, გული ტკივილს დამიწყებს ხოლმე. ეჭ, რაც არის, არის! ვითმინოთ, ვიდრე მოითმინება, ვიდრე ძალა და ღონე კაცალ-კაცობისა კიდევ გვერჩის.

ჩვენი ბანკის საქმე ხათაბალა გახდა. ის უფალი, რომლის ხელშიაც არის ეგ საქმე, საძაგელი, უგულო და უადამიანო კაცია. თუმცა არ შეუძლიან იმდენი, რომ საქმე საბოლოოდ გააფუჭოს, მაგრამ აგვიანებს კი და პირდაპირ ყველაფრით გვაჩვენებს, რომ მაგისთანა საქმე უქრთამოოდ ვერ გარიგებაო. აბა ქრთამის მიცემა როგორ შეუძლიან ჩვენს კუტრს ბანკსა! ორშაბათს ვაპირობ იმასთან წასვლას და ჩხუბსა. აქამდის ვეფერებოდი, ვეხვეწებოდი, ხელში ვუკვდებოდი, მეგონა, რომ ამით იქნება დავიყოლიო მეთქი. მაგრამ ამან ყოველმა ვერ გასჭრა. ეხლა ვაპირობ ჩხუბსა და დიდს ჩხუბსაცა. ვნახოთ რა გამოვა.

ამას წინათ ვიფიქრე: მოდი წავიდე შინ მეთქი, რისთვის ვატანგები და ვწვალობ მეთქი? მაგრამ შენმა წიგნებმა კიდევ გული მომცეს და ვასთქები: ეს ხომ ჩემგან სილაჩრე იქნება, რომ გაუთავებლად საქმე დამჩრებს; ეგ ბრძოლის ველიდან გაქცევა იქნება და სიჩრცვილი მეთქი. ვინ რას იტყვის? ხომ მიწასთან გამასწორებენ მეთქი. მერე ჩემი ოლიკოც ასე ყოჩალად არის და რაზედ უნდა დაფორთხე და საქმეს გავექცე მოლალატესავით. ეგრე, ჩემო კარგო, დავიტრიალე შერყეული გული და კვლავ გავიმაგრე. იცი აძის მიზეზი ვინ არის? ერთი ქალია, იქ შორს, ჩემგან, რაღაც ბაქოს ქალაქს ეძიხიან, იქ იმყოფება, სახელად ოლიკო ჰქვიან, — სულ იმანა ჰქმნა, რომ მე კიდევ ფეხზედ დავდეგ გულჩილობას და სილაჩრეს არ დავემორჩილე. კიდევ მადლობელი ვარ შენი ჩემო ოლიკო!....

ესე, ჩემო კარგო ოლიკო! იყავ მშვიდობით, ჩემდა ნუგეშად, ჩემდა სასიხარულოდ და ჩემდა გასამხნევებლად. ქვეყანაზე თავის დარჩენა ძნელი არ არის. ღმერთი მოწყალეა, ჩვენ გავიკაფავთ გზის და გავიმინდვრებთ. მომიკითხე ყველანი.

შენი და საუკუნოდ შენი ილიკო ჭავჭავაძე

29 ოქომბერი.

პეტერბურგი

1873 წ.

1 იგულისხმება „მგზავრის წერილების“ მოქმედი პირი მოხევე ლელთლუნია. რომელიც აკორძან ბაასში ამბობს: „რაი არნ მშვიდობა ცოცხალ გაცთავთა? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის“.

წერილი მეოთხე

ჩემო საყვარელო ოლიკო! კიდევ დამიგვიანდა შენი წიგნები და ვწუხვარ, უსათუოდ იმიტომ დამიგვიანდა, რომ ეხლა ქალაქის ფოშტით წამოვიდოდა შენი წიგნი. ჩემო კარგო! რასა იქ და როგორ ხარ? თუ ჩემს ამბავს იყითხამ ვერა ვარ კარგად, იმიტომ, რომ ძალიან პომწყინდა უშენოდ ყოფნა და აქაურობა.....

გუშინ წინ სამინისტრომ მაცნობა, რომ ჩვენი უსტავი პირველ იანვრამდინ უსათუოდ წარსდგება გოსუდარსტვენი სოვეტში. თუმცა ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ გადაწყვეტილი მაინც შევიტყვე. ჩემი აქ დარჩენა იმ დრომდე აუცილებელია და ძალიან საჭირო. ჯერ ვიფიქრე წამოვიდე მეთქი, მაგრამ მენანება ამოდენა შრომის უქმად დარჩენა. მერე ჩვენს. მოკეთებს როგორლა გადაურჩებოდი. ისევ ის ვარჩიე, რომ რაკი ამაზედ თავი დავსდე, ბოლომდინაც გავიყვანო, თორემ სირცევილს ვერ აუვალთ... ამ წიგნს კი გწერ, მაგრამ არ ვიცი კარდანაზში იქნები თუ ბაქოს. რაღაც შენ იწერებოდი, რომ ნოემბრის დამლევს წავალთო, ამიტომ ამ წიგნს კარდანაზში გწერ...

აქაური ამბები რა მოგწერო: მე უსაქმობის გამო ანგლიური ენის სწავლას შევუდექი და შექსპირის ტრაგედიას კარლ ლირს კჰსთარგმნი სხვასთან ერთად¹. აქედამ რომ მოვალ ანგლიური მეცოდინება იმდენად, რომ სუბუქი თხზულების წაკითხვა შეძერდოს. სწვა არაფერი გასართობი არა მაქვს რა. ხანდისხნ ვანო ორბელიანთან შევალ ხოლმე და ზოგჯერ ვარვარა ილინიშნასთან. სხვაგან არსაღ დავდივარ, სულ შინა ვგდივარ და შენს ნახვას ვნატრულობ ხოლმე. ცუდი ქვეყანაა ეს პეტერბურგი, ეს სამი თვევა თითქმის შე არ დამინახავს. ნეტა მითხრა, აქ როგორ ცხოვრობენ, მილიონი რომ მომცენ, აქ ცხოვრებას არ ვინდომებდი... და თუ ამასთან უსტავიც დამტკიცდება, ჩემს ბედს ძალლი არ დაჰყეფს. ღიდს იმედს კი იძლევიან და არ ვიცი ჩვენი ბედი როგორ გაქსჭრის. მე იმისთვის კი არ ვარ ესე მოწადინებული, რომ ჯამაგირი მექნება მეთქი, —

არა, მე სხვა ათასი ფიქრი და წადილი მაქვს, მე თვითონ უნება
მაგ ბანკის საქმეს სულაც თავი დავანებო, უმაღურებთან საქშის
დაჭრა ძნელი ყოფილა.

იყავ მშვიდობით ჩემო კარგო და გულითადო მეგობარო.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე

1873 წ. 21 ნოემბერი.

შენიშვნა

1. ბანკის საორგანიზაციო საკითხების გამო ილიას მოსკოვიდან პეტერბურგ-ში მოუხდა გამგზავრება. სახელმწიფო ორგანიზაციაში გამეცებულმა ბიუროება-ტიზმა ილიას აქაც გაუშინაური საქმე. თავისუფალი ლრო საკმაოდ პეტონდა და ხელი მიჰყო ინგლისური ენის შესწავლის. პეტერბურგში ყოფნის დროს ილიამ გაიცნო ივანე მაჩაბელი (1854 — 1898 წ.), რომელიც ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა საბუნებასმეტყველო ფაკულტეტზე და რომელსაც უკვე პეტონდა დაწყებული შექმნილის „მეცნე ლირის“ თარგმნა. (იხ. „დროება“ 1872 წ. ვა. მაჩაბელის წერილი). ილია შეუამხანედა ივ. მაჩაბელს და მათ ერთად განაცრეს თარგმანზე შუშაობა.

არისტო ქუთათელაძე ისე გადმოგვცემს ილიას და ივანე მაჩაბლის მუშაობას თარგმანზე: „ერთ მხარეს ილია მჯდარა, მეორე მხარეს — ივანე. ივანე სწერდა, ილია — უკარნახებდა. როცა რომელიმე ადგილის თარგმნა გაუძელდებოდა, ილია წამოღვებოდა და შეიცილდა ფანჯარასთან, რომელიც ფარდით იყო ჩამოგარებული. იქ შებლს მოსრუსდა და შესაფერი სიტყვის შოდებით გახარებული მიმართავდა ივანეს: „დასწერ“. ილია ამ ჩაძონელებულ ფანჯარას მუზის კუთხეს უწოდებდა“ (იხ. ი. გრიშაშვილის „ი. ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“. ილიას სიუბილეო კრებული, 1939 წ., გვ. 83—84).

წერილი მეხუთე

ჩემო ძვირფასო და სანატრელო ოლიკ! შენი წიგნი კარდანა-ხიდამ მომივიდა და ორნაირად მასიამოვნა: ერთი რომ შენ მშვიდო-ბით მისულხარ და მეორე იმით, რომ ხუთი ურემი ღვინო მო-გვსვლია. კიდევ მაღლობა ღმერთს! როგორც იქნება ხელსმოვინაცვ-ლით. შენი ჭირიმე, ოლიკო ყვარელში რო გახვიდე ყველაფერი კარგად გასინჯე. მე რომ წამოვედი, ისე დავაწყვეთ მე და პოდრია-ჩიკმა, რომ აგური, კირი, კრამიტი ერთად უნდა დაგვეწვა; ხეტყე. სახლისა, კარი და ფანჯარა მოტანილი უნდა იყოს. ერთი კარგად სულ ყველაფერი დაწვრილებით შემიტყე და მომწერე. აგური, კირი, კრამიტი დაუწვავთ თუ არა, ხეტყე, კარი-ფანჯარა მოუტა-

ხიათ, ან ქვიშა და ქვა უზიდნიათ? ახ, როდის იქნება... შინ მოვიდე? ვერ წარმოიდგენ რა რიგად გულ ჩათუთქული ვარ ამ უბედურს ქვეყანაში და რა რიგად გული მაინდ მოისწრაფის, რომ დიდის ხნის უნახავი ოლიკო ნახოს.

თუ შენ კარგად მოიქცევი, ღვთის მადლით სახლის მასალა სულ შინ გვექნება მოგროვილი ჩემს მოსვლამდე და ძალიან მამებ, რომ ეგ ეგრე მომიხდინო. თუმცა კუტრები ვართ, მაგრამ თუ სახლი როგორმე მოვიხერხეთ, როგორც იქნება თავს დავირჩენთ და ვიცხოვრებთ თუ ქალაქში არა სოფელში მაინცა. ხომ იცი რომ ჩემი ნატევრა ის არის, რომ სოფლად ვიცხოვრო და ხილად ქალაქში ჩავდიოდეთ. შენი ჭირიმე ოლიკო, შენებურად დატრიალდი და გაისარჯე, რომ სახლის აშენებას დაბრკოლება რამ არ მიეცეს, თუ პოდრიაჩიქმა ფული გთხოვოს, როგორმე უშოვე და ცოტ ცოტა აძლიე ისე ორ თუმნობით, სამ თუმნობით, რომ ხელი გაიმართოს და არ დაბრკოლდეს.

ნინო¹, ნიკოლოზ² თავის შვილებით მომიქითხე. გაზილას³ ამბავს არას იწერები? როგორ ბრძანდება ჩემი ფილოსოფოსი გაზილა? მიშკა⁴ აპოვნინე. მაატრე რომ ასე ცოტას გწერ...

შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე.

1873 წ. 15 დეკემბერი.

შენიშვნები

1. ნინო — ილ. ჭავჭავაძის უფროსი და. ცოლად ჰყავდა ნიკოლოზ აფხაზს.
2. ნიკოლოზი — ნ. აფხაზი, — ილიას სიძე, ნინოს მეუღლე.
3. გაზილა — ილიას ძალლის სახელია.
4. მიშკა — ილიას ცხენს ერქვა.

წერილი მეექვსე

ჩემო უსაყვარლესო და სანახავად სანატრელო ოლიკო! ამას წინად მწერდი რომ ამ დღეებში ყვარელში გავალო და არ ვიცი გახვედი თუ არა. თუ გახვედი, რა ნახე, რა გაიგე ყოველიფერი დაწვრილებით მომწერე. შენი ჭირიმე ჩვენი სახლის და შენობის ვითარება კარგად შეიტყე და სულ ყოველი ვრცლად და დალაგებით მომწერე.

ამას წინად ფინანსის სამინისტროდამ ქალალდი მომივიდა, რომ თქვენს უსტავსო პირველ იანვრამდე გადავცემთო გოსუდარ-

სტვენი სოვეტში. ვზიგარ და ველი ამ ბეღნიერებას მოლრუბლული, ვითარცა პეტერბურგის დღე. გუშინას წინ რევაზ ანდრონიკოვისაგან ტელეგრამმა მომივიდა და მწერს, რომ ნაბლუდატელნი კომიტეტმა ფული დაგინიშნაო და ამასთან წიგნიც მოგწეროთ. ურ ვიცი რა ფულია და რა წიგნი? მე მგონია, მე იანვარში მომიხდეს წამოსვლა და ჯერ კი მაინცდა მაინც სწორედ და გადაწყვეტილად არა ვიცი რა.

ვერ წარმოიდგენ ჩემს უბეღლურებას და უგემურს გარემოებას! ვგდიგარ დილიდამ საღამომდე შინ და თუ გავალ ისიც სასეიროდ. იმ დღეს გიორგი შარვაშიძესთან ვიყავი, აი მთავრის შვილი რომ არის. ამას წინად თითონ მოვიდა მთხოვა შექსპირის ტრაგედია, კოროლი ლირი, რომელიც ქართულად ანგლიურიდამ გადავთარგმნეთ, წაგვიკითხეო. წავედი წასაკითხად, კარგა ბლობა ხალხი იყო და ძალიან მაიწონეს, ასე იციქჩე ქალებმა იტირეს და კაცები კი სულ აფერუმს იძახოდნენ. მართლა და თარგმანი მშვენიერი რამ გამოვიდა, ასეთი კარგი წამკითხველი მთარგმნელებს დაგვლოცავენ. ქალაქში რომ ჩამოვალ, ვვინდა წარმოვადგინოთ!. სცენაზე მშვენიერი რამ იქნება ვერ წარმოიდგენ რა რიგად კარგად გამოვიდა ქართულ ენაზედ?. არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს არ შეეღრება. აი; ღვთის მადლით, როცა მშვიდობით მოვალ მოვიტან და კარდანახში წაგიკითხავთ და თუ არ გატიროთ ცუდი კაცი ვიყო.³ შენ ხომ იცი, რომ ჩემი ნაჯღაბნის ქება მე თითონ არ მიყვარს, მაგრამ ეს ისეთი თარგმანია რომ არ ვაქო ცოდვა იქნება. აქაური ყმაშვილ კაცობა მაგ თარგმანისათვის გაგრძებულია და აღტაცებაში მოსული.

ამ დღეებში ვიიგრიშების ლატარია იქნება. წარმოიდგინე ერთი ბილეთი ვიყიდე და ლიდი იმედი მაქეს თუ ოცი ათასი არა შვიდი ათასი თუმანი მაინც მოვიგო. მაშინ ჩემს საყვარელ კუკლუშების მივწერ, რომ პეტერბურგისაკენ გამოფრინდეს. ნეტავი შენის სიცოცხლით მოვიგო. მაშინ უყურე ჩვენი ყოფა! საუკუნოდ ბეღნიერი ვიქნებით მით, რომ მრავალი კეთილი საქმის შესრულება შეგვეძლება. ლმერთი მართლა რომ გულთამხილავი და ყოვლად შემძლები იყოს, სწორედ მე უნდა მომაგებინოს ოცი ათასი თუმანი, რამდენს კეთილს დაგჭირებით!.. მაგრამ... ეშ! რაც იქნება იყოს. ნატვრა ხშირად გულის და ქეიფის დასუსტებას მოასწავებს. ნა-

ტვრითაც ბევრი გვინატრია და არა გამოსულა რა. რო გამოვიდეს? შენ მაშინ რას იტყვი, ჩემო კარგო კუპლუშვი? იყავი ჩემო კარგო მშვიდობით და ფიქრი ხვალინდელის დღისა ხვალეს ვანებოთ, ძო- მიყითხე ყველანი. ლიზოს⁴. წიგნი არ მომდის და ძალიას ვწუხვარ:

შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე

19 დეკემბერი

1873 წ.

შენიშვნები

1. როგორც კ. ყიფიანი გადმოგვცემს ილიას საქართველოში დაბრუნების შემდეგ განუზრახავს „მეფე ლირის“ გასცენიურება. როლები უნდა შეესრულე- ბინათ ი. ჭავჭავაძეს, ივ. მაჩაბელს, მამია გურიელს, ნინო ორბელიანს, დავით ერისთავს, დომ. ყიფიანს და სხვებს.


გრ. ყიფშიძის ცნობით წარმოდგენა მართლაც დადგმულა და მასში ილიას კენტის როლი შეუსრულებია. გრ. ყიფშიძეს წერს: „ილია ზრუნავდა „მეფე ლი- რის“. წარმოდგენისათვისაც ქართულ სცენაზედ. უნდოდა თვით მეფის როლი დიმ. ყიფიანს ეკისრა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. სცენის მოყვარულთ წარმოადგი- ნეს „მეფე ლირი“ ბანკის დაარსების პირველ ხანს (1875 წ.—ი. ბ.) და როგორც გაგვიგონია კენტის როლი ილიამ ითამაშო“, (იხ. ილ. ჭავჭავაძის თხზულებანი ტ. I, 1914 წ. გვ. XIV).

2. „მეფე ლირის“ სამაგალითო თარგმანის შესახებ ცნობა გამოქვეყნდა გაზ. „დროებაში“ 1873 წ. პეტერბურგელი კორესპონდენცია აუწყებდა საზოგადოებას: „ქ. პეტერბურგში ჩვენი ყმაწვილები სთარგმნან პირდაპირ ინგლისურიდან შექსპირის ტრაგედიას „კოროლ ლირს“. აქ შესანიშნავი ის კი არ არის, რომ პირდაპირ დებანიდან სთარგმნიან, არამედ ის არის, რომ შექსპირის გარეგანა სიტყვების ფორმა სრულიად გადმოაქვთ ქართულ ენაზე იმ ლექსთ წყობილებით, რამელიც ჩვენს ლიტერატურაში არ ხმარებულა. ე. ი. თოთხმეტ მარცვლოვან ლექსით, ურითმოთ. ამბობენ რომ ასეთი ლექსტწყობა ჩვენს ენას უნდება და კეთილხმოვანიც არის“ („დროება“ 1873 წ. № 40).

3. როგორც კი ილ. ჭავჭავაძე პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა მაშინვე მთაწყო „მეფე ლირის“ თარგმანის საჭარო კითხვა-გარჩევა. თარგმანს ცხოველი ინტერესი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოუწვევის. გაზ. „დროება“ ამის შესახებ აუხადებდა „ჩვენ დავესწარით „მეფე ლირის“ კითხვას და მართალი უნდა ვთქვათ, თარგმანი სწორედ სამაგალითოა. არც ჩვენ არც სხვებს არ გვეგონა თუ ეს შესანიშნავი თხზულება ასე მშვენიერად გადმოიღებოდა ქართულ ენაზედ“ („დროება“, 1874 წ., № 240). რომ თარგმანი ცხოველი აზრთა გაცვლა- გამოცვლა გამოუწვევია. ამას მოწმობს დიმ. ყიფიანის წერილიც, რომელიც ქება- დიდებას ასხამს მთარგმნელებს: „თარგმანა სახელოვნად თავს გადივლო კრიტიკა

ულმობელი, მიუდგომელი. შრომა გაგიწევიათ დიდი. ნიჭი გამოგიჩნიათ შესა-
ნიშვავი”.

4. იგულისხმება იღ. ჭავჭავაძის და ელისაბედ საგანიშვილისა.



წერილი მეშვადე

სიყვარულო და უსაყვარლესო კუკლუშკი! აი მოვიდა თხუთ-
მეტი იანვარიც და ჩემს ორუბლიან ცაჟედ მაინც არ გამოვიდა
მზე. დასწყევლოს ღმერთმა აქაურობა თავის სამინისტროებით და
უნუგეშობითა. არ იქნა, არა და ჩვენი უსტავი ვერ გადავიდა გო-
სუდარსტვენი სლვეტში. არ ვიცი ღმერთმან იცის რა ვენა. რაც
ღონისძიება ხელთა მაქვს ყოველს ფერსა ვემარობ, მაგრამ რას
უზამ იმისთანა ხალხს, რომლებისთვისაც ღმერთს არც მოტვლე-
ბილს კეპაში ტვინი ჩაუდვია და არც მყრალს გულში გრძნობა.
მატყუებენ ბოლო არა აქვს. ღმერთმა დაიხსნას ყოველი ქრისტია-
ნი ამათ ბრჭყალებინა ხელში ჩაგარდნისაგან. ვერ წარმოიდგენ რა
ხალხია, ღმერთია, ღრეჭია, ფლიდი და მურტალი. ერთი ერთმანეთს
ასხედან და რუსეთის იმპერიის საქმეს აწარმოებენ. საშინელი
მდგომარეობაა ჩემი: სირცევილით ვერც წამოვსულვარ და მწუხა-
რებით ვერც აქ დამდგარვარ. არ ვიცი რა ვენა. წამოვიდე, ყბად
ამიღებენ, არც წამოვიდე კიდევ — შენი მაგრე ყოფნა და ჩემი
უნუგეშოდ გდება გულს მიწყლავს. ოქ. მუხთალო სოფელი!.. ამ
დღეებში კიდევ მოვიცდი და თუ არა გახდა რა, უნდა ვიჩივლო.
მეტი გზა არ არის. რაც მოგვიგა მოგვიგა. ჯანი გავარდესთ, მე კი
ჩენი დამემართა მაგათ ლოდინშია და ვერ წარმოიდგენ — გიმეო-
რებ — ამ საძაგლს ჩინოვნიკობას; ჩვენებს კიდევ არა უჭირსთ,
ამათთან ანგელოზები არიან. თუ რუსეთს დაღუპავს რამე სწორედ
ეს მსუნავი, ნამუს მიხდილი, მტაცებელი, ბრიყვი ჩინოვნიკობა
დალუპავს.

ძალიან ვწუხვარ, რომ აქამომდე ყვარელში არ გასულხარ,
ერთი მინდოდა დალაგებით შემეტყო მოგვივიდა რამე თუ არა;
სახლის შენების საქმე წინ ფეხწაღმულია თუ არა. ერთი მოაწერ-
ხე და მალე გადი როგორმე და შენებურად დააწყე და დაალაპე
წვენი მიყრილ მოყრილი, აქოთებული მდგომარეობა.

გუშინ წინ ლიზის წიგნი მომივიდა და ალექსანდრესი. მხია-
რულ წიგნებს მწერენ, ნამეტნავად ალექსანდრე.....

თუ ღვთის მადლით აქედამ მშვიდობით თავი დავახწიე და

წამოსვლა დავიპირე, ტელეგრამას გამოგიგზავნი ჭაშოსვლის
დროს.....

მიშვას ვიპოვიო, ამბობს ნიკოლოზი. ეს ბურთი და მოქადან,
იპოვნოს, რაღა გულს გვილევს. ნეტავი ისევ დუგანა დაქარგულიყო
და მიშვა კი არა. ძალიან მიყვარდა და შენც გიყვარდა.... საწყალი
მგონი ეხლა რა უპატივრობაში და ჭაფაშია. მეცოდება და შენა-
ნება.

ერთი ჩვენი ფოდრაჩიერის ამბავი დაწვრილებით მომწერე. რა
იქნა, სად გადაიკრგა. თუ კარი და ფანჯარა მართლა არ ვარგა,
უკან დაუბრუნე, ნუ მიიღებ. ეცადე ყვარელს რო გახვიდე, რომ
ავური, კრამიტი, კირი, ქვიშა მოაგროვებინო და დაწვევინო.

მომიკითხე ნინო, იმისი შვილები, ნიკოლოზი და ყველანი ვინც
მე მიკითხოს...

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

15 იანვარი 1874 წ.

წერილი მერვე

ჩემო სიხარულო ოლიკ! ჩვენი ბედი მგონი ეხლა ცოტაოდე-
ნად ქეითზე მოვიდა: ოცდაცხრას იმ თვეს მინისტრი ვინახულე და
შევჩივლე ამდენი ჩემი წვალება და აურ-ზაური დავუწყე. საქმე
იმაში მდგომარეობდა, რომ მინისტრის ამხანაგს ქრთამი ჩაეყლაპა
სლეპცოვისაგან, რომლის უსტავიც საქართველოსათვის კიდეც
დამტკიცებულია. ამ სლეპცოვმა შარშან დამტკიცებინა უსტავი
და მინისტრის ამხანაგს უნდოდა, რომ ჩვენი არ დამტკიცებულიყო.
წახა ლამაზად ჰქონდა დამბალი, ამბობენ ორიათას ხუთასი თუშანი
აქვთ სლეპცოვისაგან აკრულიო. ამის გამო მინისტრის ამხანაგი
ჩვენს უსტავს აბრკოლებდა თურმე და ჩვენის უსტავის საქმეს არა-
ვის არ ანებებდა: მე თვითონ დავწერო წარდგენასაო.. დაწერის
მაგიერ ამოიღო ქვეშ ჩვენი საქმე და ხელს არ ჰსძრავდა. ავდექი და
მინისტრსა ვთხოვე, რომ კრედიტი კანცელარიის დირექტორს
გარდაეცით მეთქი. გასჭრა ჩემმა ბედმა და ორ დღეს უკან მინის-
ტრის ქალალდი მომივიდა და იწერება, რომ თქვენი საქმე დირექ-
ტორს გარდავეცი და ძალიან მალე შესრულდებაო. ოთხს თებერ-
ვალს დირექტორთან ვიყავი, ძალიან შეუფუცხუნებია, როგორც
ჩანს მინისტრს. შემეხვეწა, — ზოგიერთი რამ თქვენს უსტავში არ

მესმისო და ამიხსენიო. მოგეცა წყალობა მე იმისათვის თავი არ
დავიშერე, მთელი საათი ვიძასეთ და ბოლოს ის მითხრა, რომ ამ
კვირა თუ არა იქით კვირაში უთუოდ წარდგენილი იქნებიო გრძელ
დარსტვენი სოვეტში. როგორც ბავშვი ისე მხარული წამოვედი.

ოლიკოს მზემ, სულით, გულით, ხორცით, ჰკვით, გონიერი
დაქანცული ვარ. როდის იქნება თუნდ მშრალს პურზედ ორნი
ერთად ვიყვნეთ და ჩვენებურად ვტიტინებდეთ ამ ქვეყნის უბე-
დურს, ბრუნვაზედა. ესეა, ჩემო თლიკო, ნესტან დარეჭანის ამბავი.

მენ რაღას იქ? ეხლა უნდა ყვარელში იყო, როგორც შენის
ჭივნიდამა ჰსჩანს. მოუთმენლად ველი შენგან წიგნს და დაწვრილ-
ლებითს ამბავს მანდაურის ავარგიანობისას...

აქამდინ ჩვენს თარგმნილს ლირს წაიკითხავდი. მომწერე რო-
ვორ მოგეწონა შენ და სხვებსაც. მაგას კაი წაიკითხვა უნდა, რომ
კაცმა მოიწონოს. სწორედ ახალ წლის პირველ დღეს სრულად გა-
ვათავედ თარგმანი. მე ძალიან მომწონს და სხვისა არ ვიცი. აი რო-
ცა მოვალ მე თვითონ წაგიკითხამთ და მაშინ ნახავთ როგორი თარ-
გმანია..... საძაგლად მომწყინდა აქაურობა, თუმცა ახლა აქ დიდი
ამბებია: ხელმწიფემ ქალი გაათხოვა, ავსტრიის იმპერატორი შოვი-
და. ერთი ჩირალდნები, ბაირალები, ჯარების თამაში, ერთი ყოფა და
ამბავი. ოთხშაბათს მეც ვიქნები იმ ბალში, საცა ჩვენი იმპერატო-
რი და სხვა ხელმწიფენი იქმნებიან.

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

4-ს თებერვალს, ორშაბათს

1874 წ.

ს ა რ ჩ ე 3 0

1. ალექსანდრე ჭავჭავაძის უცნობი ლექსი	3
2. მასალები ნ. ლომოურის ბიოგრაფიისათვის	13
3. მასალები ეკ. გაბაშვილის ბიოგრაფიისათვის	36
4. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და- არსების ისტორიისათვის	55
5. ილია ჭავჭავაძის წერილება მეუღლისადმი	88



რედაქტორი თ. ხარხვალი

* *

გადაეცა წარმოებას 1956 წ. 8. IX. ხელ-
მოწერილია დასაბეჭდად 1956 წ. 26/XII.
ჭაღალდის ზომა 60×92. ანაწყობის
ზომა 6×10. ტირაჟი 2000. სტამბის
შეცვ. № 1548 უე 08710.

* *

საგამ.-სააღ. ფორმათა რაოდ. 5,14.
ტასტამბი ფორმათა რაოდენობა 6,75

* *

სტამბა „ზარია ვასტოკა“,
თბილისი, რუსთაველის პრ., № 42.





369/189

3060 2 856. 60 853.

И. Л. Бонгадзе

ПИСЬМА

(на грузинском языке)

Госиздат Юго-Осетинской АО